ევროკავშირი
საქართველოსთვის
The European Union for Georgia

ინიციატივა მოწყვლადი ჯგუფების რეაბილიტაციისთვის
Rehabilitation initiative for vulnerable groups

1989–2019 30 YEARS
PENAL REFORM INTERNATIONAL

# მსჯავრდებულთა რეაბილიტაცია-რესოციალიზაციის პროცესი პენიტენციურ სისტემაში

## სახელმწიფო პოლიტიკის დოკუმენტების ანალიზი/კვლევა

ავტორები: **ნათია ტაბატაძე**
**ანტონ ქელბაქიანი**



2019

ევროკავშირი საქართველოსთვის
The European Union for Georgia

ინიციატივა მოწყვლადი ჯგუფების რეაბილიტაციისათვის
Rehabilitation initiative for vulnerable groups

1989–2019 30 YEARS

PENAL REFORM INTERNATIONAL

# მსჯავრდებულთა რეაბილიტაცია-რესოციალიზაციის პროცესი პენიტენციურ სისტემაში

## სახელმწიფო პოლიტიკის დოკუმენტების ანალიზი/კვლევა

*ავტორები:* ***ნათია ტაბატაძე***
***ანტონ ქელბაქიანი***

*წინამდებარე ანგარიში მოამზადა ორგანიზაციამ „ინიციატივა მოწყვლადი ჯგუფების რეაბილიტაციისათვის“ (ავტორები: ნათია ტაბატაძე, ანტონ ქელბაქიანი). კვლევა ჩატარდა ევროკავშირის ფინანსური მხარდაჭერით, „ციხის საერთაშორისო რეფორმის სამხრეთ კავკასიის ოფისის პროექტის - „სასჯელაღსრულებისა და პრობაციის რეფორმების ხელშეწყობა და მონიტორინგი სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობით“ ფარგლებში. დოკუმენტის შინაარსზე სრულად პასუხისმგებელია ავტორი და ტექსტში გადმოცემული მოსაზრებები არცერთ ვითარებაში არ შეიძლება ჩაითვალოს დონორის, „ციხის საერთაშორისო რეფორმის“ ან მისი პარტნიორი ორგანიზაციების პოზიციის გამომხატველად.*

სარჩევი


1. კვლევის მიზანი ........ 3
2. კვლევის ამოცანა ........ 3
3. კვლევის მეთოდოლოგია ........ 3
4. კვლევის შეზღუდვა ........ 4
5. შესავალი ........ 5
6. არსებული გამოწვევები ........ 7
7. სამოქმედო გეგმების ანალიზი ........ 11
8. ძირითადი მიგნებები და რეკომენდაციები ........ 63
9. გეგმების რელევანტურობა ........ 66
10. გეგმების სტრუქტურა ........ 66
11. შესრულების შედეგები ........ 67
12. რეკომენდაციები ........ 67




# 1. კვლევის მიზანი

კვლევის მიზანია, შეფასდეს პენიტენციურ სისტემაში მსჯავრდებულთა სარეაბილიტაციო/რესოციალიზაციის პროცესის ორგანიზებასთან დაკავშირებით სახელმწიფო პოლიტიკის დაგეგმვისა და განხორციელების პროცესი 2015-2018 წლების განმავლობაში.

# 2. კვლევის ამოცანა

კვლევის ამოცანაა, შეფასდეს სახელწიფო პოლიტიკის დაგეგმვის კუთხით არსებული დადებითი და უარყოფითი ტენდენციები; შეფასდეს სამოქმედო გეგმების სტრუქტურა, მისი შემუშავების და შესრულების პროცესი; შემუშავდეს რეკომენდაციები სახელმწიფო პოლიტიკის დაგეგმვის და განხორციელების მიმართულებით.

# 3. კვლევის მეთოდოლოგია

კვლევის მიზნებისთვის განხორციელდა როგორც სახელმწიფო პოლიტიკის დოკუმენტების ანალიზი, ასევე საერთაშორისო დონეზე საქართველოს მიერ ნაკისრი ვალდებულებების შეფასება, რომლებიც შეეხება მსჯავრდებულთა სარებილიტაციო/რესოციალიზაციის პროცესს პენიტენციურ სისტემაში.

კვლევის ფარგლებში შეფასდა საქართველოს მიერ აღებული ვალდებულებები საქართველო-ევროკავშირის ასოცირების (2014-2016 წწ და 2017-2020 წწ) დღის წესრიგში. გარდა ამისა, შეფასდა, რა სახის ვალდებულებები იყო ასახული საქართველოს მიერ შემუშავებულ შემდეგი სახის სახელმწიფო პოლიტიკის დოკუმენტებში:

ა) ადამიანის უფლებათა დაცვის 2014-2020 წლების ეროვნული სტრატეგია;

ბ) ადამიანის უფლებათა დაცვის (2014-2015 წწ; 2016-2017 წწ; 2018-2020 წწ) სამოქმედო გეგმა (შესაბამისი თავები);

გ) სისხლის სამართლის რეფორმის (2015 წ; 2016 წ; 2017 წ; 2018 წ) სტრატეგია (პენიტენციური სისტემის რეფორმის თავი);

დ) სისხლის სამართლის რეფორმის სამოქმედო (2015 წ; 2016 წ; 2017 წ; 2018 წ) გეგმა (პენიტენციური სისტემის რეფორმის სამოქმედო გეგმის ნაწილი);

ე) პენიტენციური და დანაშაულის პრევენციის სისტემების განვითარების სტრატეგიის 2019-2020 წლების განვითარების სამოქმედო გეგმა (აღნიშნული გეგმა შეფასდა ზოგადად).

სახელმწიფო პოლიტიკის დოკუმენტების შეფასების ძირითადი აქცენტი გაკეთდა სამოქმედო გეგმების ანალიზის კუთხით. გეგმები შეფასდა შემდეგი კომპონენტების მიხედვით:

- სამოქმედო გეგმების კომპონენტების რელევანტურობა;
- სამოქმედო გეგმების შესრულება;
- სამოქმედო გეგმების სტრუქტურა.

### ა) სამოქმედო გეგმების კომპონენტების რელევანტურობა

სამოქმედო გეგმების კომპონენტების რელევანტურობის შეფასება განხორციელდა შემდეგი წყაროების მიხედვით:

- სამაგიდე კვლევა - მსჯავრდებულთა საგანმანათლებლო-სარეაბილიტაციო პროცესი პენიტენციური სისტემაში; საქართველოს სახალხო დამცველის ყოველწლიური ანგარიშები;
- წამების წინააღმდეგ ბრძოლის ევროპული კომიტეტის (CPT) ანგარიში 2018 წელს განხორციელებული ვიზიტის თაობაზე;
- სხვადასხვა ორგანიზაციების მიერ განხორციელებული კვლევები.

აღნიშნულ წყაროებზე დაყრდნობით, შეფასდა სამოქმედო გეგმებში ასახული მიზნები, ამოცანები და აქტივობები რამდენად რელევანტური იყო და რამდენად პასუხობდა არსებულ გამოწვევებს კონკრეტულ საანგარიშო პერიოდში (2015, 2016, 2017, 2018 წწ).

### ბ) სამოქმედო გეგმების შესრულება

სამოქმედო გეგმების შესრულების შეფასება განხორციელდა შემდეგი წყაროების მიხედვით:

- ადამიანის უფლებათა დაცვის სამთავრობო გეგმების (2014-2015 წწ; 2016-2017 წწ) შესრულების ანგარიში;
- სისხლის სამართლის რეფორმის პროგრესის VII (2015 წ), VIII (2016 წ), IX (2017 წ), X (2018 წ) ანგარიშები;
- სახალხო დამცველის ყოველწლიური ანგარიშები;
- პრევენციის ეროვნული მექანიზმის 2017 წლის ანგარიში.

### გ) სამოქმედი გეგმების სტრუქტურა

სამოქმედო გეგმების სტრუქტურა, კერძოდ, ამოცანები და აქტივობები შეფასდა ე.წ. S.M.A.R.T პრინციპით, რაც გულისხმობს რამდენად იყო გეგმაში ასახული კომპონენტები:

- S (Specific) = სპეციფიკური (კონკრეტული, დეტალური, კარგად განსაზღვრული);
- M (Measurable) = გაზომვადი (ციფრები, რაოდენობა);
- A (Achievable) = მიღწევადი (შესაძლებელი);
- R (Realistic) = რეალისტური (რესურსების გათვალისწინებით);
- T (Time-bou№d) = დროში გაწერილი (უნდა გააჩნდეს შესრულებისთვის განსაზღვრული ვადა, ე.წ. „დედლაინი“).

ამ კუთხით შეფასდა ძირითადი ტენდენციები სამოქმედო გეგმების ფორმირებასთან დაკავშირებით.

## 4. კვლევის შეზღუდვა

კვლევის განხორციელების პროცესში, საქართველოს იუსტიციის სამინისტროდან გამოთხოვილი იქნა საჯარო ინფორმაცია, რომელიც შეეხებოდა სახელმწიფო პოლიტიკის დოკუმენტებში (სამოქმედო გეგმებში) ასახული აქტივობების (ზოგ შემთხვევაში ამოცანების) შესრულებას. აღნიშნული ინფორმაცია, გამოყენებული

იქნებოდა როგორც დამხმარე ინსტრუმენტი სამოქმედო გეგმების შესაბამისი პუნქტების შეფასებისთვის. საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მხრიდან არ იქნა მოწოდებული საჯარო ინფორმაცია, რის გამოც ანალიზი განხორციელდა სხვა წყაროების მიხედვით.

# 5. შესავალი

საქართველოს ევროკავშირის ასოცირების დღის წესრიგში აღნიშნულია სახელმწიფოს მიერ აღებული ვალდებულებები მსჯავრდებულთა რეაბილიტაცია-რესოციალიზაციის პროცესის ორგანიზების კუთხით. კერძოდ, 2014-2016 წლის დღის წესრიგში ვკითხულობთ - „სისხლის სამართლის სფეროში გაგრძელდეს რეაბილიტაციისა და რესოციალიზაციის პოლიტიკა; ხელი შეეწყოს ისეთ მიდგომებს, როგორებიც არის: არასაპატიმრო სასჯელი, საზოგადოებრივად სასარგებლო შრომა, აქტიურად იქნას გამოყენებული პრობაცია, თავდებით ნაადრევი გათავისუფლება, აცილება და შუამდგომლობა“.[1] ხოლო, 2016-2017 წლის დღის წესრიგში აღნიშნულია, რომ მნიშვნელოვანია „პენიტენციურ და პრობაციის სისტემაში, მის ფარგლებს გარეთ რეაბილიტაციისა და რესოციალიზაციის მიდგომების დანერგვა, იმ მიზნით, რომ მოხდეს განმეორებითი დანაშაულის თავიდან აცილება და ბალანსის შენარჩუნება საზოგადოებრივი წესრიგსა და უსაფრთხოებას შორის და გარანტირებული იყოს ადამიანის უფლებების დაცვა“.[2]

საქართველოს პარლამენტის მიერ 2014 წელს მიღებულ იქნა საქართველოს ადამიანის უფლებათა დაცვის ეროვნული სტრატეგია[3]. სტრატეგიის უმთავრესი მიზანია სისტემური მიდგომის ჩამოყალიბება, რომელიც უზრუნველყოფს ადამიანის უფლებებიდან გამომდინარე ვალდებულებების ყოველდღიურ ცხოვრებაში შესრულებას. სტრატეგიაში აღნიშნულია, რომ ხელისუფლების ყველა შტოს წარმომადგენლებმა, პირველ რიგში, საქართველოს მთავრობამ, ნებისმიერმა საჯარო თანამდებობის პირმა, ცენტრალურ თუ ადგილობრივ დონეზე, კარგად უნდა გააცნობიერონ და შეასრულონ მოვალეობები, რომლებსაც მათ ადამიანის უფლებების უზრუნველყოფის კონსტიტუციური ვალდებულება აკისრებს. აღნიშნული სტრატეგიის ერთ-ერთი პრიორიტეტული მიმართულებაა - საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სისტემის და ყოფილ პატიმრებზე ზრუნვის მექანიზმების ჩამოყალიბება. ამ სტრატეგიული მიმართულების მიზანია საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სისტემის ჩამოყალიბება, სასჯელაღსრულებისა და პრობაციის დაწესებულებებში პირობების გაუმჯობესება, პატიმართათვის ეფექტიანი და დროული სამედიცინო მომსახურების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა, მსჯავრდებულებისა და ყოფილი პატიმრების რესოციალიზაციის ხელშეწყობა, ხოლო ერთ-ერთ ამოცანას წარმოადგენს - „მსჯავრდებულთა და ყოფილ პატიმართა რესოციალიზაციისა და რეაბილიტაციის პროგრამების განხორციელება“.[4]

პრეზიდენტის 2008 წლის 13 დეკემბრის №591 ბრძანებულების საფუძველზე, შეიქმნა სისხლის სამართლის რეფორმის განმახორციელებელი უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭო. საბჭო უფლებამოსილია, შეიმუშაოს და განახორციელოს სისხლის სამართლის რეფორმა საერთაშორისო სტანდარტების გათვალისწინებით, ასევე, კოორდინაცია გაუწიოს სისხლის სამართლის სფეროში საუწყებათაშორისო საქმიანობას. საკოორდინაციო საბჭოს შემადგენლობაში შედიან როგორც სამთავრობო უწყებების, ისე არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლები და დამოუკიდებელი ექსპერტები. საბჭოს მიერ დამტკიცებულია სისხლის სამართლის რეფორმის სტრატეგია და სამოქმედო გეგმა, რომლის განახლებაც ხდება ყოველწლიურად. აღნიშნული საბჭოს ფარგლებში ჩამოყალიბებული სტრატეგია მოიცავს ისეთ მიმართულებას, როგორიც არის სასჯელაღსრულების სისტემის რეფორმის სტრატეგია, ხოლო ამ სტრატეგიის ერთ-ერთი მიმართულებაა მსჯავრდებულთა რესოციალიზაცია-რეაბილიტაცია.

როგორც უკვე აღნიშნა სტრატეგიის განახლება ხდება ყოველწლიურად. 2015 წლის სტრატეგიაში, მსჯავრდებულთა რეაბილიტაცია-რესოციალიზაციის თავში აღნიშნულია შემდეგი პრიორიტეტები: „2013 წლიდან სოციალური მიმართულება სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სისტემის ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტია. დარგობრივი სამინისტროებისა და სხვადასხვა პარტნიორი ორგანიზაციების დახმარებით, მიმდინარეობს სხვადასხვა სახელობო, პროფესიული და საგანმანათლებლო კურსები სასჯელაღსრულების სხვადასხვა დაწესებულებაში. გაიწერა 10 ფსიქო-სოციალური ყველაზე ხშირად მოთხოვნადი პროგრამა და ეტაპობრივად დაიწყო დაწესებულებებში მათი განხორციელება ადგილობრივი რესურსით. ზემოაღნიშნულ პროგრამებში ყოველწლიურად ასობით მსჯავრდებული მონაწილეობს. ქცევაზე დაფუძნებული რისკების შეფასების შესაბამისად მსჯავრდებულთა გადანაწილების პრაქტიკა და სასჯელის ინდივიდუალური დაგეგმვის მეთოდოლოგიის

1 საქართველო-ევროკავშირის 2014-2016 წლების ასოცირების დღის წესრიგი, გვ. 5

2 საქართველო-ევროკავშირის 2017-2020 წლების ასოცირების დღის წესრიგი, გვ. 16

3 პარლამენტის დადგენილება №2315-IIს. „საქართველოს ადამიანის უფლებათა დაცვის ეროვნული სტრატეგიის (2014-2020 წწ) დამტკიცების თაობაზე, 2014 წელი.

4 იქვე, პუნქტი №5

დანერგვა შესაძლებელს გახდის აღნიშნული მიმართულებით სამინისტროს რესურსების უკეთ მობილიზებას. სამინისტროს მიზანია მსჯავრდებულთა მაქსიმალურად დიდი რაოდენობის ჩართვა საგანმანათლებლო, სარეაბილიტაციო თუ დასაქმების პროგრამებში. მიმდინარეობს მუშაობა ახალი პროგრამების შემუშავებაზე. 2017-2018 წლებისათვის იგეგმება სასჯელაღსრულების დაწესებულებებში განთავსებულ მსჯავრდებულთათვის უმაღლესი განათლების ხელმისაწვდომობის ეტაპობრივად უზრუნველყოფა“.[5]

2016 წლის სტრატეგიაში ვხვდებით თითქმის ანალოგიური ტიპის ჩანაწერებს, თუმცა ზოგიერთი საკითხი/მიმართულება არის უფრო მეტად გაშლილი, კერძოდ: „მიმდინარეობს მუშაობა ახალი პროგრამების შემუშავებაზე. ამასთან, აქცენტი კეთდება პროფესიული მომზადების სასერტიფიკატო პროგრამებზე, რომელთაც პროფესიული კოლეჯები უზრუნველყოფენ. დაგეგმილია მსჯავრდებულთა მიზნით მეტი პროგრამების დანერგვა და შეთავაზება. 2017-2018 წლებისათვის იგეგმება სასჯელაღსრულების დაწესებულებებში განთავსებულ მსჯავრდებულთათვის უმაღლესი განათლების ხელმისაწვდომობის ეტაპობრივად უზრუნველყოფა. პატიმართა რესოციალიზაციის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტია მათი ეფექტიანი სარეაბილიტაციო პროგრამებით უზრუნველყოფა, მათ შორის, განათლების, პროფესიული სწავლებისა და დასაქმების მეშვეობით. სამინისტროს ინიციატივით, პენიტენციური დაწესებულებების ტერიტორიაზე ხელი შეეწყობა საწარმოების ფუნქციონირებას, სადაც დასაქმდებიან მსჯავრდებულები და მიიღებენ შესაბამის ანაზღაურებას. საკანონმდებლო ცვლილებების გზით, შესაძლებელი გახდება მსჯავრდებულთა დასაქმება პენიტენციურ დაწესებულებებში მცირე სარემონტო სამუშაოებზე. სამინისტრო ასევე ხელს შეუწყობს პატიმართა ინდივიდუალურ საქმიანობას და ამ საქმიანობის შედეგად წარმოებული პროდუქციის რეალიზაციას. ამ მიზნით, სამინისტრო უზრუნველყოფს ონლაინ პლატფორმის შექმნას, რაც გაამარტივებს მსჯავრდებულთა ინდივიდუალური შრომის შედეგად შექმნილი ნაწარმის რეალიზაციას და ამ გზით წაახალისებს მეტი მსჯავრდებულის ჩართვას ასეთი ტიპის საქმიანობაში“.[6]

2017 წლის სტრატეგიაშიც არის ასევე ანალოგიური ტიპის ჩანაწერები, რაც 2015-2016 წლების სტრატეგიებში. თუმცა აღნიშნულ სტრატეგიაში აღარ გვხვდება ჩანაწერი პენიტენციური დაწესებულებების ტერიტორიაზე საწარმოების ფუნქციონირების ხელშეწყობასთან და ამ მიზნით ონლაინ პლატფორმის შექმნასთან დაკავშირებით, როგორც ეს იყო აღნიშნული 2016 წლის სტრატეგიაში. გარდა ამისა, 2017 წლის სტარტეგიაში დამატებით არის აღნიშნული, რომ „აქცენტი კეთდება პროფესიული მომზადების სასერტიფიკატო პროგრამებზე, რომელთაც პროფესიული კოლეჯები უზრუნველყოფენ“.[7]

2018 წლის სტრატეგიაში ვხვდებით თითქმის იგივე ჩანაწერებს რაც წინა წლების სტრატეგიებშია, თუმცა ზოგიერთი საკითხი/მიმართულება აქ უფრო მეტად არის გაშლილი, კერძოდ, ანგარიშში აღნიშნულია, რომ „პენიტენციურ სისტემაში განთავსებულ ბრალდებულებთან აქტიურად მიმდინარეობს ფსიქო-სოციალური მხარდაჭერითი მუშაობა. მისასალმებელია სასჯელის მოხდის ინდივიდუალური დაგეგმვის დანერგვა ყველა პენიტენციურ დაწესებულებაში, რომელიც უზრუნველყოფს ბენეფიციარის რისკებისა და საჭიროებების გამოკვეთას და შემდგომ, მიზნობრივად, შესაბამის სარეაბილიტაციო პროგრამაში გადამისამართებას, მსჯავრდებულთან შეთანხმებით. მნიშვნელოვანია ზიანის რისკის ინსტრუმენტის დანერგვა პენიტენციურ სისტემაში და, ასევე, რისკისა და საჭიროების შეფასების ინსტრუმენტის განახლება, რათა იგი გახდეს ობიექტური და შესაძლებელი იყოს რეციდივის ალბათობის ქულობრივი გამოთვლა. სარეაბილიტაციო პროგრამების სტანდარტების, შეფასებისა და მიმოხილვის მატრიცების შემუშავება პროგრამების და მასში მონაწილე პირების მიერ მიღწეული შედეგების გაზომვას უზრუნველყოფს. ერთიანი მიდგომების ჩამოყალიბება კი, როგორც პენიტენციურ, ისე პრობაციის სისტემასა და დანაშაულის პრევენციის ცენტრში, გარდამავალობის პრინციპს იცავს. გათავისუფლებისათვის მომზადების პროცესში, ამისთვის სპეციალურად მომზადებულ პროგრამაში, სასურველია, პენიტენციური სისტემის ფასილიტატორების გარდა, მონაწილეობდეს პრობაციის სააგენტოს, პრევენციის ცენტრისა და სხვა სამთავრობო თუ არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლები, რომლებიც მუშაობენ კანონთან კონფლიქტში მყოფ პირებთან სერვისების გაცნობისა და გათავისუფლების შემდგომ ბენეფიციართა ეფექტური მხარდაჭერის მიზნით. მნიშვნელოვანი პროცესია გარდამავალი მენეჯმენტის უზრუნველყოფა სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სისტემებს შორის, როცა პენიტენციურ სისტემაში არსებული შეფასება, დაგეგმვა და მიღწეული პროგრესი გადაეცემა პრობაციის სისტემას არასაპატიმრო სასჯელის გეგმის გაწერისას მხედველობაში მისაღებად.“ გარდა ამისა, 2017 წლის სტრატეგიისგან განსხვავებით, 2018 წლის სტრატეგიაში ისევ გვხვდება ჩანაწერი პენიტენციური დაწესებულებების ტერიტორიაზე საწარმოების ფუნქციონირების ხელშეწყობასთან და ამ მიზნით ონლაინ პლატფორმის შექმნასთან დაკავშირებით, კერძოდ: „სამინისტროს ინიციატივით, პენიტენციური დაწესებულებების ტერიტორიაზე ხელი შეეწყობა საწარმოების ფუნქციონირებას, სადაც დასაქმდებიან მსჯავრდებულები და მიიღებენ შესაბამის ანაზღაურებას. სამინისტრო ასევე ხელს უწყობს პატიმართა ინდივიდუალურ საქმიანობას და ამ საქმიანობის შედეგად წარმოებული პროდუქციის რეალიზაციას. ამ მიზნით, სამინისტრომ უზრუნველყო ონლაინ პლატფორმის შექმნა, რამაც გაამარტივა მსჯავრდებულთა ინდივიდუალური შრომის შედეგად შექმნილი ნაწარმის რეალიზაცია და, ამ გზით წაახალისა მეტი მსჯავრდებულის ჩართვა ასეთი ტიპის საქმიანობაში“.[8]

---

5 სისხლის სამართლის რეფორმის რეფორმის სტრატეგია, 2015 წელი, გვ. 61-62

6 სისხლის სამართლის რეფორმის რეფორმის სტრატეგია, 2016 წელი, გვ. 70-71

7 იქვე, გვ. 101-102

8 სისხლის სამართლის რეფორმის რეფორმის სტრატეგია, 2018 წელი, გვ. 55-56

# 6. არსებული გამოწვევები

ამ ნაწილში წარმოდგენილია ინფორმაცია იმ გამოწვევების შესახებ, რაც იკვეთებოდა წლების განმავლობაში (2013-2017 წწ). ასევე წარმოდგენილია 2018 წლისთვის არსებული მდგომარეობა. 2013-2017 წლების განმავლობაში იკვეთებოდა სხვადასხვა ტიპის ხარვეზები პენიტენციურ სისტემაში მსჯავრდებულთა სარეაბილიტაციო/რესოციალიზაციის პროცესის ორგანიზებასთან დაკავშირებით, რომელიც აღნიშნულია საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიშებში:

**2013 წელი** - ანგარიშში აღნიშნულია, რომ წლის განმავლობაში სისტემაში ხორციელდებოდა სხვადასხვა სახის პროფესიული და სახელობო კურსები, სპორტული აქტივობები და სხვადასხვა სახის ღონისძიებები, თუმცა აღნიშნული აქტივობები ძირითადად ხორციელდებოდა №2, №5, №11, №12 პენიტენციურ დაწესებულებებში. რამდენიმე პროგრამა განხორციელდა №14, №15, და №17 პენიტენციურ დაწესებულებებში. №6 სასჯელაღსრულების დაწესებულებაში ზოგადსაგანმანათლებლო და პროფესიული განათლების პროგრამები არ მოქმედებდა. აღნიშნულ დაწესებულებაში მოქმედებდა მხოლოდ ანტინარკოტიკული სარეაბილიტაციო პროგრამა „ატლანტისი" (რომელიც შემდგომ წლებში აღარ ფუნქციონირებს). №8 და №2 დაწესებულებაში ხორციელდებოდა „მეთადონის" პროგრამა და №8 დაწესებულებაში მხოლოდ მოქანდაკეობის შემსწავლელი კურსი (პურის გულის გამოყენებით).[9]

**2014 წელი -** №3, №7, №9, №18 დაწესებულებებში საგანმანათლებლო-სარეაბილიტაციო პროგრამები საერთოდ არ ხორციელდებოდა. მხოლოდ №5 (ქალთა) და №11 (არასრულწლოვნების) დაწესებულებები იყო პროგრამების მრავალფეროვნების კუთხით გამორჩეული. დახურული ტიპის დაწესებულებებში პრობლემას წარმოადგენდა ის ფაქტი, რომ მსჯავრდებულები ძირითადად 23 საათი საკანში იმყოფებიან და მათ არ ეძლეოდათ საშუალება, მიეღოთ მონაწილეობა სხვადასხვა ტიპის აქტივობებში. სახალხო დამცველის ანგარიშში ასახულ სტატისტიკურ ინფორმაციასა და სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს ანგარიშებში ასახულ ინფორმაციას შორის იკვეთებოდა დიდი სხვაობა, რაც ართულებს მონაცემების ობიექტურ ანალიზს.[10]

**2015 წელი** - 2014 წლისგან განსხვავებით, საგანმანათლებლო-სარეაბილიტაციო პროგრამები უფრო მრავალფეროვანი იყო. აღნიშნულ წელსაც პროგრამების მრავალფეროვნების კუთხით გამორჩეული იყო №5 (ქალთა) და №11 (არასრულწლოვნების) პენიტენციური დაწესებულებები. ასევე დადებითად შეფასდა მსჯავრდებულების დასაქმებასთან დაკავშირებით შემუშავებული საკანონმდებლო პაკეტი. თუმცა ამ პერიოდში ასევე იკვეთებოდა პრობლემები სხვადასხვა მიმართულებით, კერძოდ:

- დახურული ტიპის პენიტენციურ დაწესებულებებში მსჯავრდებულები ძირითადად 23 საათი საკანში იმყოფებიან და მათ არ ეძლეოდათ საშუალება, მიეღოთ მონაწილეობა სხვადასხვა ტიპის აქტივობებში;
- №7 და №9 დაწესებულებებში ამ პერიოდში არანაირი პროგრამა არ განხორციელებულა;
- №18, №19, №6, №3 დაწესებულებებში განხორციელდა მცირე რაოდენობის აქტივობა/პროგრამა;
- №3, №6, №7, №9, №18, №19 დაწესებულებებში ხორციელდებოდა გარკვეული სახის პროგრამები, თუმცა ძალიან მცირე რაოდენობის;
- მსჯავრდებულთა სამუშაო პირობები და სამუშო გრაფიკი არ შეესაბამებოდა სამოქალაქო სექტორში არსებულს სტანდარტებს.

სახალხო დამცველის ანგარიშში ასახულ სტატისტიკურ ინფორმაციასა და სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს ანგარიშებში ასახულ ინფორმაციას შორის იკვეთებოდა დიდი სხვაობა, რაც ართულებს მონაცემების ობიექტურ ანალიზს.[11]

**2016 წელი** - აღნიშნულ წელსაც პროგრამების მრავალფეროვნების კუთხით გამორჩეული იყო №5 (ქალთა) და №11 (არასრულწლოვნების) პენიტენციური დაწესებულებები. ასევე დადებითად შეფასდა უმაღლესი განათლების ხელმისაწვდომობასთან დაკავშირებით პატიმრობის კოდექსში შეტანილი ცვლილებები (თუმცა უარყოფითად არის შეფასებული ის შეზღუდვა, რაც უწესდება ამ კუთხით სახდელდადებულ პირს). ასევე დადებითად შეფასდა კანონმდებლობაში შეტანილი ცვლილება, რომლის მიხედვითაც, ინდივიდუალური საქმია-

9 საქართველოს სახალხო დამცველის 2013 წლის ანგარიში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა მდგომარეობის შესახებ.

10 საქართველოს სახალხო დამცველის 2014 წლის ანგარიში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა მდგომარეობის შესახებ.

11 საქართველოს სახალხო დამცველის 2015 წლის ანგარიში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა მდგომარეობის შესახებ.

ნობის უფლება აქვს მსჯავრდებულს და შეუძლია ინტერნეტ გაყიდვების მეშვეობით მოახდინოს პროდუქციის რეალიზება, რომლის თანხაც ანგარიშზე ჩაერიცხება. თუმცა ამ პერიოდში ასევე იკვეთებოდა პრობლემები სხვადასხვა მიმართულებით, კერძოდ:

- დახურული ტიპის პენიტენციურ დაწესებულებებში მსჯავრდებულები ძირითადად 23 საათი საკანში იმყოფებიან და მათ არ ეძლეოდათ საშუალება, მიეღოთ მონაწილეობა სხვადასხვა ტიპის აქტივობებში;
- სასჯელის მოხდის ინდივიდუალური დაგეგმვის პროცესი მიმდინარეობდა მხოლოდ №5, №11 და №16 დაწესებულებებში;
- განსაკუთრებული რისკის დაწესებულებში და №14 და №15 დაწესებულებებში იყო პროგრამების სიმცირე;
- ენის ბარიერის გამო, უცხოელი პატიმრებისთვის არ იყო ხელმისაწვდომი პროგრამები;
- დაწესებულებებში იყო სოციალური მუშაკების და ფსიქოლოგების მცირე რაოდენობა.
- №2 და №3 დაწესებულებებში ფსიქოლოგებს საერთოდ არ ჰქონდათ ოთახები;
- 2016 წელს 2015 წლისგან განსხვავებით, შემცირებული იყო დასაქმებულ პირთა რაოდენობა;
- დასაქმებასთან დაკავშირებით, პრობლემას წარმოადგენდა ის ფაქტი, რომ პატიმრებს უწევთ მუშაობა შაბათ-კვირას და წინასწარ არ იციან, რა სახის სამუშაოს შესრულება მოუწევთ;
- არ იყო ჩამოყალიბებული სერვისების ეფექტურობის შეფასების კრიტერიუმები;
- არ იყო წინასწარ ცნობილი, რა სახის საჭიროებები არსებობდა პენიტენციურ დაწესებულებებში სერვისების ორგანიზების კუთხით.[12]

სახალხო დამცველის ანგარიშში ასახულ სტატისტიკურ ინფორმაციასა და სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს ანგარიშებში ასახულ ინფორმაციას შორის იკვეთებოდა დიდი სხვაობა, რაც ართულებს მონაცემების ობიექტურ ანალიზს.

**2017 წელი -** აღნიშნულ წელს უმეტესობა პრობლემებისა, რაც გამოიკვეთა 2016 წელს ისევ ძალაში რჩებოდა. თუმცა დადებითად შეფასდა გათავისუფლების მომზადების დაწესებულების ამოქმედებასთან დაკავშირებით განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილებები. გარდა იმისა, რომ 2016 წელში არსებული პრობლემები იყო თითქმის იდენტური. თუმცა ანგარიშში ცალკე არის ხაზგასმული გამოწვევების თაობაზე შემდეგი მიმართულებებით:

- განსაკუთრებული რისკის დაწესებულებებში მსჯავრდებულებს არ ეძლეოდათ პროგრამებში ჩართვის შესაძლებლობა. ასევე გამოიკვეთა უვადო პატიმრების სარეაბილიტაციო პროგრამებში ჩართვის პრობლემა;
- ლგბტ თემთან დაკავშირებით გამოიკვეთა დისკრიმინაციული მიდგომები საგანმანათლებლო-სარეაბილიტაციო პროგრამებში მათ ჩართულობასთან დაკშირებით;
- გამოიკვეთა პრობლემები სუბკულტურასთან დაკავშირებით, რომელიც გავლენას ახდენს საგანმანათლებლო-სარეაბილიტაციო პროგრამების ორგანიზებასთან დაკავშირებით.[13]

2017-2018 წლებში სხვადასხვა არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ განხორციელდა სხვადასხვა ტიპის კვლევები, რომლებიც შეეხებოდა მსჯავრდებულთა საგანმანათლებლო-სარეაბილიტაციო პროცესის ორგანიზებას პენიტენციურ დაწესებულებებში. ამ კვლევების მეორადი ანალიზი განხორციელდა 2018 წლის ბოლოს სამაგიდე კვლევების სახით[14]. სახალხო დამცველის ანგარიშებში ასახული რეკომენდაციების (რომელიც მოცემულია ზევით) და განხორციელებული სამაგიდე კვლევების საფუძველზე, შეჯამების სახით შეგვიძლია წარმოვადგინოთ ის გამოწვევები, რაც არსებობდა პენიტენციურ დაწესებულებებში 2018 წლის ბოლოს: უნდა ითქვას, რომ არსებული კანონმდებლობა ძირითადში შეესაბამება საერთაშორისო სტანდარტებს

12 საქართველოს სახალხო დამცველის 2016 წლის ანგარიში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა მდგომარეობის შესახებ.

13 საქართველოს სახალხო დამცველის 2017 წლის ანგარიში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა მდგომარეობის შესახებ.

14 https://www.rivg.ge/media/1001537/2019/03/04/442648aabd5aa3402a620b8e92775844.pdf

და პრაქტიკას, თუმცა არის საკითხები, სადაც იკვეთება ხარვეზები, რომლებიც საჭიროებს დახვეწას. კერძოდ, მსჯავრდებულთა შრომითი სტანდარტების შესაბამისობა სამოქალაქო სექტორში არსებულ სტანდარტებთან - სამეურნეო მომსახურებაში დასაქმებული პატიმრებს აქვთ არანორმირებული სამუშაო დრო და ფაქტობრივად, ხშირ შემთხვევაში დასვენების გარეშე უწევთ მუშაობა. ასევე, სამეურნეო მომსახურებაში ჩართვისას, პატიმრებმა წინასწარ არ იციან რა სახის სამუშაოს შესრულება მოუწევთ. გარდა ამისა, ერთ-ერთ ხარვეზს წარმოადგენს უმაღლესი განათლების მიღების შეზღუდვა დისციპლინურ სახდელდადებულ პირთათვის. მსჯავრდებულთა რეაბილიტაცია და რესოციალიზაცია არის სასჯელის ერთ-ერთი მთავარი ამოცანა და განათლების მიღება წარმოადგენს ერთ-ერთ მიმართულებას ამ გზაზე. გარდა ამისა, გამოიკვეთა გამოწვევები შემდეგი მიმართულებებით:

## ა) პროფესიული სწავლება

მოდულური სწავლება ხორციელდება როგორც პენიტენციალურ დაწესებულებებში, ისე საზოგადოებრივ კოლეჯებში. პენიტენციურ სისტემაში პროფესიული სწავლება არ არის თანაბრად ხელმისაწვდომი ყველა დაწესებულებაში. იქ, სადაც ხორციელდება ამ ტიპის სწავლება, ბენეფიციარს აქვს საშუალება მოკლე ვადაში (6 თვე) ერთ-ერთი მოდულის გავლით მოიპოვოს შესაბამისი კრედიტები. თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს, რომ პენიტენციურ დაწესებულებებში ხშირად განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ შემოთავაზებული კურსები მხოლოდ თეორიულ სწავლებას ეფუძნება და არ მოიცავს პრაქტიკულ ნაწილს. მაშინ, როდესაც ბენეფიციართა ნაწილისთვის მოდულურ სწავლებასთან შედარებით, უპირატესია პრაქტიკაზე დაფუძნებულ მოკლევადიან (6 თვეზე ნაკლები) პროგრამებში ჩართვა. ამიტომ მნიშვნელოვანია, რომ პროფესიული განათლების მიმწოდებელმა, სწავლების პარალელურად, მოახდინოს პრაქტიკული აღჭურვილობის ბაზის შექმნა და აღნიშნულის საშუალებით კურსის მიწოდება.

## ბ) სტატისტიკური ინფორმაციის წარმოება

საკმაოდ პრობლემურია სტატისტიკური ინფორმაციის წარმოება პენიტენციურ სისტემაში. უწყების ოფიციალურ ვებგვერდზე განთავსებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით საკმაოდ რთულია რაიმე სახის ანალიზის გაკეთება. როგორც საგანმანათლებლო-სარეაბილიტაციო პროგრამებში ჩართულობასთან დაკავშირებით, ასევე დასაქმების პროგრამაში ჩართულ პატიმრებთან მიმართებაში, სტატისტიკური ინფორმაცია არის წარმოდგენილი იმგვარად, რომ შეუძლებელია იმის განსაზღვრა, წლის განმავლობაში რამდენ პირს ჰქონდა შესაძლებლობა ესარგებლათ ამ პროგრამებით.

## გ) სასჯელის მოხდის ინდივიდუალური დაგეგმვის პროცესი

ინდივიდუალური დაგეგმვის პროცესი, რომელიც სარეაბილიტაციო პროცესის მნიშვნელოვანი კომპონენტია. კანონმდებლობით გათვალისწინებული ვალდებულების ფარგლებში, ეს პროცესი ყველა პენიტენციურ დაწესებულებაში უნდა მიმდინარეობდეს. კვლევის შედეგად იკვეთება, რომ ეს პროცესი მეტ-ნაკლებად სრულყოფილად ფუნქციონირებს მხოლოდ №11, №5 და №16 პენიტენციურ დაწესებულებებში. ამის თაობაზე აღნიშნულია წამების წინააღმდეგ ბრძოლის ევროპული კომიტეტის ანგარიშშიც.[15]

## დ) ადამიანური რესურსები

სოციალური მუშაკები და ფსიქოლოგები წარმოადგენენ მთავარ რგოლს საგანმანათლებლო-სარეაბილიტაციო პროცესის ორგანიზების პროცესში. მათი არასაკმარისი რაოდენობა ქმნის რისკს, რომ ინდივიდუალური დაგეგმვის და ზოგადად საგანმანათლებლო-სარეაბილიტაციო პროცესის ორგანიზება ეფექტიანად ვერ განხორციელდება. კვლევის შედეგად გამოიკვეთა, რომ პენიტენციურ დაწესებულებებში არის ხარვეზები სოციალური მუშაკების და ფსიქოლოგების რაოდენობასთან და მათ კვალიფიკაციასთან დაკავშირებით.

## ე) სერვისების დეფიციტი, მდგრადობა და ხარისხის კონტროლის სისტემა

სერვისების დეფიციტი არის ერთ-ერთი გამოწვევა პენიტენციურ დაწესებულებებში. კვლევამ გამოკვეთა, რომ სერვისები ძირითადად კონცენტრირებულია მხოლოდ სამ (№11, №5, №16) პენიტენციურ დაწესებულებში, სადაც პატიმართა დაახლოებით 5%-ია განთავსებული[16].

15 წამების წინააღმდეგ ბრძოლის ევროპული კომიტეტის ანგარიში 2018 წელს საქართველოში განხორციელებული ვიზიტის თაობაზე, პ. 73

16 http://moc.gov.ge/images/temp/2019/01/08/221299ddfc3f2318ddc1a185011f8331.pdf

არ არსებობს სხვადასხვა სახის სერვისების თაობაზე ისეთი ბაზები, რომელიც ხელმისაწვდომი იქნებოდა სხვადასხვა სახელმწიფო უწყებისა და არასამთავრობო ორგანიზაციისათვის. აღნიშნული ბაზები სასურველია შეიცავდეს უახლეს ინფორმაციას მიმდინარე და წარსულში არსებული პროგრამების შესახებ როგორც სახელმწიფო, ისე არასამთავრობო სექტორში. ამგვარი ბაზის არარსებობა, ბუნებრივია, ხელს უშლის როგორც პროგრამების ეფექტურ დაგეგმვას და გადაფარვის თავიდან აცილებას, ისე ორგანიზაციიდან ორგანიზაციაში ბენეფიციარების გადამისამართების შესაძლებლობას სასურველი სერვისის მისაღებად. არსებული პრაქტიკით იკვეთება, რომ მიმდინარე პროგრამებთან დაკავშირებით ინფორმაციის არარსებობის გამო, ორგანიზაციები ზოგჯერ ერთსა და იმავე სერვისს სთავაზობენ ბენეფიციარებს, სხვა საჭირო სერვისები კი საერთოდ არ არის მიწოდებული. გარდა ამისა, მტკიცებულებებზე დაყრდნობით, უნდა იყოს იდენტიფიცირებული იმ სერვისების ჩამონათვალი, რომლის საჭიროებაც აქვს პენიტენციურ სისტემას.

გარდა ამისა, ერთ-ერთ გამოწვევას წარმოადგენ როგორც ცალკე აღებული სერვისების, ასევე მთლიანი სარეაბილიტაციო/რესოციალიზაციის პროცესის ხარისხის შეფასების სისტემის ფაქტობრივად არარსებობა. არსებული ხარისხის კონტროლის მექანიზმები არაერთგვაროვანია და არ არის სისტემატიზირებული. აუცილებელია ჩამოყალიბდეს ხარისხის კონტროლის სისტემა, რომელმაც უნდა მოიცვას ისეთი სახის კომპონენტები, როგორიც არის სუპერვიზია/მონიტორინგი; უკუკავშირის და ანგარიშგების სისტემა; არსებული მონაცემების შეგროვებისა და ანალიზის სისტემა. ბუნებრივია, ამ პროცესში შესაძლოა გათვალისწინებული იყოს განსახვავებული მიდგომები დაწესებულებების ტიპის და მსჯავრდებულთა კატეგორიის მიხედვით. უნდა ჩამოყალიბდეს ხარისხის კონტროლის სისტემის ერთიანი ციკლი, რომელიც უნდა იყოს რეგულირებული საკანონმდებლო დონეზე.

### ვ) დახურული ტიპის დაწესებულებების რეჟიმი

ზოგადად სერვისების დეფიციტის გარდა, პრობლემას წარმოადგენს დახურული ტიპის დაწესებულებებში (პატიმრობის, დახურული და განსაკუთრებული რისკის დაწესებულებები) განთავსებული პატიმრების აქტივობებში ჩართულობა. როგორც სახალხო დამცველის ანგარიშებში, ასევე წამების წინააღმდეგ ბრძოლის ევროპული კომიტეტის ანგარიშში, აღნიშნულია,[17] რომ ამ დაწესებულებებში განთავსებული პირებს, ფაქტობრივად, არ ეძლევათ არანაირი სახის აქტივობებში მონაწილეობის შესაძლებლობა და ძირითადად 24 საათის განმავლობაში 23 საათს ატარებენ საკნებში.

### ზ) უწყებათაშორისი თანამშრომლობა

პენიტენციური სისტემიდან მსჯავრდებულთა გათავისუფლებისათვის მომზადების პროცესში პენიტენციურ დეპარტამენტსა და პრობაციის ეროვნულ სააგენტოს შორის თანამშრომლობა იწყება მსჯავრდებულის მხოლოდ შესაძლო ვადაზე ადრე გათავისუფლებამდე (ან სასჯელის მოუხდელი ნაწილის უფრო მსუბუქი სასჯელით შეცვლამდე) 3 თვით ადრე. ეს თანამშრომლობა ამ ეტაპზე მხოლოდ შემოიფარგლება ქალ და არასრულწლოვან მსჯავრდებულთა გათავისუფლებისათვის მომზადების პროცესში. ასევე ეს პროცესი ამჟამად უკვე ეხება №16 დაბალი რისკის პენიტენციურ დაწესებულებაში განთავსებულ მსჯავრდებულებს. ხოლო პენიტენციურ დეპარტამენტსა და დანაშაულის პრევენციის ცენტრს შორის დღეს არსებული თანამშრომლობა შემოიფარგლება მხოლოდ ბენეფიციართათავის ინფორმაციის მიწოდებით, თუ რა სახის სერვისებზე შეიძლება ჰქონდეთ წვდომა გათავისუფლების შემდეგ. მხოლოდ აღნიშნული აქტივობა არ წარმოდგენს გათავისუფლებისათვის მომზადების პროცესის ეფექტურ მექანიზმს.

### თ) ინფრასტრუქტურა

ადეკვატური ინფრასტტუქტურის არსებობა წარმოადგენს ერთ-ერთ მნიშვნელოვან კომპონენტს შესაბამისი სერვისების ორგანიზების კუთხით პენიტენციურ დაწესებულებებში. კვლევებმა აჩვენა, რომ ამ ეტაპზე არ არის ჩამოყალიბებული ინფრასტრუქტურის განვითარების მოკლევადიანი და გრძელვადიანი გეგმა. ინფრასტურქტურასთან დაკავშირებული პრობლემები აფერხებს ბენეფიციართა ეფექტიანი რეაბილიტაციის პროცესს (შესაბამისი სივრცეების არარსებობა პროგრამების ორგანიზებისთვის; სოციალური მუშაკების და ფსიქოლოგების სამუშაო გარემო) და პატიმართა რისკების მიხედვით ეფექტიან კლასიფიცირებას, რაც ერთ-ერთ გამოწვევას წარმოადგენს კრიმინალური სუბკულტურის გავლენების შემცირების კუთხითაც, რაც ამავდროულად ხელს უშლის სარეაბილიტაციო პროცესის ეფექტურ ორგანიზებას.

---

17 წამების წინააღმდეგ ბრძოლის ევროპული კომიტეტის ანგარიში 2018 წელს საქართველოში განხორციელებული ვიზიტის თაობაზე, პ. 48, 72

### ი) ბენეფიციართა დაბალი მოტივაცია

როგორც კვლევებმა აჩვენა, პენიტენციურ სისტემაში ბენეფიციარებს აქვთ დაბალი მოტივაცია ჩაერთონ პროგრამებში. ხშირ შემთხვევაში, მათ არ აქვთ სრულყოფილი ინფორმაცია იმ არსებული სერვისების შესახებ, რომელსაც ახორციელებენ შესაბამისი უწყებები. ამ ეტაპზე არ არის ჩამოყალიბებული ბენეფიციართა მოტივირების ეფექტიანი და მტკიცებულებებზე დაფუძნებული სისტემა, რაც არსებულ სერვისებს/პროგრამებს ბენეფიციართათვის მეტად მიმზიდველს გახდიდა.

### კ) კრიმინალური სუბკულტურა

როგორც კვლევებმა აჩვენა, ბენეფიციართათავის სერვისების მიწოდების პროცესში კრიმინალური სუბკულტურა არის ერთ-ერთი ხელის შემშლელი ფაქტორი. ერთ-ერთი მიზეზი, თუ რატომაც ვერ ხორციელდება სხვადასხვა სახის სერვისებში ბენეფიციართა ჩართვა, არის კრიმინალური სუბკულტურა. კვლევები აჩვენებს, რომ კრიმინალურ სუბკულტურაში არსებული წესების თანახმად, ბენეფიციართა ჩართვა საგანმანათლებლო-სარეაბილიტაციო პროგრამებში ცუდ ტონად ითვლება პატიმართა გარკვეულ ჯგუფებს შორის, რის გამოც შესაძლოა აღნიშნული ახდენს გავლენას ბენეფიციართა მოტივაციაზე.[18] სუბკულტურასთან დაკავშირებული პრობლემის თაობაზე მიუთითებს ასევე წამების წინააღმდეგ ბრძოლის ევროპული კომიტეტი თავის ანგარიშში.[19]

### ლ) უმცირესობების უფლებრივი მდგომარეობა საგანმანათლებლო-სარეაბილიტაციო პროცესში

უცხო ქვეყნის მოქალქე ან მოქალაქეობის არმქონე პატიმრებისთვის არ არსებობს რესოციალიზაციის პროგრამები, ვინაიდან ეს ღონისძიებები წარმოებს ქართულ ენაზე. ხოლო სამეურნეო სამსახურში ჩარიცხულ პატიმრებს არ მიუღიათ სარეაბილიტაციო პროგრამებში მონაწილეობა სხვა პატიმრებთან ერთად, რაც მეტყველებს მათ მიუღებლობაზე სასჯელაღსრულების სისტემის დანარჩენი მოსახლეობის მხრიდან. სამეურნეო სამსახურში ჩარიცხულ პირებს პენიტენციური სისტემის სუბკულტურა ავტომატურად გამოარჩევს და მათ მარგინალიზებას ახდენს. აღნიშნულიდან გამომდინარე, უმცირესობის წარმომადგენელ ჯგუფებს არ ეძლევათ რესოციალიზაციის პროგრამებში ჩართვის შესაძლებლობა, ხოლო ასეთი სურვილის არსებობის შემთხვევაში, საკმაოდ მაღალია რისკი იმისა, რომ თავდაცვის მიზნით, უარი განაცხადონ ამ ღონისძიებებში ჩართულობაზე.

არც ერთ დაწესებულებაში არ ჩატარებულა თანასწორობისა და ტოლერანტობის პრინციპების შესახებ ცნობიერების ასამაღლებელი კურსები. ასეთი კურსები არ ჩატარებულა არც პენიტენციური დაწესებულების ადმინისტრაციის თანამშრომლებისთვის, რის გამოც შეუძლებელია დინამიური უსაფრთხოების მექანიზმების და მოწყვლადი ჯგუფის სპეციფიკური საჭიროებების განსაზღვრა და შემდგომ მათი უზრუნველყოფა.[20]

## 7. სამოქმედო გეგმების ანალიზი

### ა) ადამიანის უფლებათა დაცვის 2014-2015 წლების სამთავრობო სამოქმედო გეგმა[21].

აღნიშნული გეგმა იყო შემდეგი სტრუქტურით ჩამოყალიბებული:

- მიზანი; ამოცანა;
- საქმიანობა/ღონისძიება;
- პასუხისმგებელი უწყება;
- შესრულების ვადა;
- ინდიკატორი.



---

18 მსჯავრდებულთა საგანმანათლებლო-სარებილიტაციო პროცესი პენიტენციურ სისტემაში, სამაგიდე კვლევა, 2018 წელი.

19 წამების წინააღმდეგ ბრძოლის ევროპული კომიტეტის ანგარიში 2018 წელს საქართველოში განხორციელებული ვიზიტის თაობაზე, პ. 50-53, 71

20 უმცირესობების და უცხო ქვეყნის მოქალაქეების უფლებრივი მდგომარეობა პენიტენციურ სისტემაში, სამაგიდე კვლევა, 2018 წელი, გვ. 39-41

21 http://myrights.gov.ge/ka/documents/action%20plans%201

არ იყო მოცემული ბიუჯეტის გრაფა. გეგმა რესოციალიზაცია-რეაბილიტაციასთან დაკავშირებით აერთიანებდა 1 მიზანს, 1 ამოცანას და 4 ღონისძიებას/საქმიანობას. ცალ-ცალკე იქნება განხილული გეგმის ფარგლებში არსებული მიზნების, ამოცანების და აქტივობების რელევანტურობა, შესრულება და სტრუქტურა. აღნიშნულ სამოქმედო გეგმაში წარმოდგენილი ინდიკატორები გამოიყენება ღონისძიებების/საქმიანობის შეფასებისთვის.

**მიზანი 5.1.** საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი პენიტენციური სისტემის ჩამოყალიბება.

**ამოცანა 5.1.4.** ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა რესოციალიზაცია-რეაბილიტაცია.

**საქმიანობა/ღონისძიება 5.1.4.1.** საწარმოო ზონების და მინი დასაქმების კერების შექმნა პატიმართა შრომითი შესაძლებლობების გაზრდის მიზნით.

**ინდიკატორი**: სასჯელაღსრულების დაწესებულებებში შექმნილ საწაარმოო ზონების და მინი დასაქმების კერების რაოდენობა; საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად შრომითი ხელშეკრულებების საფუძველზე დასაქმებულ მსჯავრდებულთა რაოდენობა. შესრულების ვადა - 2014-2015 წწ.

**რელევანტურობა:** საქმიანობა თავისი შინაარსით რელევანტურია, თუმცა მისი შეფასების ინდიკატორი არის ზოგადი, არ არის გაზომვადი და შეუძლებელია იმის განსაზღვრა, თუ რა იყო ამ კუთხით კონკრეტულად დაგეგმილი. რამდენი საწარმოო ზონის და მინი დასაქმების კერის გახსნა? რამდენი მსჯავრდებულის დასაქმება?

**შესრულების შეფასება:** 2014-2015 წლების ადამიანის უფლებათა დაცვის სამთავრობო გეგმის შესრულების ანგარიშში აღნიშნულია, 2015 წელს დასრულდა №16 დაბალი რისკის პენიტენციური დაწესებულების საწარმოო ინფრასტრუქტურის მშენებლობა, ასევე, №5 პენიტენციურ დაწესებულებაში გაკეთდა სილამაზის სალონი და მოეწყო სამკერვალო მინი ფაბრიკა. საანგარიშო პერიოდის განმავლობაში ფუნქციონირებდა სულ 4 დასაქმების კერა. 2015 წელს დასაქმებული იყო სულ 860 მსჯავრდებული, მათ შორის 834 - სამეურნეო სამსახურში დასაქმებული, 5 - სილამაზის სალონში დასაქმებული და 21 - სამკერვალო სალონში დასაქმებული. გარდა, ამისა შემუშავდა კანონპროექტი „პატიმრობის კოდექსში“ ცვლილებების შეტანის შესახებ. საკანონმდებლო პაკეტი ასევე მოიცავდა ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა დასაქმების მარეგულირებელი ნორმების გადახედვას. ასევე, გაჟღერდა სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის ინიციატივა, რომელიც ითვალისწინებდა მსჯავრდებულის მიერ დამზადებული საგნების რეალიზაციას ელექტრონულად, ონლაინ მაღაზიების მეშვეობით. აღნიშნული აქტივობის სტატუსად მითითებული იყო - შესრულებული. [22] სახალხო დამცველი წლიურ ანგარიშებში დადებითად აფასებდა დასაქმებულ პატიმართა რაოდენობის ზრდას[23] და მიესალმებოდა, იმ საკანონმდებლო ცვლილებების პაკეტს, რომელიც შემუშავდა სამინისტროს მიერ.[24]

**დასკვნა:** აღნიშნული საქმიანობა თავისი შინაარსით ზოგადად იყო რელევანტური, თუმცა მისი შეფასების ინდიკატორები ზოგადია, რის გამოც მისი შესრულების შეფასება რთულია. თუმცა შესრულების შედეგების გათვალისწინებით, ეს აქტივობა შეიძლება ჩაითვალოს, რომ შესრულდა მხოლოდ ნაწილობრივ.

**საქმიანობა/ღონისძიება 5.1.4.2.** სასჯელაღსრულების დაწესებულებებში განათლების მიღების და ალტერნატიული პროფესიის დაუფლების შესაძლებლობა.

**ინდიკატორი**: დაწესებულებებში მიმდინარე საგანმანათლებლო, პროფესიული და სხვა სარეაბილიტაციო კურსები შესაბამისობაშია ეროვნულ სტანდარტებთან; საგანმანათლებლო, პროფესიულ და სხვა სარეაბილიტაციო კურსებში ჩართულ სერთიფიცირებულ პატიმართა რაოდენობა. შესრულების ვადა - 2014-2015 წწ.

**რელევანტურობა:** აღნიშნული საქმიანობა თავისი შინაარსით არის რელევანტური, თუმცა მისი შეფასების ინდიკატორი არის ზოგადი, არ არის გაზომვადი და ნაწილობრივ შეუძლებელია იმის განსაზღვრა, თუ რა იყო კონკრეტულად დაგეგმილი. სარეაბილიტაციო კურსების ეროვნულ სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანა არის ამ აქტივობის ერთ-ერთი კონკრეტული საზომი, თუმცა რამდენი პატიმრის ჩართვა იგეგმებოდა სარეაბილიტაციო პროგრამებში, ამ ინდიკატორით ვერ გაიზომება. ამის გათვალისწინებით, ბუნებრივია, ზოგადად მნიშვნელოვანია პროგრამებში პატიმართა ჩართვა, თუმცა თუ არ ჩანს რამდენი პატიმრის ჩართვა იგეგმება (მაგალითად, 100, 500, 5%, 10% და ა.შ.), ამ აქტივობის რელევანტურობის შეფასება რთულია.

**შესრულების შეფასება:** 2014-2015 წლების ადამიანის უფლებათა დაცვის სამთავრობო გეგმის შესრულების ანგარიშში აღნიშნულია, რომ №11 დაწესებულებაში ფუნქციონირებს საჯარო სკოლა, ხოლო არასრულწლოვანი

---

22 http://myrights.gov.ge/uploads/files/docs/37512014-2015finalgeo.pdf (ნანახია 04.03.2019 წწ)

23 საქართველოს სახალხო დამცველის 2014 წლის ანგარიში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ, გვ. 107

24 საქართველოს სახალხო დამცველის 2015 წლის ანგარიში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ, გვ. 76-77

ბრალდებულებისათვის №2 და №8 დაწესებულებაში - ზოგად განათლებაზე ხელმისაწვდომობის პროგრამა. ანგარიშში აღნიშნულია, რომ 2015 წელს ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის ექსტერნატის ფორმით დაძლევის გამოცდებში მონაწილეობა მიიღო 16-მა მსჯავრდებულმა, სკოლის გამოსაშვებ გამოცდებში 9 მსჯავრდებულმა, ხოლო ერთიან ეროვნულ გამოცდებში - 12-მა მსჯავრდებულმა. გარდა ამისა, სახელობო/პროფესიულ სწავლებაში მონაწილეობა მიიღო 302-მა მსჯავრდებულმა, კომპიუტერული სასწავლო პროგრამა გაიარა 377-მა მსჯავრდებულმა, ხოლო სატრენინგო/საგანმანათლებლო სწავლებაში ჩართული იყო 775 მსჯავრდებული. ანგარიშში ასევე აღნიშნული იყო, რომ სასჯელაღსრულების დაწესებულებებში ხელმისაწვდომი იყო შემდეგი სახის სახელობო/პროფესიული სწავლების კურსები: ხეზე კვეთა ქარგვა, კოსმეტოლოგია, ჭრა-კერვა, თექაზე მუშაობა, მასაჟი, მინანქრის ტექნოლოგია, სტილისტის შემსწავლელი კურსი. სატრენინგო-საგანმანათლებლო სწავლების შემდეგი კურსები: ინგლისური ენის, ქართული ენის, მცირე ბიზნესის მწარმოებელი, გიდი (ტურიზმი), სასტუმროს პერსონალის მომზადება, გალობის შემსწავლელი კურსი, მართვის მოწმობის შემსწავლელი თეორიული კურსი, მედავითნეობის შემსწავლელი კურსი. ხელმისაწვდომია შემდეგი კომპიუტერული სასწავლო პროგრამები: კომპიუტერული საოფისე პროგრამები, კომპიუტერული გრაფიკა, ვებ-დიზაინი, პროგრამა acces-ი. სასწავლო ცენტრის ორგანიზებით, პენიტენციური დეპარტამენტის შესაბამის სამსახურებთან თანამშრომლობით, სასწავლო დაწესებულებებში განათლების მიღებისა და ალტერნატიული პროფესიის დაუფლების ხელშეწყობის მიზნით, სპეციალური მომზადება (ტრენერთა ტრენერი) გაიარა პენიტენციური სისტემის 42-მა სოციალურმა მუშაკმა და ფსიქოლოგმა, რომლებიც ჩართულნი იყვნენ მსჯავრდებულთა საგანმანათლებლო პროგრამებში. ასევე, ტრენერთა ტრენინგი კომპიუტერული პროგრამების განხორციელების მიზნით გაიარა 19-მა ტრენერმა.[25] აღნიშნული აქტივობის სტატუსად მითითებული იყო - შესრულებული.

სახალხო დამცველის ანგარიშებში დადებითად არის შეფასებული სხვადასხვა სახის საგანმანათლებლო პროგრამებზე ხელმისაწდომობა, ძირითადად №5 ქალთა და №11 არასრულწლოვანთა დაწესებულებებში განთავსებული მსჯავრდებულებისთვის.[26] გარდა ამისა, 2015 წლის ანგარიშში აღნიშნულია, რომ პენიტენციურ დაწესებულებებში ხორციელდებოდა სხვადასხვა სახის საგანმანათლებლო/სახელობო და პროფესიული პროგრამები, თუმცა იქვე აღნიშნულია, რომ №18 დაწესებულებაში წლის განმავლობაში განხორციელდა მხოლოდ ერთი ფსიქო-სოციალური რეაბილიტაციის პროგრამა ოქტომბერ-ნოემბერში და აღნიშნულ პროგრამაში ჩართული იყო მხოლოდ 4 პატიმარი, ხოლო №19 დაწესებულებაში წლის განმავლობაში განხორციელდა 2 პროგრამა, კერძოდ, ხეზე კვეთა და ხატწერა - ჩართული იყო 4 მსჯავრდებული, ინგლისური ენის კურსი - ჩართული იყო 22 მსჯავრდებული. ასევე, აღსანიშნავია, რომ №3 დაწესებულებაში 2014 წელს არანაირი სარეაბილიტაციო აქტივობა საანგარიშო პეროდში არ განხორციელებულა.[27]

**დასკვნა:** აღნიშნული საქმიანობა ზოგადად იყო რელევანტური, თუმცა შეფასების ინდიკატორი იყო ძალიან ზოგადი და შეუძლებელი იყო იმის განსაზღვრა, თუ რა იყო კონკრეტულად დაგეგმილი. მიუხედავად იმისა, რომ შესრულების შედეგების გათვალისწინებით, შეინიშნებოდა გარკვეული სახის დინამიკა საგანმანათლებლო/პროფესიული პროგრამების განხორციელების კუთხით, იმ დროისთვის არსებული გამოწვევების გათვალისწინებით, აღნიშნული აქტივობა შესრულებულად ვერ ჩაითვლება. შეიძლება ითქვას, რომ შესრულდა მხოლოდ ნაწილობრივ.

**საქმიანობა/ღონისძიება 5.1.4.3.** ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა რესოციალიზაციის მიზნით ეფექტური სარეაბილიტაციო პროგრამების და სერვისების შემუშავება.

**ინდიკატორი**: მსჯავრდებულთათვის მიწოდებული პროგრამების და სერვისების რაოდენობა. შესრულების ვადა - 2014-2015 წწ.

**რელევანტურობა:** საქმიანობა თავისი შინაარსით არის რელევანტური, თუმცა მისი შეფასების ინდიკატორი არის ზოგადი, არ არის გაზომვადი და შეუძლებელია იმის განსაზღვრა, თუ რა იყო კონკრეტულად დაგეგმილი.

**შესრულების შეფასება:** 2014-2015 წლების ადამიანის უფლებათა დაცვის სამთავრობო გეგმის შესრულების ანგარიშში აღნიშნულია, რომ 2015 წლის დასაწყისში სასჯელაღსრულების დეპარტამენტში შეიქმნა სარეაბილიტაციო პროგრამების გაძლიერების სამუშაო ჯგუფი. სტანდარტიზებული და ხარისხიანი სერვისის მიწოდების მიზნით, პარტნიორი ორგანიზაციების მხარდაჭერით შემუშავდა ფსიქო-სოციალური პროგრამები: პენიტენციური სტრესის დაძლევის სარეაბილიტაციო პროგრამა, კოგნიტური და სოციალური უნარების განვითარება coso, ბრაზის მართვის პროგრამა, სასარგებლო უნარების განვითარების ჯგუფი - ძალადობის მსხვერპლთა და მოძალადეთა სარეაბილიტაციო პროგრამა, „ატლანტისი" - 12 ნაბიჯი, სარეაბილიტაციო პროგრამა წამალდამოკიდებულებისათვის, EQUP - დანაშაულის გაცნობიერება, ანტისოციალური ქცევის მქონე არასრულწლოვნების სარეაბილიტაციო პროგრამა, არტ თერაპია, ბიბლიო თერაპია. ევროკავშირის

25 http://myrights.gov.ge/uploads/files/docs/37512014-2015finalgeo.pdf (ნანახია 04.03.2019 წ).

26 საქართველოს სახალხო დამცველის 2014 წლის ანგარიში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ, გვ. 93; გვ. 174; გვ. 177

27 საქართველოს სახალხო დამცველის 2015 წლის ანგარიში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ, გვ. 119

ტექნიკური დახმარებით შეიქმნა ფსიქო-სოციალური სარეაბილიტაციო პროგრამა პოზიტიური აზროვნების უნარების განვითარების მოდული. პენიტენციური სისტემის ფსიქოლოგების და სოციალური მუშაკების რესურსით შეიქმნა 25-სესიიანი პროგრამა „გათავისუფლების მზადება". განხორციელდა 50-მდე ფსიქოლოგის და სოციალური მუშაკის გადამზადება აღნიშნულ პროგრამებში, რომელთაც თავის მხრივ, ამ პროგრამების იმპლემენტაცია მოახდინეს დაწესებულებებში. ფსიქო-სოციალურ პროგრამებში და ტრენინგებში ჩართული იყო 1520 ბენეფიციარი. ფსიქო-სოციალური ტრენინგებში - 1113 მსჯავრდებული, არტ/ბიბლიო თერაპია - 255 მსჯავრდებული, ფსიქო-სოციალური პროგრამები/თერაპიები (სარეაბილიტაციო) — 152 მსჯავრდებული. ამ აქტივობის შესრულების სტატუსად მითითებული იყო - ნაწილობრივ შესრულებული.[28]

სახალხო დამცველის 2014 წლის ანგარიშში აღნიშნულია, რომ მსჯავრდებულთა რესოციალიზაციისათვის სასჯელაღსრულების დაწესებულებებში ჩატარდა სხვადასხვა სახის ღონისძიებები. ასევე, აღნიშნულია, რომ სარეაბილიტაციო პროგრამები განხორციელდა №2, №5, №8, №11, №12, №14, №15 და №17 დაწესებულებებში. აღსანიშნავია, რომ 2013 წლის ანგარიშში სახალხო დამცველმა რეკომენდაციით მიმართა სასჯელაღსრულების სამინისტროს უზრუნველეყო №6, №7 და №8 დაწესებულებებში მსჯავრდებულთა რესოციალიზაციის სხვადასხვა პროგრამების დანერგვა და განხორციელება. აღსანიშნავია, რომ ეს რეკომენდაცია მხოლოდ 8 დაწესებულების შემთხვევაში შესრულდა და ისიც ნაწილობრივ.[29] სახალხო დამცველის 2015 წლის ანგარიშში აღნიშნულია, რომ სარეაბილიტაციო პროგრამები განხორციელდა №2, №3, №5 ,№6, №8, №11, №12, №14, №15, №16, №17, №18 და №19 დაწესებულებებში. ასევე, ჩატარდა სხვადასხვა სახის ღონისძიებები/აქტივობები. თუმცა ანგარიშში ასევე აღნიშნულია, რომ ეს აქტივობები არ ატარებდა სისტემურ ხასიათს.[30]

**დასკვნა:** აღნიშნული აქტივობა ზოგადად იყო რელევანტური, თუმცა მისი შეფასების ინდიკატორი იყო ძალიან ზოგადი და შეუძლებელი იყო იმის განსაზღვრა, თუ რა იყო კონკრეტულად დაგეგმილი. მიუხედავად იმისა, რომ შესრულების შედეგების გათვალისწინებით, შეინიშნებოდა პოზიტიური დინამიკა სარეაბილიტაციო პროგრამების განხორციელების კუთხით, იმ დროისთვის არსებული გამოწვევების გათვალისწინებით, აღნიშნული აქტივობა შესრულებულად ვერ ჩაითვლება. შეიძლება ითქვას, რომ შესრულდა მხოლოდ ნაწილობრივ.

**საქმიანობა/ღონისძიება 5.1.4.4.** მსჯავრდებულებთან მიმართებაში სასჯელის დაგეგმვის ინდივიდუალური მეთოდოლოგიის გამოყენება პილოტურის სახით რიგ დაწესებულებებში.

**ინდიკატორი**: სასჯელის დაგეგმვის ინდივიდუალური მიდგომით უზრუნველყოფილ პატიმართა რაოდენობა. შესრულების ვადა - 2014-2015 წწ.

**რელევანტურობა:** აქტივობა თავისი შინაარსით არის რელევანტური, თუმცა მისი შეფასების ინდიკატორი არის ზოგადი, არ არის გაზომვადი და შეუძლებელია იმის განსაზღვრა, თუ რა იყო კონკრეტულად დაგეგმილი (რომელ დაწესებულებებში იგეგმებოდა? რამდენი პატიმრის ჩართვა იგეგმებოდა?).

**შესრულების შეფასება:** 2014-2015 წლების ადამიანის უფლებათა დაცვის სამთავრობო გეგმის შესრულების ანგარიშში აღნიშნული იყო, რომ 2015 წელს ინდივიდუალური მიდგომა დაინერგა №16 დაწესებულებაში. №12 დაწესებულებაში პილოტირების დაწყება იგეგმებოდა. №6 დაწესებულებაში მიდგომის დასანერგად გადამზადებული იყო მულტიდისციპლინური გუნდი. სასჯელის ინდივიდუალური დაგეგმვით 2015 წლის 31 დეკემბერს უზრუნველყოფილი იყო 131 მსჯავრდებული. ამ აქტივობის შესრულების სტატუსად მითითებული იყო - შესრულებული.[31]

**დასკვნა:** აღნიშნული საქმიანობა ზოგადად იყო რელევანტური, თუმცა შეფასების ინდიკატორი იყო ძალიან ზოგადი და შეუძლებელი იყო იმის განსაზღვრა, თუ რა იყო კონკრეტულად დაგეგმილი. აქტივობის შესრულების შედეგების მიხედვით, არ ჩანს კონკრეტულად რომელ დაწესებულებებში იგეგმებოდა ინდივიდუალური მიდგომის დანერგვა და აქტივობა შესრულებულად ვერ ჩაითვლება. შეიძლება ითქვას, რომ შესრულდა მხოლოდ ნაწილობრივ.

**გეგმის ზოგადი შეფასება:** აღნიშნული გეგმით განსაზღვრული აქტივობები ზოგადად პასუხობდა არსებულ გამოწვევებს, თუმცა იყო იმდენად ზოგადი (არ იყო გაზომვადი), რომ რთული იყო იმის გასაზღვრა, თუ რა ნაბიჯების გადადგმა იგეგმებოდა რეალურად. გარდა ამისა, იმ პერიოდში არსებული გამოწვევების გათვალისწინებით, აღნიშნულ გეგმაში არ იყო ასახული ისეთი მნიშვნელოვანი საკითხები, როგორიც არის: სერვისების ხარისხის კონტროლის სისტემის მექანიზმის ჩამოყალიბება; კრიმინალური სუბკულტურის გავლენების დაძლევისთვის გადასადგმელი ნაბიჯები; პატიმართა მოტივირების მექანიზმების გაუმჯობესება; უწყებათაშორისი თანამშრომლობის მექანიზმის დახვეწა; მსჯავრდებულთა გათავისუფლებისათვის მომზადების

28 http://myrights.gov.ge/uploads/files/docs/37512014-2015finalgeo.pdf (ნანახია 04.03.2019 წ)

29 საქართველოს სახალხო დამცველის 2014 წლის ანგარიში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ, გვ. 16; გვ. 93; გვ. 96

30 საქართველოს სახალხო დამცველის 2015 წლის ანგარიში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ, გვ. 73-74

31 http://myrights.gov.ge/uploads/files/docs/37512014-2015finalgeo.pdf (ნანახია 04.03.2019 წ)

პროგრამის დანერგვა და განვითარება; უმცირესობებზე და მოწყვლად ჯგუფებზე მორგებული პროგრამების განვითარება; სტატისტიკური ინფორმაციის წარმოების გაუმჯობესება; პატიმართა შრომითი სტანდარტების გაუმჯობესება; დახურული ტიპის დაწესებულებებში აქტივოებების ორგანიზებასთან დაკავშირებით.

## ბ) ადამიანის უფლებათა დაცვის 2016-2017 წლების სამთავრობო გეგმა[32]

აღნიშნული გეგმა იყო შემდეგი სტრუქტურით ჩამოყალიბებული: მიზანი; ამოცანა; საქმიანობა; პასუხისმგებელი უწყება; შესრულების ვადა; ინდიკატორი. არ იყო მოცემული ბიუჯეტის გრაფა. გეგმა რესოციალიზაცია-რეაბილიტაციასთან დაკავშირებით აერთიანებდა - 2 მიზანს, 5 ამოცანას და 10 საქმიანობას. აღნიშნულ სამოქმედო გეგმაში წარმოდგენილი ინდიკატორები გამოიყენება საქმიანობის შეფასებისთვის.

**მიზანი 4.1.** საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი პენიტენციური სისტემის ჩამოყალიბება.

**ამოცანა 4.1.3.** მსჯავრდებულა კლასიფიკაციის, რისკების შეფასების და სასჯელის მოხდის ინდ. დაგეგმვის მეთოდოლოგიის დანერგვა და სრულყოფა.

**საქმიანობა 4.1.3.3.** მსჯავრდებულთათვის სასჯელის მოხდის ინდივიდუალური დაგეგმვის მეთოდოლოგიის ეტაპობრივი დანერგვა დაწესებულებებში.

**ინდიკატორი**: 2016 წელს სასჯელის მოხდის ინდივიდუალური დაგეგმვა უზრუნველყოფილია მინიმუმ 8 დაწესებულებაში, 2017 წელს დანერგილია დამატებით სამ დაწესებულებაში. შესრულების ვადა - 2016-2017 წწ.

**რელევანტურობა:** აქტივობა არის რელევანტური და გაზომვადი.

**შესრულების შეფასება:** 2016-2017 წწ ადამიანის უფლებათა დაცვის სამთავრობო გეგმის შესრულების ანგარიშში აღნიშნულია, რომ სასჯელის მოხდის ინდივიდუალური დაგეგმვის მიდგომის იმპლემენტაცია პენიტენციურ სისტემაში დაიწყო 2015 წელს სრულწლოვანთა მიმართ. 2017 წელს №2 და №14 პენიტენციურ დაწესებულებებში მოხდა მიდგომის სრული იმპლემენტირება, საანგარიშო წელს, დეკემბრის თვეში კი, ბოლო, №7 და №9 დაწესებულებებში დაიწყო იმპლემენტაციის პროცესი. 2017 წელს პენიტენციურ დაწესებულებებში სასჯელის მოხდის ინდივიდუალური გეგმის პროცესში ჩართულ პირთა სტატისტიკა: №2 დაწესებულება - 144 შემთხვევა, №3 დაწესებულება - 6 შემთხვევა, №5 დაწესებულება - 95 შემთხვევა, №6 დაწესებულება - 10 შემთხვევა, №8 დაწესებულება - 590 შემთხვევა, №11 დაწესებულება - 27 შემთხვევა, №12 დაწესებულება - 115 შემთხვევა, №14 დაწესებულება - 56 შემთხვევა, №15 დაწესებულება - 525 შემთხვევა, №16 დაწესებულება - 149 შემთხვევა, №17 დაწესებულება - 82 შემთხვევა, №18 დაწესებულება - 4 შემთხვევა, №19 დაწესებულება - 27 შემთხვევა. 2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, სასჯელის მოხდის ინდ. დაგეგმვაში ჩართული იყო მსჯავრდებულთა 23%. ამასთან, ყველა ქალი და არასრულწლოვანი მსჯავრდებული, ასევე, №16 დაბალი რისკის პენიტენციურ დაწესებულებაში მყოფი ყველა მსჯავრდებული, ჩართულია სასჯელის მოხდის ინდ. დაგეგმვაში. ამ აქტივობის შესრულების სტატუსად მითითებული იყო - სრულად შესრულებული.[33]

სახალხო დამცველის 2016 წლის ანგარიშში აღნიშნულია, რომ ინდივიდუალური დაგეგმვის პროცესი მიმდინარეობს №11, №5 და №16 დაწესებულებებში. 2016 წელს, როგორც საპილოტე პროგრამა, განხორციელდა №6, №12 და № 17 დაწესებულებებში. ანგარიშში ასევე მითითებულია, რომ მოცემული გეგმები ზოგადი ხასიათისაა და საჭიროებს დახვეწას. სახალხო დამცველი მიესალმება №8 დაწესებულებაში უვადოდ თავისუფლებააღკვეთილი პირებისათვის სასჯელის მოხდის ინდივიდუალური გეგმის შედგენის საპილოტე პროგრამის დაწყებას, რომლის რეკომენდაციაც 2015 წელს გაიცა სახალხო დამცველის მხრიდან. მიუხედავად ამისა, სპეციალური პრევენციული ჯგუფის წევრების მიერ მსჯავრდებულებთან გასაუბრების შედეგად გაირკვა, რომ მათმა უმრავლესობამ არ იცოდა აღნიშნული გეგმის არსებობის შესახებ. ასევე, აღსანიშნავია რომ გეგმები ზოგადი ხასიათისაა და არ შეიცავს კონკრეტულ ქმედებებს, რომლებიც უნდა განხორციელდეს უვადოდ თავისუფლებააღკვეთილ მსჯავრდებულთა რეაბილიტაციის პროცესში. ინდივიდუალური გეგმები არ იძლევა სრულ სურათს მსჯავრდებულის საჭიროებებისა და პრობლემების იდენტიფიცირების შედეგად სპეციალისტის მიერ გაწეული ან დაგეგმილი სამუშაოების შესახებ.[34]

**დასკვნა:** აღნიშნული საქმიანობა ზოგადად იყო რელევანტური და გაზომვადი. ამ აქტივობის შესრულების კუთხით არსებული ინფორმაცია, სხვადასხვა წყაროების მიხედვით არის ურთიერთსაწინააღმდეგო და არ არის ერთგვაროვანი. შესრულების შედეგების მიხედვით, საქმიანობა შესრულდა ნაწილობრივ, ვინაიდან იმ დაწე-

32 http://myrights.gov.ge/ka/documents/action%20plans%201

33 http://myrights.gov.ge/uploads/files/docs/37512014-2015finalgeo.pdf (ნანახია 04.03.2019 წ)

34 საქართველოს სახალხო დამცველის 2016 წლის ანგარიში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ, გვ. 110; გვ. 210; გვ. 218; გვ. 224-225

სებულებებში, სადაც ეს მიდგომა დაინერგა, არ ყოფილა ჩართული ყველა მსჯავრდებული, როგორც ეს იყო გეგმით გათვალისწინებული, ასევე, ცალკე კითხვის ნიშნის ქვეშ დგას ამ საქმიანობის შესრულების ხარისხი. აქედან გამომდინარე, ამ აქტივობის შესრულების სტატუსი (სრულად შესრულებული) არ არის ობიექტური.

**მიზანი 4.4**. ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა რესოციალიზაცია-რეაბილიტაცია.

**ამოცანა 4.4.1**. მსჯავრდებულთა დასაქმების შესაძლებლობის გაზრდის უზრუნველყოფა.

**საქმიანობა 4.4.1.1.** საწარმოო ზონების და დასაქმების მინი კერების შექმნა.

**ინდიკატორი:** სასჯელაღსრულების დაწესებულებაში ახალგახსნილი საწაარმოო ზონების და დასაქმების მინი კერების რაოდენობა; სასჯელაღსრულების დაწესებულებაში ახალგახსნილი საწაარმოო ზონების და დასაქმების მინი კერების რაოდენობა ყოველწლიურად გაზრდილია; უზრუნველყოფილია ყოველწლიურად დასაქმებულთა პროცენტული რაოდენობის ზრდა. შესრულების ვადა - 2016-2017 წწ.

**რელევანტურობა**: საქმიანობა თავისი შინაარსით არის რელევანტური, თუმცა ინდიკატორი არის ზოგადი და არ არის გაზომვადი. რამდენი საწაარმოო ზონის და დასაქმების მინი კერის გახსნა იგეგმებოდა? რომელ ან რამდენ დაწესებულებაში? რამდენი %-ით უნდა გაზრდილიყო საწაარმოო ზონების და დასაქმების მინი კერების რაოდენობა? რამდენი %-ით უნდა გაზრდილიყო დასაქმებულთა რაოდენობა?

**შესრულების შეფასება:** 2016-2017 წლის ადამიანის უფლებათა დაცვის სამთავრობო გეგმის შესრულების ანგარიშში აღნიშნულია, რომ 2016 წელს ივლისის თვეში სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს ინიციატივით შეიქმნა ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა ხელნაკეთი ნივთების გაყიდვების ვებგვერდი. ინდივიდუალური საქმიანობით დაკავდა და მიკრო ბიზნესის წარმომადგენლად დარეგისტრირდა 40 მსჯავრდებული. გასაყიდად წარმოდგენილი ხელნაკეთი ნივთები წარმოდგენილია სპეციალურად შექმნილ გაყიდვების ვებგვერდზე online.moc.gov.ge და მიმდინარეობს რეალიზაცია. სამეურნეო სამსახურში 2016 წელს ჩართული იყო 628 პატიმარი, 2017-ში კი - 717; 2016 წელს სადალაქოებში ჩართული იყო 5 პატიმარი, 2017 წელს- 6; პურის საცხობში ჩართული იყო: №15 დაწესებულებაში 2016 წელს 18 პატიმარი, 2017-ში - 20; №16 დაწესებულებაში 2016 წელს 18 პატიმარი, 2017 წელს კი - 20; №5 დაწესებულებაში სამკერვალო სალონში 2016 წელს 35 პატიმარი, 2017-ში კი - 32. ინდივიდუალური საქმიანობა, სხვადასხვა დაწესებულებებში - 2016 წელი - 40 პატიმარი, 2017 წელი - 67 პატიმარი. სულ დასაქმების პროგრამებში ჩართული იყო 2016 წელს 726 პატიმარი, 2017-ში კი - 850 პატიმარი.[35] აღნიშნული აქტივობის შესრულების სტატუსად მითითებულია - უმეტესად შესრულებული.

სახალხო დამცველი 2016 წლის ანგარიშში დადებითად აფასებს ონლაინ მაღაზიის მეშვეობით, ინდივიდუალური საქმიანობით დაკავებული პატიმრების ნამუშევრების რეალიზაციის შესაძლებლობას. ასევე, 2015 წელთა შედარებით, დადებითად აფასებს 2016 წელს №5 დაწესებულებაში დასაქმებულ პატიმართა რაოდენობის ზრდას. მიუხედავად ამისა, მნიშვნელოვნად მიაჩნია, რომ დაწესებულებაში დამკვიდრდეს ისეთი სამუშაოების შეთავაზების პრაქტიკა, რომელიც დაეხმარება პატიმრებს, აიმაღლონ კვალიფიკაცია და დაწესებულების დატოვების შემდგომ შეძლონ აღნიშნული გამოცდილების გამოყენება.[36] ანგარიშში ასევე ასახულია, რომ დაწესებულებებში დასაქმების კუთხით უარყოფითად უნდა შეფასდეს ის ფაქტი, რომ 2016 წელს, 2015 წელთან შედარებით, დასაქმებულ პატიმართა რაოდენობა 28.1%-ით შემცირდა. სამეურნეო სამსახურში ჩარიცხულ მსჯავრდებულთა მნიშვნელოვან ნაწილს, როგორც 2015, ასევე 2016 წელსაც, სურვილის მიუხედავად, კვლავ უწევდათ შაბათ-კვირას, სადღესასწაულო დღეებში და საჭიროების შემთხვევაში ღამის საათებში მუშაობა.[37]

2017 წლის სახალხო დამცველის ანგარიშში აღნიშნულია, რომ სახალხო დამცველი მიესალმება სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის მიერ გაჟღერებულ ინიციატივას. კერძოდ, სამინისტრო 2018 წელს ახალი რეგულაციის შემოღებაზე დაიწყებს მუშაობას, რომლის თანახმად, დაწესებულებაში დასაქმებულ მსჯავრდებულს, სამუშაო დღეების შესაბამისად, მოსახდელი სასჯელის ვადა შეუმცირდება.[38]

**დასკვნა:** აღნიშნული საქმიანობა ზოგადად იყო რელევანტური, თუმცა არ იყო გაზომვადი და შეუძლებელია იმის განსაზღვრა, კონკრეტულად რა იგეგმებოდა. თუმცა ზოგადად შესრულების შედეგების მიხედვით, შეიძლება ჩაითვალოს, რომ ეს საქმიანობა შესრულდა ნაწილობრივ.

**ამოცანა 4.4.2.** მსჯავრდებულთათვის საგანმანათლებლო და პროფესიული მომზადების პროგრამების გაუმჯობესება.

---

**35** http://myrights.gov.ge/uploads/files/docs/37512014-2015finalgeo.pdf (ნანახია 04.03.2019 წ)

**36** საქართველოს სახალხო დამცველის 2016 წლის ანგარიში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ, გვ. 123; გვ. 219

**37** იქვე, გვ. 24

**38** საქართველოს სახალხო დამცველის 2017 წლის ანგარიში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ, გვ. 49

**საქმიანობა 4.4.2.1.** ხარისხიანი საგანმანათლებლო და პროფესიული პროგრამების მიწოდება.

**ინდიკატორი**: დაწესებულებებში მიმდინარე საგანმანათლებლო და პროფესიული პროგრამების ეფექტურობა დადასტურებულია ბენეფიციართა გამოკითხვის შედეგად. შესრულების ვადა - 2016 წ.

**რელევანტურობა:** საქმიანობა არის რელევანტური და გაზომვადი.

**შესრულების შეფასება:** 2016-2017 წლების ადამიანის უფლებათა დაცვის სამთავრობო გეგმის შესრულების ანგარიშში აღნიშნულია, რომ 2017 წელს მსჯავრდებულებთან 2-ჯერ ჩატარდა გამოკითხვა მათი პროფესიული და საგანმანათლებლო კურსებში ჩართულობასთან დაკავშირებით. გამოკითხვაში მონაწილეობა მიიღო 2112-მა მსჯავრდებულმა. დაიგეგმა პროფესიული სწავლება ორ ეტაპად და მასში ჩართული იყო 1567 ბენეფიციარი.[39] აქტივობის შესრულების სტატუსად მითითებულია - უმეტესად შესრულებული.

2016 წლის სახალხო დამცველის ანგარიშში აღნიშნულია, სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს მიერ წარმოდგენილი პასუხის თანახმად, სარეაბილიტაციო პროგრამების დაგეგმვის მიზნით, 2016 წლის პირველ კვარტალში პენიტენციურ დაწესებულებებში ჩატარდა სოციალური აქტივობების საჭიროებების კვლევა. გამოკითხვაში მონაწილეობა მიიღო 1193-მა მსჯავრდებულმა. საჭიროებათა ანალიზის შედეგად კი დაიგეგმა 2016 წლის პირველი სასწავლო ეტაპი. გამოკითხვის მეორე ეტაპი ჩატარდა სექტემბრის თვეში, მასში მონაწილეობა მიიღო 894-მა მსჯავრდებულმა, რაც, თავის მხრივ, გახდება შემდგომი სასწავლო ეტაპის დაგეგმვის საფუძველი. 2016 წლის საერთო მონაცემებით, პროფესიულ-საგანმანათლებლო პროგრამებში მონაწილეობა მიიღო 1325-მა მსჯავრდებულმა.[40] 2017 წლის პრევენციის ეროვნული მექანიზმის ანგარიშში აღნიშნულია, რომ გამოწვევას წარმოადგენს უვადოდ თავისუფლებააღკვეთილი პირებისთვის სათანადო სარებილიტაციო პროგრამების არარსებობა, ასევე, ენობრივი ბარიერის გამო უცხოელი პატიმრების შეზღუდული ხელმისაწვდომობა სერვისებზე.[41]

**დასკვნა:** აღნიშნული საქმიანობა იყო რელევანტური. ამ აქტივობის შეფასების ინდიკატორი არის გაზომვადი. შესრულების შედეგების მიხედვით, ეს აქტივობა შესრულდა ნაწილობრივ.

**საქმიანობა 4.4.2.2.** სასჯელაღსრულების ყველა დაწესებულებაში განათლების მიღების და ალტერნატიული პროფესიების დაუფლების შესაძლებლობების გაზრდა.

**ინდიკატორი:** საგანმანათლებლო პროფესიულ პროგრამებში ჩართულია პატიმართა 20%. შესრულების ვადა - 2016-2017 წწ.

**რელევანტურობა:** აღნიშნული საქმიანობა არის რელევანტური და გაზომვადი.

**შესრულების შეფასება:** 2016-2017 წლების ადამიანის უფლებათა დაცვის სამთავრობო გეგმის შესრულების ანგარიშში აღნიშნულია, რომ საგანმანათლებლო და პროფესიულ პროგრამებში 2016 წლისთვის ჩართული იყო 1325 მსჯავრდებული, რაც წარმოადგენდა მსჯავრდებულთა საერთო რაოდენობის 16%-ს. 2017 წელს საგანმანათლებლო და პროფესიულ პროგრამებში ჩართული იყო 1567 ბენეფიციარი, რაც მსჯავრდებულთა საერთო საშუალო რაოდენობის 19,4%-ს შეადგენდა. აქტივობის შესრულების სტატუსად მითითებულია - უმეტესად შესრულებული.[42]

2016 წლის სახალხო დამცველის საპარლამენტო ანგარიშში აღნიშნულია, რომ №11 დაწესებულებაში არასრულწლოვანი მსჯავრდებულები ჩართულები იყვნენ ზოგადი განათლების მიღების პროცესში. თუმცა, №11 დაწესებულებისგან განსხვავებით, №8 და №2 დაწესებულებებში სასწავლო პროგრამა არ არის მიერთებული არცერთ საჯარო სკოლასთან, შესაბამისად, ზოგადი განათლების მიღების დამადასტურებელი დოკუმენტი არ გაიცემა. აღნიშნულიდან გამომდინარე, პატიმრები უმეტესად დიდ ინტერესს არ იჩენენ სასწავლო პროცესის მიმართ და ხშირად არ ესწრებიან გაკვეთილებს.[43]

2017 წლის პრევენციის ეროვნული მექანიზმის ანგარშში აღნიშნულია, რომ №2, №3, №8, №12, №14, №15, №17 დაწესებულებებში ხორციელდებოდა სხვადასხვა ტიპის აქტივობები (ოჯახური/მცირე სასატუმროს საქმის წარმოების შემსწავლელი კურსი; სასტუმროს საქმის წარმოების შემსწავლელი კურსი; ქარგვის შემსწავლელი კურსი; კომპიუტერის საბაზისო კურსი (word, excel, powerpoint); ინგლისური ენის შემსწავლელი; ქართული, როგორც მეორე ენა; მართვის მოწმობის შემსწავლელი თეორიული კურსი სხვა).[44]

39 http://myrights.gov.ge/uploads/files/docs/37512014-2015finalgeo.pdf (ნანახია 04.03.2019 წ)

40 საქართველოს სახალხო დამცველის 2016 წლის ანგარიში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ, გვ. 121

41 2017 წლის პრევენციის ეროვნული მექანიზმის ანგარიში, გვ. 22

42 http://myrights.gov.ge/uploads/files/docs/37512014-2015finalgeo.pdf (ნანახია 04.03.2019 წ)

43 საქართველოს სახალხო დამცველის 2016 წლის ანგარიში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ, გვ. 111-112; გვ. 211-212

44 2017 წლის პრევენციის ეროვნული მექანიზმის ანგარიში, გვ. 57-60

**დასკვა:** აღნიშნული საქმიანობა იყო რელევანტური და გაზომვადი. შესრულების შედეგების მიხედვით, ეს აქტივობა შესრულდა ნაწილობრივ.

**საქმიანობა 4.4.2.3.** რისკების შესაბამისად პატიმართა უზრუნველყოფა უმაღლესი განათლებით.

**ინდიკატორი**: შესაბამისი საკანონმდებლო ცვლილებების მომზადება, შესაბამისი რისკის მსჯავრდებულები უზრუნველყოფილნი არიან უმაღლესი განათლების მიღების საშუალებით. შესრულების ვადა - 2016-2017 წწ.

**რელევანტურობა:** საქმიანობა არის რელევანტური და გაზომვადი.

**შესრულების შეფასება:** 2016-2017 წლების ადამიანის უფლებათა დაცვის სამთავრობო გეგმის შესრულების ანგარიშში აღნიშნულია, რომ 2017 წლის 1 ივნისს პატიმრობის კოდექსში და უმაღლესი განათლების შესახებ საქართველოს კანონში განხორციელდა ცვლილებები, რომლის თანახმად, მსჯავრდებულს, რომელიც განთავსებულია გათავისუფლებისთვის მომზადების თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში, დაბალი რისკის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებასა და არასრულწლოვანთა სარეაბილიტაციო დაწესებულებაში უფლება ექნება ისარგებლოს აკადემიური უმაღლესი განათლების პირველ საფეხურზე (ბაკალავრიატი) განათლების მიღების უფლებით. 2016 წელს ეროვნულ გამოცდებში მონაწილეობა მიიღო 11-მა ბრალდებულმა/მსჯავრდებულმა, მათგან ჩაირიცხა 3, ხოლო საერთო სამაგისტრო გამოცდებში მონაწილეობა მიიღო ორმა მსჯავრდებულმა, ჩაირიცხა - 1. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში ბაკალავრის საფეხურზე დისტანციური/კორესპონდენციული მეთოდით სწავლობს 1 მსჯავრდებული,

ხოლო გ. თავართქილაძის სასწავლო უნივერსიტეტში იმავე მეთოდით 1 მაგისტრანტი. 2017 წელს ეროვნულ გამოცდებში მონაწილეობა მიიღო 16-მა მსჯავრდებულმა, უმაღლესი განათლების მიღების შესაძლებლობა მიეცათ: 10 მსჯავრდებული (ბაკალავრი), 3 ბრალდებული (ბაკალავრი), 1 მსჯავრდებული (მაგისტრატურა). აქტივობის შესრულების სტატუსად მითითებულია - უმეტესად შესრულებული.[45]

საქართველოს სახალხო დამცველი 2016 წლის ანგარიშში დადებითად აფასებს განხორციელებული ცვლილებების მომზადებას, რომლის თანახმად, მსჯავრდებულს, რომელიც განთავსებულია, გათავისუფლებისათვის მომზადების ან დაბალი რისკის, თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში, უფლება ექნება აკადემიური უმაღლესი განათლების პირველ საფეხურზე (ბაკალავრიატი) მიიღოს განათლება.[46]

**დასკვნა:** აღნიშნული საქმიანობა იყო რელევანტური, გაზომვადი და შესრულების შედეგების მიხედვით, შესრულდა სრულად.

**ამოცანა 4.4.3.** მსჯავრდებულთა რესოციალიზაცია-რეაბილიტაციის მიზნით ეფექტური ფსიქოსოციალური საინფორმაციო და სარეაბილიტაციო პროგრამების შემუშავება და სერვისების მიწოდება.

**საქმიანობა 4.4.3.1.** ფსიქო-სოციალური, საინფორმაციო და სარეაბილიტაციო პროგრამების ერთიანი სტანდარტის შემუშავება და პროგრამების პაკეტის შექმნა სპეციალური ჯგუფების გათვალისწინებით (მათ შორის ძალადობაზე, ნივთიერება დამოკიდებულობაზე, აზროვნების და ხედვის შეცვლაზე, ჯანსაღ ცხოვრებაზე, გათავისუფლებისათვის მზადებაზე და სხვა.).

**ინდიკატორი**: დამტკიცებული ფსიქო-სოციალური, საინფორმაციო და სარეაბილიტაციო პროგრამების ერთიანი სტანდარტი და პროგრამების პაკეტი; დაწესებულებაში დანერგილი ფსიქო-სოციალური, საინფორმაციო და სარეაბილიტაციო პროგრამების რაოდენობა; ფსიქო-სოციალური, საინფორმაციო და სარეაბილიტაციო პროგრამებში ჩართულ ბენეფიციართა რაოდენობა. შესრულების ვადა - 2016-2017 წწ.

**რელევანტურობა:** საქმიანობა არის რელევანტური, თუმცა მათი ნაწილი, არსებული ინდიკატორების მიხედვით, არ არის გაზომვადი. ფსიქო-სოციალური, საინფორმაციო და სარეაბილიტაციო პროგრამების ერთიანი სტანდარტის და პროგრამების პაკეტის შექმნა არის გაზომვადი. თუმცა, არ ჩანს რამდენი სახის ფსიქო-სოციალური, საინფორმაციო და სარეაბილიტაციო პროგრამების დანერგვა იგეგმებოდა. ასევე რამდენი ბენეფიციარის ჩართვა იგეგმებოდა ფსიქო-სოციალური, საინფორმაციო და სარეაბილიტაციო პროგრამებში.

**შესრულების შეფასება:** 2016-2017 წლების ადამიანის უფლებათა დაცვის სამთავრობო გეგმის შესრულების ანგარიშში აღნიშნულია, რომ 2016 წელს დაემატა 2 ახალი სატრენინგო მოდული: არტ თერაპია და ნარკოდამოკიდებულთა სარეაბილიტაციო პროგრამა, ასევე ატლანტისი. დაწესებულებებში დანერგილია 18 სხვადასხვა ფსიქო-სოციალური და სარეაბილიტაციო პროგრამა:

---

45 http://myrights.gov.ge/uploads/files/docs/37512014-2015finalgeo.pdf (ნანახია 04.03.2019წწ)

46 საქართველოს სახალხო დამცველის 2016 წლის ანგარიში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ გვ.122.

1. პენიტენციური სტრესის დაძლევის სარეაბილიტაციო პროგრამა;
2. კოგნიტური და სოციალური უნარების განვითარება - coso;
3. ბრაზის მართვის პროგრამა;
4. პოზიტიური აზროვნების უნარ-ჩვევების განვითარება;
5. სასარგებლო უნარების განვითარების ჯგუფი - ძალადობის მსხვერპლთა და მოძალადეთა სარეაბილიტაციო პროგრამა;
6. ოჯახურ სირთულეებთან გამკლავების პროგრამა - ტრენინგ მოდული ოჯახში და გენდერულ ძალადობაზე ძალადობის მსხვერპლი ქალებისათვის;
7. პოზიტიური ქცევის როლი ოჯახურ ურთიერთობაში;
8. გათავისუფლებისათვის მზადება;
9. ატლანტისი 12 ნაბიჯი;
10. სარეაბილიტაციო პროგრამა წამალდამოკიდებულებისათვის;
11. EQUIP - დანაშაულის გაცნობიერება;
12. ნაბიჯი ცვლილებისაკენ - დანაშაულის გაცნობიერების პროგრამა ზრდასრულთათვის;
13. სახვითი/ძერწვითი არტ თერაპია;
14. ბიბლიოთერაპია;
15. მუსიკა თერაპია;
16. ცხოვრების ჯანსაღი წესი;
17. ტრეფიკინგი;
18. ტუბერკულოზი.

2016 წელს ფსიქო-სოციალური სარეაბილიტაციო და საინფორმაციო პროგრამებში ჩართული იყო 1437 მსჯავრდებული (რაც შეადგენს მსჯავრდებულთა საერთო რაოდენობის დაახლოებით 18%-ს), მათ შორის, ჯგუფურ ინტერვენციებში - 437, სხვადასხვა სახის არტ თერაპიაში - 178, ხოლო ფსიქო-სოციალურ ტრენინგებში 822 ბენეფიციარი. №5 და №2 დაწესებულებებში მავნე ნივთიერებებზე დამოკიდებულთა მინესოტას მოდელზე აწყობილი სარეაბილიტაციო პროგრამა ატლანტისი. 2016 წლისათვის პროგრამაში ჩართული იყო 9 ქალი მსჯავრდებული და 6 კაცი მსჯავრდებული.

2017 წელს წამალდამოკიდებულთა სარეაბილიტაციო პროგრამაში ატლანტისი ჩართული იყო 25 ბენეფიციარი №5 და №2 დაწესებულებებში. სხვა დაწესებულებების ბაზაზე პილოტირება გაიარა წამალდამოკიდებულთა პროგრამამ „CBT და წამალდამოკიდებულება“. მაღალი საჭიროებიდან გამომდინარე, აღნიშნული პროგრამის ბაზაზე გაიწერა წამალდამოკიდებულთა 6-თვიანი სარეაბილიტაციო პროგრამა „ადიქტურ პირთა რეაბილიტაცია“, რომლის პილოტირებაც დაინერგა 2018 წელს ოთხ პენიტენციურ დაწესებულებაში. დაიწყო არსებული ფსიქო-სოციალური სარეაბილიტაციო პროგრამების ლოგიკური ჩარჩოს და შეფასების მატრიცების შექმნა მათი ეფექტიანობის და შედეგზე ორიენტირებულობის განსაზღვრის მიზნით. ჯამში 2017 წელს ფსიქო-სოციალურ სარეაბილიტაციო პროგრამებში ჩართული იყო - 1764 ბენეფიციარი. მათ შორის 263 არასრულწლოვანი და 248 ქალი პატიმარი. აქტივობის შესრულების სტატუსად მითითებულია - უმეტესად შესრულებული[47] .

სახალხო დამცველის 2016 წლის ანგარიშში აღნიშნულია, რომ №18 დაწესებულებაში მყოფ პატიმრებს დაწესებულების სოციალური მუშაკისა და ფსიქოლოგის მიერ ჩაუტარდათ ფსიქო-სოციალური რეაბილიტაციის კურსი „სუიციდის დაძლევის სტრატეგიები, ემოციასთან და სტრესთან გამკლავების უნარების განვითარება“ (13 ბენეფიციართან) და ჩატარდა არტთერაპიის კურსი (ჯგუფში 4 მსჯავრდებული). №19 დაწესებულებაში

47 http://myrights.gov.ge/uploads/files/docs/37512014-2015finalgeo.pdf (ნანახია 04.03.2019 წ)

პატიმრებს მიეცათ საშუალება შეესწავლათ ხატწერა და ხეზე კვეთა (3 მსჯავრდებული), ასევე ჩაუტარდათ არტთერაპიის კურსი (16 მსჯავრდებული). სახალხო დამცველი მიესალმება სასჯელაღსრულებისა და პენიტენციური სამინისტროს მიერ გადადგმულ ნაბიჯებს პენიტენციურ დაწესებულებებში სარეაბილიტაციო აქტივობების განსახორციელებლად, თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს, რომ რიგ დაწესებულებებში მწირი სახით იყო წარმოდგენილი სარეაბილიტაციო პროგრამები და მასში ჩართულ პატიმართა რაოდენობა არადამაკმაყოფილებელია. 2016 წელს პენიტენციური დაწესებულებებისა და სოციალური მუშაკების მიერ განხორციელდა სამეურნეო ნაწილში ჩარიცხული, განსაკუთრებით, მოწყვლადი ჯგუფის წარმომადგენელი 30 მსჯავრდებულის სხვადასხვა სახის ფსიქო-სარეაბილიტაციო პროგრამებში ჩართვა, სახალხო დამცველი მიესალმება მოწყვლადი ჯგუფის წარმომადგენლების სარეაბილიტაციო პროგრამაში ჩართვისკენ გადადგმულ ნაბიჯებს. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ამ კუთხით 2015 წელთან შედარებით, პენიტენციურ დაწესებულებაში არსებული მდგომარეობა არ შეცვლილა.[48]

2017 წლის პრევენციის ეროვნული მექანიზმის ანგარიშში აღნიშნულია, რომ №2, №6, №8, №12, №14, №15, №17 დაწესებულებებში განხორციელდა სხვადასხვა სახის პროგრამები (არტ თერაპია; ბიბლიოთერაპია; ატლანტისი; ბრაზის მართვა; კოგნიტური და სოციალური უნარების განვითარება; პენიტენციური სტრესის მართვა; სტიგმა და დისკრიმინაცია და სხვა). სახალხო დამცველის 2017 წლის ანგარიშში აღნიშნულია, რომ მიუხედავად გარკვეული ნაბიჯებისა, ამ მხრივ სისტემაში კვლავ მძიმე მდგომარეობაა. პრობლემას წარმოადგენს კვალიფიციური პერსონალის ნაკლებობა, პროგრამების არამრავალფეროვნება და სპორადულობა, ასევე მსჯავრდებულთა დაბალი ჩართულობა.[49]

**დასკვნა:** აღნიშნული საქმიანობა თავისი შინაარსით იყო რელევანტური, თუმცა შეფასების ინდიკატორების უმეტესობა იყო ზოგადი და არ იყო გაზომვადი. შესრულების შედეგების მიხედვით, მაგალითად, არ ჩანს და მკაფიოდ არ იკვეთება ანგარიშში ასახული პროგრამები საანგარიშო პერიოდში შემუშავდა, თუ ნაწილი მანამდე იყო შემუშავებული. გარდა ამისა, სხვადასხვა წყაროებში მითითებული ინფორმაცია (შესრულების ანგარიში, სახალხო დამცველი ანგარიში) არის წინააღმდეგობრივი და ამ მოცემულობით, რთულია იმის განსაზღვრა, კონკრეტულ პროგრამებში, ამ პერიოდში, რამდენი პატიმარი იყო ჩართული. მოცემული საქმიანობის, შეფასების ინდიკატორების და შესრულების შედეგებში ასახული ინფორმაციის საფუძველზე, აღნიშნული საქმიანობა შეიძლება ჩაითვალოს ნაწილობრივ შესრულებულად.

**საქმიანობა 4.4.3.2.** საერთაშორისო და ადგილობრივი კომპეტენტურ ორგანიზაციებთან/სტრუქტურებთან თანამშრომლობით სასჯელაღსრულების სისტემისა სოციალური მუშაკებისა და ფსიქოლოგების მომზადება/გადამზადება ჯგუფური და ინდივიდუალური მუშაობის ტექნიკებსა და სარეაბილიტაციო პროგრამებში.

**ინდიკატორი**: გადამზადებულ სოციალურ მუშაკებისა და ფსიქოლოგების მზარდი რაოდენობა. შესრულების ვადა - 2016-2017 წწ.

**რელევანტურობა:** საქმიანობა არის რელევანტური, თუმცა შეფასების ინდიკატორი ვერ ზომავს ამ აქტივობას. არ ჩანს, რამდენი სოციალური მუშაკის და ფსიქოლოგის გადამზადება იგეგმებოდა.

**შესრულების შეფასება:** 2016-2017 წლების ადამიანის უფლებათა დაცვის სამთავრობო გეგმის შესრულების ანგარიშში აღნიშნულია, რომ პენიტენციურ სისტემაში ფსიქო-სოციალური მიმართულებით სულ დასაქმებული იყო 180 სპეციალისტი, მათგან მენეჯერულ პოზიციაზე -18 (სამინისტროში - 3 და დაწესებულებებში - 15), სოციალური მუშაკი - 131 (სამინისტროში - 15, დაწესებულებებში - 116), ფსიქოლოგი - 31 (სამინისტროში 1, დაწესებულებებში - 30). 2016 წელს გადამზადდა პენიტენციური დაწესებულებების სოციალური განყოფილებების 60 თანამშრომელი (33%), ამათგან 19 ფსიქოლოგი და 41 სოციალური მუშაკი. ევროკავშირისა და ევროსაბჭოს ერთობლივი პროექტის - „ადამიანის უფლებები ციხეებსა და სხვა დახურული ტიპის დაწესებულებებში" - ფარგლებში, სასჯელაღსრულების სისტემის სოციალურმა მუშაკებმა და ფსიქოლოგებმა თეორიული და პრაქტიკული სწავლება (პრაქტიკული სავარჯიშოები, სიმულაცია) გაიარეს ისეთ მნიშვნელოვან საკითხებზე როგორიცაა დანაშაულის გაცნობიერება ზრდასრულთათვის. აღნიშნული ტრენინგის ფარგლებში 2016 წელს მომზადება გაიარა სასჯელაღსრულების სისტემის 19-მა სოციალურმა მუშაკმა და ფსიქოლოგმა. ასევე არტ-თერაპიის მოდულის მიხედვით, 2016 წელს გადამზადდა 38 სოციალური მუშაკი და ფსიქოლოგი. 2016 წელს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრში სხვადასხვა პროგრამის ფარგლებში გადამზადდა: მოტივაციური ინტერვიუ - 19 სოციალური მუშაკი და ფსიქოლოგი; შედეგების ანალიზის პედაგოგიკა - 5 სოციალური მუშაკი და ფსიქოლოგი; სარეაბილიტაციო პროგრამების განვითარების მხარდაჭერა პენიტენციურ და პრობაციის სისტემებში - 7 სოციალური მუშაკი და ფსიქოლოგი; TOT ტრენინგის ჩატარების მეთოდოლოგია და ტრენერობის უნარ-ჩვევების განვითარება - 9 სოციალური მუშაკი და ფსიქოლოგი. 2017 წელს სოციალური მუშაკები და ფსიქოლოგები მომზადნენ ფასილიტატორებად, არსებული პროგრამების სხვა-

---

48 საქართველოს სახალხო დამცველის 2016 წლის ანგარიში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ, გვ. 117-118; გვ. 122; გვ. 231

49 საქართველოს სახალხო დამცველის 2017 წლის ანგარიში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ, გვ. 49

დასხვა სარეაბილიტაციო პროგრამის ფარგლებში: თშჶ პოზიტიური აზროვნების უნარ-ჩვევების ინტერვენცია - 14 სოციალური მუშაკი და ფსიქოლოგი; ნაბიჯი ცვლილებისკენ (დანაშაულის გაცნობიერების პროგრამა) - 30 სოციალური მუშაკი და ფსიქოლოგი; არტ თერაპია წამალდამოკიდებულთათვის - 7 სოციალური მუშაკი და ფსიქოლოგი; თვითდახმარების ჯგუფები - 28 სოციალური მუშაკი და ფსიქოლოგი. აქტივობის შესრულების სტატუსად მითითებულია - უმეტესად შესრულებული[50]

**დასკვნა:** აღნიშნული აქტივობა თავისი შინაარსით იყო რელევანტური, თუმცა შეფასების ინდიკატორი არ იყო გაზომვადი. რთულია იმის განსაზღვრა, რამდენი სოციალური მუშაკის და ფსიქოლოგის გადამზადება იგეგმებოდა. თუმცა შესრულების შედეგების მიხედვით, აღნიშნული აქტივობა შეიძლება ჩაითვალოს ნაწილობრივ შესრულებულად.

**ამოცანა 4.6.5.** ქალ პატიმართა რეაბილიტაციის ხელშეწყობა.

**საქმიანობა 4.6.5.1.** მცირე დასაქმების კერების ჩამოყალიბება ქალთა დაწესებულებების ტერიტორიაზე.

**ინდიკატორი:** დასაქმებულ მსჯავრდებულ ქალთა მზარდი პროცენტული რაოდენობა, ახლად გახსნილი დასაქმების კერების რაოდენობა. შესრულების ვადა - 2016-2017 წწ.

**რელევანტურობა:** საქმიანობა არის რელევანტური, თუმცა შეფასების ინდიკატორით ეს აქტივობა ვერ გაიზომება და არ ჩანს კონკრეტულად რა იყო დაგეგმილი. რამდენი %-ით იგეგმებოდა დასაქმებულ ქალ პატიმართა რაოდენობის ზრდა, რამდენი დასაქმების კერის გახსნა იგეგმებოდა და ა.შ.

**შესრულების შეფასება:** 2016-2017 წლების ადამიანის უფლებათა დაცვის სამთავრობო გეგმის შესრულების ანგარიშში აღნიშნულია, რომ 2016 წელს დასაქმებული იყო 79 ქალი მსჯავრდებული, 2015 წელთან შედარებით, ქალთა დასაქმების მაჩვენებელი გაზრდილია 95%-ით. 2017 წელს სამეურნეო სამსახურის გარდა, სადაც დასაქმებულია 31 მსჯავრდებული, დასაქმებული იყო 64 მსჯავრდებული ქალი. გარდა ამისა, ქალი პატიმრები ჩართული იყვნენ ინდივიდუალურ საქმიანობაში. აქტივობის შესრულების სტატუსად მითითებულია - უმეტესად შესრულებული.[51]

სახალხო დამცველის 2016 წლის ანგარიშში აღნიშნულია, რომ სახალხო დამცველი დადებითად აფასებს 2016 წელს 2015 წელთან შედარებით, №5 დაწესებულებაში დასაქმებულ პატიმართა რაოდენობის გაზრდას.[52] 2017 წლის სახალხო დამცველის ანგარიშში ზოგადად არის აღნიშნული, რომ სახალხო დამცველი მიესალმება სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის მიერ გაჟღერებულ ინიციატივას. კერძოდ, სამინისტრო 2018 წელს ახალი რეგულაციის შემოღებაზე დაიწყებს მუშაობას, რომლის თანახმად, დაწესებულებაში დასაქმებულ მსჯავრდებულს, სამუშაო დღეების შესაბამისად, მოსახდელი სასჯელის ვადა შეუმცირდება.[53]

**დასკვნა:** აღნიშნული საქმიანობა თავისი შინაარსით იყო რელევანტური, მაგრამ შეფასების ინდიკატორები არ იყო გაზომვადი. თუმცა შესრულების შედეგების მიხედვით, აღნიშნული აქტივობა შეიძლება ჩაითვალოს ნაწილობრივ შესრულებულად.

**საქმიანობა 4.6.5.2.** ქალ მსჯავრდებულთათვის უმაღლესი განათლების ხელმისაწვდომობა.

**ინდიკატორი**: უმაღლესი განათლების პროგრამაში ჩართულ ქალთა რაოდენობა. შესრულების ვადა - 2016-2017 წწ.

**რელევანტურობა:** საქმიანობა არის რელევანტური, თუმცა შეფასების ინდიკატორით ეს აქტივობა ვერ გაიზომება და არ ჩანს კონკრეტულად რამდენი ქალი პატიმრის ჩართვა იგეგმებოდა უმაღლესი განათლების პროგრამაში.

**შესრულების შეფასება:** 2016-2017 წლების ადამიანის უფლებათა დაცვის სამთავრობო გეგმის შესრულების ანგარიშში აღნიშნულია, რომ 2016 წელს ეროვნულ გამოცდებში მონაწილეობის და უმაღლეს სასწავლებელში სწავლის მსურველი ქალი ბენეფიციარი არ ყოფილა განთავსებული პენიტენციურ სისტემაში. 2017 წელს ეროვნულ გამოცდებში მონაწილეობა მიიღო ერთმა მსჯავრდებულმა, ხოლო უმაღლესი განათლების ბაკალავრის საფეხურზე სწავლობს 1 მსჯავრდებული და 1 ბრალდებული ქალი.[54] აქტივობის შესრულების

50 http://myrights.gov.ge/uploads/files/docs/37512014-2015finalgeo.pdf (ნანახია 04.03.2019 წ)

51 იქვე.

52 საქართველოს სახალხო დამცველის 2016 წლის ანგარიში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ, გვ. 219; გვ. 123

53 საქართველოს სახალხო დამცველის 2017 წლის ანგარიში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ, გვ. 49

54 http://myrights.gov.ge/uploads/files/docs/37512014-2015finalgeo.pdf (ნანახია 04.03.2019 წ)

სტატუსად მითითებულია - სრულად შესრულებული. 2017 წლის სახალხო დამცველის ანგარიშში აღნიშნულია, რომ დადებითად უნდა შეფასდეს წარმოდგენილი რეფორმის ისეთი მნიშვნელოვანი ასპექტები, როგორიცაა გათავისუფლებისათვის მომზადების თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების შექმნა, არასაპატიმრო ღონისძიების ახალი სახის - შინაპატიმრობის ამოქმედება და გარკვეული კატეგორიის მსჯავრდებულთათვის უმაღლესი განათლების უფლების მინიჭება.[55]

**დასკვნა:** აღნიშნული საქმიანობა თავისი შინაარსით იყო რელევანტური, მაგრამ აქტივობა აღნიშნული ინდიკატორებით არ იყო გაზომვადი. თუმცა შესრულების შედეგების მიხედვით აღნიშნული აქტივობა, შეიძლება ჩაითვალოს ნაწილობრივ შესრულებულად.

**საქმიანობა 4.6.5.3.** ქალ მსჯავრდებულთა ფსიქო-სოციალური რეაბილიტაციის მიდგომების შემდგომი დახვეწა და პროგრამების დანერგვა.

**ინდიკატორი**: მოხსენება/ანგარიში ფსიქო-სოციალურ პროგრამებში განხორციელებული ცვლილებების შესახებ, ფსიქოსოციალურ პროგრამებში ჩართული ქალი პატიმრების რაოდენობის პროცენტული ზრდა. შესრულების ვადა - 2016-2017 წწ.

**რელევანტურობა:** საქმიანობა არის რელევანტური, მაგრამ ამ შეფასების ინდიკატორებით ამ აქტივობის გაზომვა ნაწილობრივ შეიძლება (ანგარიშებში ასახული ინფორმაცია). თუმცა არ ჩანს, რამდენი %-ით იგეგმება ფსიქოსოციალურ პროგრამებში ჩართული ქალი პატიმრების რაოდენობის პროცენტული ზრდა.

**შესრულების შეფასება:** 2016-2017 წლების ადამიანის უფლებათა დაცვის სამთავრობო გეგმის შესრულების ანგარიშში აღნიშნულია, რომ 2016 წელს ფსიქო-სოციალურ პროგრამებში ჩაერთო 286 მსჯავრდებული ქალი, რაც 2015 წლის მაჩვენებელთან მიმართებით გაზრდილია 167%-ით, ფსიქო-სოციალურ პროგრამებში ცვლილებები საანგარიშო პერიოდში არ განხორციელებულა. ქალთა №5 დაწესებულებაში დაინერგა მავნე ნივთიერებებზე დამოკიდებულთა სარეაბილიტაციო პროგრამა ატლანტისი, რომელშიც 2016 ჩართული იყო 9 ქალი მსჯავრდებული, ხოლო 2017 წელს 5 ქალი მსჯავრდებული. 2017 წელს ფსიქო-სოციალურ პროგრამებსა და ტრენინგებში 248 შემთხვევაში იყო ჩართული ქალი მსჯავრდებული. აქტივობის შესრულების სტატუსად მითითებულია - უმეტესად შესრულებული.[56]

2016 წლის სახალხო დამცველის ანგარიშში აღნიშნულია, რომ სახალხო დამცველი პოზიტიურად აფასებს №5 დაწესებულებაში რესოციალიზაციისა და საზოგადოებაში რეინტეგრაციის კუთხით ჩატარებულ აქტივობებს. ამ მხრივ აღსანიშნავია გათავისუფლებისათვის მზადების, ოჯახურ სირთულეებთან გამკლავების და კოგნიტური და სოციალური უნარების განვითარებისათვის ჩატარებული ტრენინგები. მისასალმებელია, დაწესებულებაში სპორტული და სხვა კულტურული ღონისძიებების, პროფესიული, სახელობო და სხვა სახის სასწავლო ტრენინგების ჩატარება.[57] სახალხო დამცველის 2017 წლის ანგარიშში აღნიშნულია, რომ მიუხედავად გარკვეული ნაბიჯებისა, ამ მხრივ სისტემაში კვლავ მძიმე მდგომარეობაა. პრობლემას წარმოადგენს კვალიფიციური პერსონალის ნაკლებობა, პროგრამების არამრავალფეროვნება და სპორადულობა, ასევე მსჯავრდებულთა დაბალი ჩართულობა.[58]

**დასკვნა:** აღნიშნული საქმიანობა თავისი შინაარსით იყო რელევანტური, თუმცა მითითებული ინდიკატორების და შესრულების შედეგების მიხედვით, აღნიშნული აქტივობ შეიძლება ჩაითვალოს ნაწილობრივ შესრულებულად.

**გეგმის ზოგადი შეფასება:** აღნიშნული გეგმით განსაზღვრული მიზანი და ამოცანები ზოგადად იყო რელევანტური და შეესაბამებოდა არსებულ გამოწვევებს. შეფასების ინდიკატორების უმეტესობა იყო ზოგადი, რომ მათი მეშვეობით იმის განსაზღვრა, თუ რა იგეგმებოდა, რთული იყო. შესრულების შედეგების მიხედვით, დაგეგმილი და განხორციელებული აქტივობები ვერ ჩაითვლება ბოლომდე რელევანტურად, თუმცა ზოგადად სახეზე იყო დადებითი დინამიკა, საგანმანათლებლო-სარეაბილიტაციო-დასაქმების პროგრამების ორგანიზების კუთხით პენიტენციურ სისტემაში.

გარდა ამისა, წარმოდგენილი მიზნების მიღწევა არსებული ამოცანებით ვერ განხორცილდებოდა. ასევე, ვერ იქნებოდა მიღწეული ზემოთ მოცემული ამოცანები, არსებული საქმიანობებით. აღნიშნულ გეგმაში არ იყო ასახული ისეთი მნიშვნელოვანი საკითხები, როგორიც არის - სერვისების ხარისხის კონტროლის სისტემის მექანიზმის ჩამოყალიბება; კრიმინალური სუბკულტურის გავლენების დაძლევისთვის გადასადგმელი ნაბიჯები; უწყებათაშორისი თანამშრომლობის მექანიზმის დახვეწა; პატიმართა მოტივირების მექანიზმების

55 საქართველოს სახალხო დამცველის 2017 წლის ანგარიში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ, გვ. 41

56 http://myrights.gov.ge/uploads/files/docs/37512014-2015finalgeo.pdf (ნანახია 04.03.2019 წ)

57 საქართველოს სახალხო დამცველის 2016 წლის ანგარიში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ, გვ. 214

58 საქართველოს სახალხო დამცველის 2017 წლის ანგარიში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ, გვ. 49

გაუმჯობესება; მსჯავრდებულთა გათავისუფლებისათვის მომზადების პროგრამის დანერგვა და განვითარება; უმცირესობებზე და მოწყვლად ჯგუფებზე მორგებული პროგრამების განვითარება (გარდა ქალ პატიმრების მიმართ დაგეგმილი აქტივობებისა); პატიმართა შრომითი სტანდარტების გაუმჯობესება; დახურული ტიპის დაწესებულებებში აქტივობების ორგანიზებასთან დაკავშირებით.

## გ) ადამიანის უფლებათა დაცვის 2018-2020 წლების სამთავრობო გეგმა[59]

აღნიშნული გეგმა არის შემდეგი სტრუქტურით ჩამოყალიბებული - მიზანი; ამოცანა; ამოცანის ინდიკატორი; საქმიანობა; პასუხისმგებელი უწყება; პარტნიორი უწყება; საერთაშორისო რეკომენდაცია; შესრულების ვადა; სტატუსი; ბიუჯეტი. გეგმა მოიცავს 3 მიზანს, 6 ამოცანას და 11 საქმიანობას. ქვემოთ წარმოდგენილი ინდიკატორები, წინა გეგმებისგან განსხვავებით, გამოიყენება ამოცანების შესრულების შეფასებისთვის.

**მიზანი 4.2.** განსაკუთრებული საჭიროებების მქონე (მოწყვლადი) ბრალდებულების/მსჯავრდებულების უფლებების დაცვის უზრუნველყოფა პენიტენციურ და პრობაციის სისტემებში.

**ამოცანა 4.2.3.** შშმ პირებისთვის სათანადო მომსახურების უზრუნველყოფა.

**ინდიკატორი**: შშმ პირებზე ადაპტირებული ფსიქო-სარეაბილიტაციო პროგრამების რაოდენობა მოთხოვნის შემთხვევაში, სარეაბილიტაციო პროგრამებში მონაწილე შშმ ბრალდებულ/მსჯავრდებულთა რაოდენობა.

**საქმიანობა 4.2.3.1.** პენიტენციურ დაწესებულებებში დადგენილი წესებისა და ინფრასტრუქტურის გათვალისწინებით, შშმ პირების საჭიროებებზე მორგებული აბილიტაცია/რეაბილიტაციის პროგრამების დანერგვა. შესრულების ვადა - 2018-2020 წწ.

**მიზანი 4.3.** ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა რესოციალიზაცია-რეაბილიტაციის ხელშეწყობა.

**ამოცანა 4.3.1.** მსჯავრდებულთათვის/ბრალდებულთათვის ფსიქო-სოციალური, საგანმანათლებლო და პროფესიული მომზადების და სარეკრეაციო პროგრამების გაუმჯობესება.

**ინდიკატორი**: პენიტენციურ დაწესებულებებში დანერგილი ფსიქო-სოციალური ტრენინგებისა და სარეაბილიტაციო პროგრამების ურთიერთმიმართება არსებულ საჭიროებებთან; საგანმანათლებლოდ პროფესიულ პროგრამებში ჩართულ ბენეფიციართა მზარდი რაოდენობა წინა წლებთან შედარებით; შესაბამისი რისკის მსჯავრდებულები უზრუნველყოფილნი არიან უმაღლესი განათლების მიღების საშუალებით.

**საქმიანობა 4.3.1.1.** პროგრამების ერთიანი სტანდარტის შემუშავება და პროგრამების პაკეტის შექმნა სპეციალური ჯგუფების გათვალისწინებით (მათ შორის, ძალადობაზე, ქცევის კორექციაზე, ნივთიერება დამოკიდებულობაზე, აზროვნების და ხედვის შეცვლაზე, ჯანსაღ ცხოვრებაზე, გათავისუფლებისათვის მზადებაზე და სხვა). შესრულების ვადა - 2018-2020 წწ.

**საქმიანობა 4.3.1.2.** უმაღლესი განათლების ელექტრონული პროგრამის დანერგვა. შესრულების ვადა - 2018-2020 წწ.

**საქმიანობა 4.3.1.3.** პროფესიული/საგანმანათლებლო (VET) პროგრამების რაოდენობის გაზრდა. **შესრულების ვადა -** 2018-2020 წწ.

**საქმიანობა 4.3.1.4.** საერთაშორისო და ადგილობრივ კომპეტენტურ ორგანიზაციებთან/სტრუქტურებთან თანამშრომლობით პენიტენციური სისტემის სოციალური მუშაკებისა და ფსიქოლოგების მომზადება/გადამზადება ჯგუფური და ინდივიდუალური მუშაობის ტექნიკისა და სარეაბილიტაციო პროგრამების მიმართულებით. შესრულების ვადა **-** 2018-2020 წწ.

**ამოცანა 4.3.2.** მსჯავრდებულთა დასაქმების შესაძლებლობის გაზრდის უზრუნველყოფა.

**ამოცანის ინდიკატორი**:პენიტენციურ დაწესებულებებში საწარმოო ზონების და დასაქმების ახალი მინი-კერების შექმნა დასაქმებულთა მზარდი პროცენტული რაოდენობა.

**საქმიანობა 4.3.2.1.** საწარმოო ზონების და დასაქმების მინი კერების და ინდივიდუალური მეწარმეობის ხელშეწყობა შექმნა პენიტენციური დაწესებულებების ტერიტორიაზე. შესრულების ვადა **-** 2018-2020 წწ.

59 http://myrights.gov.ge/ka/documents/action%20plans%201

**ამოცანა 4.3.3.** არასრულწლოვანთა რესოციალიზაციისთვის მზადების ხელშეწყობა, გარდამავალი მენეჯმენტის დახვეწა.

**ამოცანის ინდიკატორი**: განახლებული გარდამავალი მენეჯმენტი; გათავისუფლებისთვის მომზადების პროგრამის ბენეფიციართა საერთო რაოდენობის პერმანენტული ზრდა.

**საქმიანობა 4.3.3.1.** გარდამავალი მენეჯმენტის გადახედვა და ცვლილება საჭიროების შემთხვევაში. შესრულების ვადა - 2018-2019 წწ.

**ამოცანა 4.3.4.** ქალ ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა რეაბილიტაციის ხელშეწყობა.

**ამოცანის ინდიკატორი.** გენდერული ნიშნით შექმნილი სპეციალური ფსიქო-სოციალური პროგრამების რაოდენობა; საჭიროების მქონე მსჯავრდებულთა პროგრამებში ჩართვის მზარდი პროცენტული რაოდენობა; პროგრამებში ჩართული ქალი ბრალდებულების/მსჯავრდებულების საერთო რაოდენობის პერმანენტული ზრდა; ხელმისაწვდომი ნივთების ნუსხაში საჭიროებისამებრ შეტანილი ცვლილებები; მოხსენება/ანგარიში ფსიქოსოციალურ პროგრამებში განხორციელებული ცვლილებების შესახებ.

**საქმიანობა 4.3.4.1.** მცირე დასაქმების კერების გახნის შესაძლებლობის შესწავლა და შესაბამისი რეკომენდაციების მომზადება. შესრულების ვადა - 2018-2019 წწ.

**საქმიანობა 4.3.4.2.** გენდერული ნიშნით შექმნილი სპეც. ფსიქო-სოციალური რეაბილიტაციის მიდგომების შემდგომი დახვეწა და შესაბამისი პროგრამების შექმნა/დანერგვა. შესრულების ვადა - 2018-2019 წწ.

**საქმიანობა 4.3.4.3.** ქალ მსჯავრდებულთა ფსიქო-სოციალური რეაბილიტაციის მიდგომების შემდგომი დახვეწა და პროგრამების დანერგვა. შესრულების ვადა - 2018-2019 წწ.

**საქმიანობა 4.3.4.4.** გენდერული სპეციფიკის გათვალისწინებით ხელმისაწვდომი ნივთების ნუსხის გადახედვა. შესრულების ვადა - 2018-2019 წწ.

**მიზანი 4.5.** პენიტენციური სისტემის მართვა, ადამიანის უფლებებზე დაფუძნებული მიდგომებით.

**ამოცანა 4.5.1.** მსჯავრდებულთა კლასიფიკაციის, შემთხვევის მართვის, რისკებისა და საჭიროებების შეფასების გზით სასჯელის მოხდის ინდვიდუალური დაგეგმვის, რეკლასიფიკაციისა და გარდამავალი მენეჯმენტის (გათავისუფლების მზადების პროცესი და რეფერალის მექანიზმი) მეთოდოლოგიის სრულყოფა.

**ამოცანის ინდიკატორი**: ყველა მსჯავრდებულის საშიშროების რისკი განსაზღვრულია და განთავსებულია შესაბამის დაწესებულებაში; ქცევაზე დაფუძნებული რისკის შეფასების ინსტრუმენტში შეტანილია ცვლილებები რომელიც ეფუძნება კლასიფიკაციის/საშიშროების შეფასების ინსტრუმენტის ობიექტურ, ქულათა დაჯამების სისტემას; შეფასებულია პილოტირების შედეგები და რეკომენდაციები გათვალისწინებულია იმპლემენტაციის პროცესში.

**საქმიანობა 4.5.1.3.** №16, №5 და №17 პენიტენციურ დაწესებულებებში შემთხვევის მართვის თანამედროვე მეთოდით მუშაობა და რისკებისა და საჭიროებების შეფასების ინსტრუმენტის პილოტირება და დანერგვა. შესრულების ვადა - 2018-2020 წწ.

**გეგმის ზოგადი შეფასება**: აღნიშნული გეგმის მიზნები და ამოცანები თავისი შინაარსით ზოგადად არის რელევანტური და პასუხობს არსებულ გამოწვევებს. გეგმაში ასახულია ისეთი საკითხები, როგორიც არის შშმ პირების საჭიროებებზე მორგებული პროგრამების დანერგვა; სპეციალური საჭიროების მქონე ჯგუფებისთვის პროგრამების შექმნა და განხორციელება; უმაღლესი განათლების ელექტრონული პროგრამის დანერგვა; პროფესიული პროგრამების ზრდა; სოციალური მუშაკებისა და ფსიქოლოგების გადამზადება; საწარმოო ზონების და დასაქმების მინი კერების შექმნა; გარდამავალი მენეჯმენტის სისტემის დახვეწა; რისკებისა და საჭიროებების შეფასების ინსტრუმენტის პილოტირება და დანერგვა; ქალი პატიმრებისთვის ფსიქო-სოციალური პროგრამების შეთავაზება და სხვა. თუმცა გეგმაში არ არის ასახული ისეთი მნიშვნელოვანი საკითხები, როგორიც არის - სერვისების ხარისხის კონტროლის სისტემის მექანიზმის ჩამოყალიბება; კრიმინალური სუბკულტურის გავლენების დაძლევისთვის გადასადგმელი ნაბიჯები; პატიმართა მოტივირების სისტემის ჩამოყალიბება; უწყებათაშორისი თანამშრომლობის მექანიზმის დახვეწა (ამ ნაწილში მხოლოდ ე.წ „გარდამავალი მენეჯენტი არ იგულისმება. მაგ. თანამშრომლობა ადგილობრივ მუნიციპალიტეტებთან); ეთნიკურ და რელიგიურ უმცირესობებზე, ასევე უცხო ქვეყნის მოქალაქეებზე მორგებული პროგრამების განვითარება; პატიმართა შრომითი სტანდარტების გაუმჯობესება დახურული ტიპის დაწესებულებებში აქტივობების ორგანიზებასთან დაკავშირებით. შესაბამისად, არსებული ამოცანებით და საქმიანობებით გეგმის მიზნები მიღწეული სრულად ვერ იქნება.

წინა წლების გეგმებისგან განსხვავებით, აღნიშნულ გეგმაში, შეფასების ინდიკატორები მოცემულია ამოცანებისთვის და არა აქტივობებისთვის. თუმცა არსებული ინდიკატორებით, უმეტეს შემთხვევაში, შეუძლებელია იმის განსაზღვრა, თუ რა არის რეალურად დაგეგმილი. მხოლოდ ამის შემდეგ არის შესაძლებელი ზოგადად ვისაუბროთ ამოცანების და აქტივობების რელევანტურობაზე. ამ გეგმის შესრულების შეფასება არ განხორციელებულა, ვინაიდან შესრულების ვადა ჯერ გასული არ არის. თუმცა, აქვე უნდა ითქვას, რომ აღნიშნული გეგმა, წინა წლების გეგმებისგან განსხვავებით, როგორც სტრუქტურულად, ასევე შინაარსობრივად, არის გაუმჯობესებული. ასევე, ხშირ შემთხვევაში, არ იკვეთებოდა კავშირი მიზანს, ამოცანას, ინდიკატორს და საქმიანობას შორის, რის გამოც რთული იყო იმის განსაზღვრა, რა იყო კონკრეტულად დაგეგმილი და რა შედეგი უნდა მიღწეულიყო.

## დ) სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სისტემაში რესოციალიზაცია-რეაბილიტაციის 2015 წლის სამოქმედო გეგმა[60]

აღნიშნული გეგმა არის შემდეგი სტრუქტურით ჩამოყალიბებული - მიზანი; სტრატეგიული მიზანი; ინდიკატორი; არსებული მდგომარეობა; აქტივობა; მისაღწევი შედეგი; პასუხისმგებელი უწყება; რესურსი. გეგმა აერთიანებს ერთ მიზანს, 3 სტრატეგიულ მიზანს და 20 აქტივობას. გეგმაში წარმოდგენილი ინდიკატორი გამოიყენება აქტივობების შესრულების შეფასებისთვის.

**მიზანი 11.** მსჯავრდებულთა და ყოფილ მსაჯვრდებულთა რესოციალიზაცია-რეაბილიტაციისა და საზოგადოებაში ინტეგრაციის უზრუნველყოფა.

**სტრატეგიული მიზანი 1.** საჭიროებებზე მორგებული სარეაბილიტაციო პროგრამების განვითარება საუკეთესო ადგილობრივ და საერთაშორისო გამოცდილებაზე დაყრდნობით.

**აქტივობა 1.1.** რისკისა და საჭიროების შეფასების მეთოდოლოგიის (ბიო-ფსიქო-სოციალური შეფასება) დანერგვა და განვითარება რისკ-ჯგუფების იდენტიფიცირებისთვის. აგრეთვე, ბენეფიციართა მხრიდან რეციდივის შემთხვევების მიზეზების ანალიზის სისტემის დანერგვა.

**ინდიკატორი:** შეფასების ინსტრუმენტები; შეფასების ინსტრუმენტების ცვლილება.

**მისაღწევი შედეგი:** შეფასების ინსტრუმენტებისა და მეთოდოლოგიის ერთგვაროვნების უზრუნველყოფა; ყოფილ პატიმართა რეაბილიტაციისა და რესოციალიზაციის პროგრამაში ჩართულ ბენეფიციართა მხრიდან დანაშაულის განმეორებით ჩადენის რისკის შეფასებისა და რეციდივის შემთხვევების ანალიზის სისტემის დანერგვა.

**რელევანტურობა**: აქტივობა თავისი შინაარსით არის რელევანტური. თუმცა შეფასების ინდიკატორი ზოგადია და ამ ინდიკატორებით აქტივობის გაზომვა რთულია.

**შესრულების შეფასება**: სს მართლმსაჯულების სფეროში რესოციალიზაცია-რეაბილიტაციის 2015 წლის პროგრეს ანგარიშში აღნიშნულია, რომ 2015 წლის 29 აპრილის №33 ბრძანებით დამტკიცდა სასჯელის მოხდის ინდივიდუალური დაგეგმვის ინსტრუქცია, თანდართული რისკისა და საჭიროების (ბიო-ფსიქო-სოციალური შეფასება) შეფასების ინსტრუმენტით. მიდგომა დაინერგა №5 და №16 დაწესებულებებში. ამჟამად №12 დაწესებულებაში სასჯელის მოხდის ინდივიდუალური დაგეგმვა პილოტირების პროცესშია. №6 პენიტენციურ დაწესებულებაში მიდგომის დასანერგად გადამზადებულია მულტი გუნდი. დაწესებულების გახსნისთანავე დაიწყება მიდგომის დანერგვა.[61]

**დასკვნა**: აღნიშნული აქტივობა/მისაღწევი შედეგი ზოგადად იყო რელევანტური. შესრულების შედეგების მიხედვით, ყოფილ პატიმართა რეაბილიტაციისა და რესოციალიზაციის პროგრამაში ჩართულ ბენეფიციართა მხრიდან დანაშაულის განმეორებით ჩადენის რისკის შეფასებისა და რეციდივის შემთხვევების ანალიზის სისტემის დანერგვა არ განხორციელებულა. შემუშავდა ინდივიდულური დაგეგმვის მექანიზმი და ისიც დაინერგა მხოლოდ რამდენიმე დაწესებულებაში. აღნიშნული აქტივობა შესრულდა მხოლოდ ნაწილობრივ.

**აქტივობა 1.2.** ბენეფიციართა გამართული სარეგისტრაციო ბაზების ქონა და ერთიანი საძიებო პარამეტრების დამკვიდრება ბენეფიციართა რისკ-ჯგუფების და საჭიროებების მონაცემთა გენერირებისთვის.

**ინდიკატორი**: გამართული სარეგისტრაციო ბაზები, რომლებიც რისკ ჯგუფებისა და საჭიროებათა გენერერიების ფუნქციებით არის აღჭურვილი.

---

60 http://www.justice.gov.ge/AboutUs/Council/237

61 სს მართლმსაჯულების სფეროში რესოციალიზაცია-რეაბილიტაციის 2015 წლის პროგრეს ანგარიში, გვ. 121

**მისაღწევი შედეგი:** ყოფილ პატიმართა მონაცემთა ბაზის ტესტირების რეჟიმიდან სამუშაო რეჟიმში გადაყვანა; ბაზების ადმინისტრირება და საჭიროებათა შესახებ მონაცემების გაცვლა; მსჯავრდებულთა შესახებ ერთიანი მონაცემთა ბაზის შესაქმნელად ტექნიკური სამუშაოების დაწყება.

**რელევანტურობა:** აქტივობა თავისი შინაარსით არის რელევანტური და აღნიშნული ინდიკატორებით ამ აქტივობის გაზომვა შესაძლებელია.

**შესრულების შეფასება:** სს მართლმსაჯულების სფეროში რესოციალიზაცია-რეაბილიტაციის 2015 წლის პროგრეს ანგარიშში არ არის მითითებული ინფორმაცია აღნიშნული აქტივობის შესრულებასთან დაკავშირებით. არც სხვა სახის წყაროებშია ინფორმაცია ამის თაობაზე.

**დასკვნა:** აღნიშნული აქტივობა იყო რელევანტური, გაზომვადი, თუმცა არ შესრულებულა.

**აქტივობა 1.3.** საჭიროებებზე ორიენტირებული სერვისების მოკვლევა და ადაპტაცია ადგილობრივ და საერთაშორისო პრაქტიკაზე დაყრდნობით.

**ინდიკატორი:** მოძიებული პარტნიორი ორგანიზაციები; მინიმუმ ყოველი წლის ბოლოს სერვისებზე მოძიებული განახლებული ინფორმაცია; ერთობლივი სამუშაო შეხვედრები პარტნიორ ორგანიზაციებთან.

**მისაღწევი შედეგი:** სერვისებზე მოძიებული ინფორმაციის ანალიზი, სტანდარტიზაცია; არარსებული (ჩვენთვის საჭირო) მომსახურებების შექმნისათვის ბაზრის სტიმულირება.

**რელევანტურობა:** აქტივობა თავისი შინაარსით არის რელევანტური, თუმცა შეფასების ინდიკატორები არის ზოგადი და არ არის გაზომვადი. რამდენი პარტნიორი ორგანიზაცია უნდა იყოს მოძიებული? რამდენი შეხვედრა უნდა შედგეს პარტნიორ ორგანიზაციებთან? ეს ინდიკატორები როგორ ზომავს ამ აქტივობას?

**შესრულების შეფასება:** სს მართლმსაჯულების სფეროში რესოციალიზაცია-რეაბილიტაციის 2015 წლის პროგრეს ანგარიშში აღნიშნულია, რომ ევროკავშირის ტექნიკური დახმარებით, საანგარიშო პერიოდში შეიქმნა ფსიქო-სოციალური სარეაბილიტაციო პროგრამა/მოდული - პოზიტიური აზროვნების უნარების განვითარება, ბრიტანელი ექსპერტის ხელმძღვანელობითა და პენიტენციური დეპარტამენტის, პრობაციის სააგენტოს და დანაშაულის პრევენციის ცენტრის თანამშრომლების რესურსით. სამივე სტრუქტურაში მიმდინარეობს პროგრამის პილოტი, რომლის დასრულების შემდგომაც მოხდება საჭიროების შემთხვევაში პროგრამის ჩასწორება და შემდგომი სრული იმპლემენტაცია.[62]

**დასკვნა:** აღნიშნული აქტივობა ზოგადად იყო რელევანტური, თუმცა აღნიშნული ინდიკატორებით ამ აქტივობის შესრულების გაზომვა რთულია. შესრულების შედეგებში აღნიშნულია, რომ ევროკავშირის ტექნიკური დახმარებით შეიქმნა გარკვეული სახის პროგრამები, რომელიც ზოგადად, შესაძლოა, ნაწილობრივ შეესაბამებოდეს აქტივობას (თუმცა, არ ჩანს, რა სახის საჭიროებების კვლევა განხორციელდა, როდესაც ამ პროგრამის დანერგვა გადაწყდა), მაგრამ არ შეესაბამება ამ აქტივობისთვის დაგეგმილ მისაღწევ შედეგს. აქედან გამომდინარე, აღნიშნული აქტივობა/მისაღწევი შედეგის შეფასება ამ ინფორმაციაზე დაყრდნობით რთულია.

**აქტივობა 1.4.** ხშირად მოთხოვნადი სერვისების ორგანიზაციის ბაზაზე დანერგვა.

**ინდიკატორი:** ორგანიზაციის ბაზაზე დანერგილი შიდა მომსახურებები; გადამზადებული თანამშრომლები.

**მისაღწევი შედეგი:** იდენტიფიცირებული შიდა მომსახურებების დანერგვა, შეფასება, ადაპტირება, განახლება; თანამშრომელთა გადამზადება სასჯელაღსრულების სისტემაში არსებული და მოთხოვნადი სერვისებით იდენტიფიცირებულია. ყველა დაწესებულებაში პილოტის სახით ხორციელდება პროგრამები.

**რელევანტურობა:** აქტივობა თავისი შინაარსით არის რელევანტური, თუმცა ინდიკატორები არის ზოგადი და არ არის გაზომვადი. შეუძლებელია ამ ინდიკატორებით შეფასდეს, კონკრეტულად რა სახის აქტივობის განხორციელება იგეგმებოდა. რა სახის და რამდენი სახის შიდა მომსახურებების დანერგვა, შეფასება, ადაპტირება, განახლება მოხდებოდა ან რამდენ თანამშრომელს გადაამზადებდნენ.

**შესრულების შეფასება:** სს მართლმსაჯულების სფეროში რესოციალიზაცია-რეაბილიტაციის 2015 წლის პროგრეს ანგარიშში აღნიშნულია, რომ სტანდარტიზირებული და ხარისხიანი სერვისების მიწოდების მიზნით მსჯავრდებულთათვის შემუშავდა შემდეგი ფსიქო-სოციალური პროგრამები:

---

62 სს მართლმსაჯულების სფეროში რესოციალიზაცია-რეაბილიტაციის 2015 წლის პროგრეს ანგარიში, გვ. 122

- „პენიტენციური სტრესის დაძლევის“ სარეაბილიტაციო პროგრამა;
- „კოგნიტური და სოციალური უნარების განვითარება-COSO”;
- „ბრაზის მართვის პროგრამა“;
- „სასარგებლო უნარების განვითარების ჯგუფი“ - ძალადობის მსხვერპლთა და მოძალადეთა სარეაბილიტაციო პროგრამა;
- „ატლანტისი - 12 ნაბიჯი“;
- სტაციონარული ტიპის სარეაბილიტაციო პროგრამა წამალდამოკიდებულთათვის;
- სარეაბილიტაციო პროგრამა წამალდამოკიდებულთათვის;
- “EQUIP” - დანაშაულის გაცნობიერება, ანტისოციალური ქცევის მქონე არასრულწლოვნების სარეაბილიტაციო პროგრამა;
- არტთერაპია;
- ბიბლიოთერაპია;

პენიტენციური სისტემის სოციალური მუშაკებისა და ფსიქოლოგების რესურსით შეიქმნა პროგრამა „გათავისუფლებისთვის მზადება”, რომელიც მოიცავს 25 სესიას და პილოტირებას გადის ხუთ დაწესებულებაში და ამის შემდგომ დაინერგება მთელს სისტემაში; 2015 წელს განხორციელდა 50-მდე ფსიქოლოგის და სოციალური მუშაკის გადამზადება აღნიშნულ პროგრამებში, რომელთაც, თავის მხრივ, ამ პროგრამების იმპლემენტაცია მოახდინეს დაწესებულებებში. 2015 წლის განმავლობაში ფსიქო-სოციალურ ტრენინგებში და პროგრამებში ჩართული იყო 1520 ბენეფიციარი: ფსიქო-სოციალური ტრენინგები - 1113; ფსიქო-სოციალური პროგრამები/თერაპიები (სარეაბილიტაციო) - 152; არტ-თერაპია - 255.[63]

2015 წლის სახალხო დამცველის ანგარიშში აღნიშნულია, რომ პენიტენციურ დაწესებულებებში განხორციელდა სხვადასხვა სახის ფსიქო-სოციალური სარეაბილიტაციო პროგრამები; გათავისუფლებისათვის მომზადების პროგრამა; სტრესის მენეჯმენტის პროგრამა; ბრაზის/აგრესიის/კონფლიქტის განმუხტვის პროგრამა; სასარგებლო/სოციალური უნარები/პოზიტიური აზროვნების განვითარების პროგრამა; ტრეფიკინგის წინააღმდეგ ბრძოლის პროგრამა; არტ-თერაპია და სხვა სახის პროგრამები.[64]

**დასკვნა:** აღნიშნული აქტივობა ზოგადად იყო რელევანტური, მაგრამ როგორც უკვე აღინიშნა, ამ ინდიკატორებით ვერ შეფასდება, შესრულდა თუ არ ეს აქტივობა, ვინაიდან არ ჩანს კონკრეტულად რა იყო დაგეგმილი. თუმცა შესრულების შედეგების მიხედვით, ეს აქტივობა შეიძლება ნაწილობრივ შესრულებულად ჩაითვალოს.

**აქტივობა 1.5.** საბაზისო სერვისების კოორდინირებული შექმნისა და მიწოდების უზრუნველყოფა.

**ინდიკატორი:** უწყებათაშორისი თანამშრომლობის მექანიზმის შექმნა; თავშესაფრის, ნივთიერებაზე დამოკიდებულთა და ფსიქიკური პრობლემების მქონეთა მომართვიანობისა და მათი საჭიროებების დაკმაყოფილების მაჩვენებელი.

**მისაღწევი შედეგი:** შემუშავებულია ყოფილ პატიმართათვის თავშესაფრის ხარისხის სტანდარტები; ნივთიერებაზე დამოკიდებულთა და ფსიქიკური პრობლემების მქონეთა საჭიროებების დაკმაყოფილების მაჩვენებელი მაღალია წინა წელთან შედარებით. მსჯავრდებულებისთვის, პირობით მსჯავრდებულებისთვის, განრიდებულებისთვისა და ყოფილი პატიმრებისთვის ამოქმედებულია პროფესიული გადამზადების საბაზისო პაკეტის შეთავაზება; სასჯელაღსრულების სისტემაში შექმნილია შეზღუდული შესაძლებლობების პირთათვის ზრუნვის სტანდარტი; სასჯელაღსრულების სისტემაში შექმნილია ნივთიერებადამოკიდებულთა ზრუნვის სტანდარტი.

**რელევანტურობა**: აქტივობა თავისი შინაარსით იყო რელევანტური. მაგრამ შეფასების ერთ-ერთი ინდიკატორით არ არის შესაძლებელი აქტივობის გაზომვა (მაგ. უწყებათაშორისი თანამშრომლობის მექანიზმის შექმნა რაში გამოიხატება? მისაღწევ შედეგში ამის თაობაზე არაფერი წერია). მეორე ინდიკატორით (თავშესაფრის, ნივთიერებაზე დამოკიდებულთა და ფსიქიკური პრობლემების მქონეთა მომართვიანობისა და მათი საჭიროებების დაკმაყოფილების მაჩვენებელი) აქტივობის გაზომვა ნაწილობრივ არის შესაძლებელი (მისაღწევ

---

63 სს მართლმსაჯულების სფეროში რესოციალიზაცია-რეაბილიტაციის 2015 წლის პროგრეს ანგარიში, გვ. 123

64 საქართველოს სახალხო დამცველის 2015 წლის ანგარიში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ, გვ. 73-74

შედეგთან კავშირის მიხედვით), „წინა წელთან შედარებით“. თუმცა აქვე არ ჩანს, წინა წლის მაჩვენებელი რა არის, რომ მასთან შედარება მოხდეს.

**შესრულების შეფასება:** სს მართლმსაჯულების სფეროში რესოციალიზაცია-რეაბილიტაციის 2015 წლის პროგრეს ანგარიშში აღნიშნულია, რომ საანგარიშო პერიოდში სახელობო-პროფესიულ და საგანმანათლებლო გადამზადებაში ჩართული იყო 186 მსჯავრდებული, ხოლო ფსიქო-სოციალურ პროგრამაში - 211.[65]

**დასკვნა:** აღნიშნული აქტივობა ზოგადად იყო რელევანტური, თუმცა შეფასების ინდიკატორებით, ძირითადში, შეუძლებელი იყო აქტივობის გაზომვა. შესრულების შედეგების მიხედვით, ეს აქტივობა არ შესრულებულა.

**აქტივობა 1.6.** სერვისების ხარისხის კონტროლი.

**ინდიკატორი:** მომსახურების მიწოდების სტანდარტი; ხარისხის კონტროლის ინსტრუმენტი; მომსახურებების მონიტორინგის სისტემა.

**მისაღწევი შედეგი:** კვლევების განხორციელება სხვადასხვა მომსახურების ეფექტურობის შესწავლისა და ბენეფიციართა საჭიროებების უკეთ გამოვლენის მიზნით.

**რელევანტურობა:** აქტივობა თავისი შინაარსით არის რელევანტური და მოცემული ინდიკატორებით შესაძლებელია ამ აქტივობის გაზომვა. თუმცა მისაღწევი შედეგი არ არის ბოლომდე კავშირში აქტივობასთან და ინდიკატორებთან. ამ მისაღწევი შედეგით, მოცემული შედეგი, რომლის შესაფასებელი ინდიკატორებიც გვაქვს მოცემული, ვერ შესრულდება.

**შესრულების შეფასება:** სს მართლმსაჯულების სფეროში რესოციალიზაცია-რეაბილიტაციის 2015 წლის პროგრეს ანგარიშში აღნიშნულია, რომ ზრდასრულთა მომსახურების სტანდარტები შემუშავებულია და მზად არის დასამტკიცებლად.[66]

**დასკვნა:** აღნიშნული აქტივობა ზოგადად იყო რელევანტური. თუმცა შეფასების ინდიკატორების, მისაღწევი შედეგის და შესრულების შედეგების დაყრდნობით, ეს აქტივობა არ შესრულებულა.

**აქტივობა 1.7.** კვლევების დაგეგმვა სარეაბილიტაციო პროგრამების ეფექტიანობის გასაზომად (საბოლოო შედეგების გაზომვა).

**ინდიკატორი:** საბაზისო მონაცემების შექმნა; საკვლევი ობიექტის/პრობლემის იდენტიფიკაცია; დაგეგმილი და განხორციელებული კვლევები.

**მისაღწევი შედეგი:** კვლევების განხორციელება სხვადასხვა მომსახურების ეფექტურობის შესწავლისა და ბენეფიციართა საჭიროებების უკეთ გამოვლენის მიზნით.

**რელევანტურობა:** აქტივობა თავისი შინაარსით არის რელევანტური და მოცემული ინდიკატორებით შესაძლებელია ამ აქტივობის ნაწილობრივ გაზომვა. მაგალითად, არ ჩანს, რა იგულისხმება საბაზისო მონაცემების შექმნაში და მოცემული მისაღწევი შედეგით ეს შედეგი როგორ მიიღწევა.

**შესრულების შეფასება:** სს მართლმსაჯულების სფეროში რესოციალიზაცია-რეაბილიტაციის 2015 წლის პროგრეს ანგარიშში აღნიშნულია, რომ ძირითადი სარეაბილიტაციო პროგრამები ამჟამად იმპლემენტაციის პროცესშია. პროგრამების დანერგვიდან მხოლოდ 8-10 თვის შემდგომ არის რეკომენდირებული კვლევის გაკეთება ეფექტიანობის გასაზომად. აღნიშნული სოციალური კვლევა პენიტენციურ სისტემაში განხორციელდება 2016 წელს.[67]

**დასკვნა:** აღნიშნული აქტივობა ზოგადად იყო რელევანტური. თუმცა შეფასების ინდიკატორების, მისაღწევი შედეგის და შესრულების შედეგების დაყრდნობით, ეს აქტივობა არ შესრულებულა.

**სტრატეგიული მიზანი 2.** სარეაბილიტაციო პროცესში ჩართული უწყებებისა და ორგანიზაციების ინსტიტუციური გაძლიერება, პერსონალის მომზადება და განვითარება მაღალხარისხიანი სარეაბილიტაციო მომსახურების მიწოდებისთვის.

---

65 სს მართლმსაჯულების სფეროში რესოციალიზაცია-რეაბილიტაციის 2015 წლის პროგრეს ანგარიში, გვ. 124

66 იქვე, გვ. 124

67 იქვე, გვ. 125

**აქტივობა 2.1.** რესოციალიზაცია-რეაბილიტაციის პროცესში ჩართული უწყებების მიერ წინამდებარე სტრატეგიითა და სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული პრიორიტეტებისა და აქტივობების საკუთარ სტრატეგიებსა და სამოქმედო გეგმებში ასახვა.

**ინდიკატორი:** შესაბამისი უწყებების სტრატეგიული დოკუმენტები და სამოქმედო გეგმები, სადაც ასახულია აღნიშნული პრიორიტეტები და აქტივობები.

**მისაღწევი შედეგი:** სტრატეგიები და სამოქმედო გეგმები შესაბამისად განახლებულია.

**რელევანტურობა**: აღნიშნული აქტივობა არის რელევანტური და გაზომვადი.

**შესრულების შეფასება:** სს მართლმსაჯულების სფეროში რესოციალიზაცია-რეაბილიტაციის 2015 წლის პროგრეს ანგარიშში აღნიშნულია, რომ სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს სამოქმედო გეგმაში ასახულია პენიტენციური დეპარტამენტის სხვა უწყებათაშორის სამოქმედო გეგმებში აღნიშნული ყველა ვალდებულება.[68]

**დასკვნა:** აღნიშნული აქტივობა ზოგადად იყო რელევანტური, გაზომვადი, თუმცა შესრულდა ნაწილობრივ, ვინაიდან გეგმაში არ იყო ასახული ყველა ის მიმართულება, რაც იმ დროისთვის წარმოადგენდა გამოწვევას. აღნიშნული საკითხი დეტალურად შეგიძლიათ ნახოთ ქვევით, გეგმის ზოგადი შეფასების ნაწილში.

**აქტივობა 2.2.** რესოციალიზაცია-რეაბილიტაციის პროცესის ეფექტიანად წარმართვისთვის შესაბამის უწყებებში ინფრასტრუქტურის შექმნა.

**ინდიკატორი:** პრობაციის ეროვნულ სააგენტოში, დანაშაულის პრევენციის ცენტრსა და სასჯელაღსრულების დაწესებულებებში, პერსონალისთვის არსებული სამუშაო პირობები და შესაბამისად აღჭურვილი სივრცე ბენეფიციარებთან ინდივიდუალური და ჯგუფური მუშაობისთვის.

**მისაღწევი შედეგი:** რესოციალიზაცია-რეაბილიტაციის პროცესის ეფექტიანად წარმართვისთვის შესაბამისი ინფრასტრუქტურის შექმნა; სტანდარტის დაცვა.

**რელევანტურობა:** აქტივობა თავისი შინაარსით არის რელევანტური, თუმცა მოცემული ინდიკატორებით შეუძლებელია იმის განსაზღვრა, კონკრეტულად რა იგეგმებოდა. მაგალითად - სად და რა სახის ინფრასტრუქტურის შექმნა.

**შესრულების შეფასება:** სს მართლმსაჯულების სფეროში რესოციალიზაცია-რეაბილიტაციის 2015 წლის პროგრეს ანგარიშში აღნიშნულია, რომ მიმდინარე წელს გარემონტდა და აღიჭურვა რიგი დაწესებულებების სარეაბილიტაციო ინფრასტრუქტურა.[69] სახალხო დამცველის 2015 წლის ანგარიშში აღნიშნულია, რომ 2015 წლის 16 ივლისს გაიხსნა №16 დაბალი რისკის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულება, სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის №71 ბრძანების თანახმად, დაწესებულების ერთ-ერთი ფუნქცია არის დაწესებულებაში სამეურნეო საუშაოების ორგანიზება, სამეურნეო სამუშაოების წარმოებისათვის დაწესებულებაში ჩამოყალიბდა საწარმოო სექტორი. თუმცა დაწესებულების ფუქციონირების დაწყების დღიდან არცერთი პატიმარი არ დასაქმებულა.[70]

**დასკვნა:** აღნიშნული აქტივობა ზოგადად იყო რელევანტური და მოცემული ინდიკატორების მიხედვით არ იყო გაზომვადი. ამის გათვალისწინებით, ამ აქტივობის შესრულების შეფასება შეუძლებელია.

**აქტივობა 2.3.** სასჯელის აღსრულების და გათავისუფლების შემდგომი ზრუნვის პროცესში შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პერსონალის ჩართვა.

**ინდიკატორი:** შესაბამის უწყებებში ბენეფიციარებთან მომუშავე კადრების ყოლა, რომლებიც აკმაყოფილებენ სათანადო საკვალიფიკაციო მოთხოვნებს; საკვალიფიკაციო მოთხოვნებისა და სამუშაო აღწერილობების დამტკიცება.

**მისაღწევი შედეგი:** სასჯელაღსრულების დეპარტამენტისა და პრობაციის ეროვნული სააგენტოს პერსონალისთვის გრძელვადიანი სასწავლო პროგრამების განხორციელება; დადგენილი კვალიფიკაციის მქონე პერ-

---

68 იქვე, გვ. 126

69 იქვე, გვ. 126

70 საქართველოს სახალხო დამცველის 2014 წლის ანგარიში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ, გვ. 76

სონალის შენარჩუნება და კონკურსის წესით საკვალიფიკაციო მოთხოვნების შესაბამისად კადრების შერჩევა და შერჩეული კადრების მუდმივი გადამზადება.

**რელევანტურობა**: აქტივობა არის რელევანტური, თუმცა მოცემული ინდიკატორებით შესაძლებელია ამ აქტივობის ნაწილობრივ გაზომვა. მაგალითად, არ ჩანს რა რაოდენობის პერსონალის გადამზადება იგეგმება, რომ ეს აქტივობა შესრულდეს.

**შესრულების შეფასება:** სს მართლმსაჯულების სფეროში რესოციალიზაცია-რეაბილიტაციის 2015 წლის პროგრეს ანგარიშში აღნიშნულია, რომ პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებებში სამართლებრივი რეჟიმის განყოფილების თანამშრომელთა მომზადების გრძელვადიანი სასწავლო კურსი გაიარა 24-მა თანამშრომელმა (მეხუთე ეტაპი). პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებებში სამართლებრივი რეჟიმის განყოფილების თანამშრომელთა მომზადების გრძელვადიანი სასწავლო კურსი (6 თვე) გაიარა 25-მა მონაწილემ.[71] 2015 წლის განმავლობაში, პენიტენციური სისტემის თანამშრომლეთა გადამზადების თაობაზე ინფორმაცია მოცემულია ასევე სახალხო დამცველის 2015 წლის ანგარიშში, [72] სადაც არის მოცემული უფრო დეტალური ინფორმაცია განხორციელებული ტრენინგების თაობაზე. შესრულების ანგარიშში და სახალხო დამცველის ანგარიშში მოცემული ინფორმაცია ურთიერთსაწინააღმდეგოა.

**დასკვნა:** აღნიშნული აქტივობა ზოგადად იყო რელევანტური და მოცემული ინდიკატორების მიხედვით იყო მხოლოდ ნაწილობრივ გაზომვადი (მაგ. საკვალიფიკაციო მოთხოვნებისა და სამუშაო აღწერილობების დამტკიცება.) გარდა ამისა, ცოტა რთულია ამ აქტივობის გეგმის მიზნებთან პირდაპირ დაკავშირება. თან შესრულების შედეგებში მოცემული ინფორმაცია, ძირითადად რეჟიმის თანამშრომლებს ეხება. ამის გათვალისწინებით, ამ აქტივობის შესრულების შეფასება რთულია.

**აქტივობა 2.4.** ორგანიზაციის ბაზაზე განსახორციელებელი სარეაბილიტაციო პროგრამების მიწოდებისთვის პერსონალის გადამზადება.

**ინდიკატორი**: ორგანიზაციის ბაზაზე მიმდინარე პროგრამების რაოდენობა.

**მისაღწევი შედეგი:**პერსონალის განგრძობადი მომზადება, სარეაბილიტაციო პროცესში ჩართული ყველა თანამშრომელი გადამზადებულია.

**რელევანტურობა:** აქტივობა არის რელევანტური, თუმცა მოცემული ინდიკატორებით შეუძლებელია არსებული აქტივობის გაზომვა. არ იკვეთება, რამდენი თანამშომლის გადამზადება იგეგმებოდა ჯამში. გარდა ამისა, საერთოდ გაურკვეველია, რა კავშირი აქვს აღნიშნულ ინდიკატორს, როგორც აქტივობასთან, ასევე მისაღწევ შედეგთან.

**შესრულების შეფასება:** სს მართლმსაჯულების სფეროში რესოციალიზაცია-რეაბილიტაციის 2015 წლის პროგრეს ანგარიშში აღნიშნულია, რომ მსჯავრდებულთა რეაბილიტაციისათვის პენიტენციურ დაწესებულებებში დანერგილ ყველა სიახლეს წინ უძღოდა სახელმძღვანელოებისა და სასწავლო პროგრამების მომზადება, ასევე პროცესში ჩასართავ თანამშრომელთა გადამზადება. მიმდინარე წელს დაინერგა ფსიქო-სოციალური 3 საინფორმაციო და 7 თერაპიული პროგრამა. განხორციელდა შემდეგი ტრენინგები:

- პენიტენციური დაწესებულებებისა და პრობაციის ბიუროს თანამშრომლებისათვის ტრენინგი ,,შემთხვევის მართვა, როგორც სერვისის მიწოდების მეთოდოლოგია, ნარკოტიკების მოხმარების გამოცდილების მქონე პირებთან მუშაობის სპეციფიკა, შემთხვევების მართვა (კლიენტის მენეჯმენტი)" - 87 მონაწილე;
- სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სისტემის თანამშრომლებისათვის ტრენინგი „დახურული ტიპის დაწესებულებებში ფსიქო-სოციალური პროგრამა „ატლანტისის" (12 ნაბიჯი) ორგანიზება და განხორციელება" - 17 მონაწილე;
- სასჯელაღსრულების სისტემის ფსიქოლოგებისათვის ჩატარდა კოგნიტიურ-ქცევითი თერაპიის (CBT) სწავლებაზე მიმართული ტრენინგი რამდენიმე ეტაპად: რაციონალურ-ემოციურ-ქცევითი თერაპიის თეორია და პრაქტიკა; კოგნიტიური თერაპიის თეორია და პრაქტიკა; კოგნიტიურ-ქცევითი თერაპიის პრაქტიკული გამოყენების თავისებურებები ანტისოციალური, აგრესიული ქცევის ტენდენციის მქონე ადამიანებთან; სუპერვიზია და ინტერვიუირება - 21 მონაწილე;

---

71 სს მართლმსაჯულების სფეროში რესოციალიზაცია-რეაბილიტაციის 2015 წლის პროგრეს ანგარიში, გვ. 127

72 საქართველოს სახალხო დამცველის 2015 წლის ანგარიში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ, გვ. 37-38; გვ. 122

- პენიტენციური დაწესებულებების მოსამსახურეებისათვის მიმდინარეობს კასკადური ტრენინგი სუიციდის პრევენცის საკითხებზე - 505 მონაწილე;

- არასრულწლოვან ბრალდებულებთან/მსჯავრდებულებთან მომუშავე თანამშრომელთათვის ჩატარდა ტრენინგი თემაზე „რეაბილიტაციისა და რესოციალიზაციის მიზნები სასჯელაღსრულების სისტემაში, სასჯელის მოხდის ინდივიდუალური გეგმა, მნიშვნელობა, პრაქტიკა“ - 23 მონაწილე.[73]

სახალხო დამცველის 2015 წლის ანგარიშში აღნიშნულია, რომ დადებითად უნდა აღინიშნოს თანამშრომელთა სწავლების კუთხით გადადგმული ნაბიჯები, მიუხედავად ამისა, პენიტენციური სისტემის თანამშრომელთა სათანადო კვალიფიკაცია და გამოცდილება კვლავაც არასახარბიელოა.[74]

**დასკვნა:** აღნიშნული აქტივობა ზოგადად იყო რელევანტური, თუმცა არსებული ინდიკატორით შეუძლებელი იყო იმის განსაზღვრა, თუ რა იყო კონკრეტულად დაგეგმილი. მოცეული აქტივობის, ინდიკატორის, მისაღწევი შედეგის და შესრულების შედეგების გათვალისწინებით, აღნიშნული აქტივობა მხოლოდ ნაწილობრივ შესრულდა.

**აქტივობა 2.5.** სამუშაოს მაღალი ხარისხის უზრუნველსაყოფად ერთიანი პროფესიული სტანდარტის/ეთიკის ნორმების შემუშავება და პროფესიული სუპერვიზიის სისტემის შექმნა.

**ინდიკატორი:** ერთიანი პროფესიული სტანდარტი, სუპერვიზიის გამართული სისტემა.

**მისაღწევი შედეგი:** სუპერვიზიის სისტემის უწყვეტი ოპერირება, პროფესიული სუპერვიზიის მექანიზმი დანერგილი და განვითარებულია საპოლოტე დაწესებულებებში.

**რელევანტურობა:** აქტივობა არის რელევანტური და ნაწილობრივ გაზომვადი. თავისი შინაარსით ეს ინდიკატორებიც უნდა შეფასდეს. „სუპერვიზიის გამართული სისტემა“ ვის მიერ და როგორ უნდა შეფასდეს.

**შესრულების შეფასება -** სს მართლმსაჯულების სფეროში რესოციალიზაცია-რეაბილიტაციის 2015 წლის პროგრეს ანგარიშში, აღნიშნულია, რომ პენიტენციური დეპარტამენტის სოციალური უზრუნველყოფის სამმართველოს დაწესებულებების სოციალური განყოფილებების მეთოდოლოგიური ხელმძღვანელობა ევალება. 2015 წელს ფსიქო-სოციალური მიმართულებით 2 სიახლე დაინერგა: ინდივიდუალური მიდგომები და ძირითადი სარეაბილიტაციო პროგრამების იმპლემენტაცია. ორივე მათგანი მიმდინარეობს ცენტრალიზებულად, დეპარტამენტის თანამშრომლების სუპერვიზიით მიმართულებების მიხედვით.[75]

**დაკვნა:** აქტივობა იყო რელევანტური, თუმცა არსებული ინდიკატორით აქტივობის გაზომვა რთულია. შესრულების ნაწილში წარმოდგენილი ინფორმაცია არის ზოგადი და შეუძლებელია ამ ინფორმაციაზე დაყრდნობით შესრულების შედეგის ობიექტური შეფასება.

**სტრატეგიული მიზანი 3.** სარეაბილიტაციო პროცესში მონაწილე უწყებათა და ორგანიზაციათა კოორდინირებული მუშობის უზრუნველყოფა, მედიასთან და საზოგადოებასთან კომუნიკაცია რეაბილიტაციის პროცესის მხარდასაჭერად.

**აქტივობა 3.1.** რესოციალიზაცია-რეაბილიტაციის სამუშაო ჯგუფის მუშაობა მიმდინარე საკითხებზე შეთანხმებისთვის.

**ინდიკატორი:** სამუშაო ჯგუფის არსებობა და ჯგუფის შეხვედრების რაოდენობა.

**მისაღწევი შედეგი:** სამუშაო ჯგუფის კვარტალური შეხვედრები.

**რელევანტურობა:** აქტივობა რელევანტურია და გაზომვადი. მოცემული ინდიკატორით რთულია განსაზღვრო რა იყო დაგეგმილი კონკრეტულად, თუმცა მისაღწევ შედეგთან კავშირის მიხედვით შეიძლება მისი გაზომვა.

**შესრულების შეფასება:** სს მართლმსაჯულების სფეროში რესოციალიზაცია-რეაბილიტაციის 2015 წლის პროგრეს ანგარიშში არაფერი წერია.

73 სს მართლმსაჯულების სფეროში რესოციალიზაცია-რეაბილიტაციის 2015 წლის პროგრეს ანგარიში, გვ. 127-128

74 საქართველოს სახალხო დამცველის 2015 წლის ანგარიში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ, გვ. 20

75 სს მართლმსაჯულების სფეროში რესოციალიზაცია-რეაბილიტაციის 2015 წლის პროგრეს ანგარიში, გვ. 128

**დასკვნა:** აღნიშნული აქტივობა ზოგადად იყო რელევანტური, გაზომვადი, თუმცა შესრულების შედეგების მიხედვით, არ შესრულებულა.

**აქტივობა 3.2.** სარეაბილიტაციო ღონისძიებების ერთობლივად განხორციელება პარტნიორ სახელმწიფო და კერძო ორგანიზაციებთან ერთად.

**ინდიკატორი:** ერთობლივი ღონისძიებების რაოდენობა.

**მისაღწევი შედეგი:** მიმდინარე ერთობლივი ღონისძებები.

**რელევანტურობა:** აქტივობა რელევანტურია, თუმცა მოცემული ინდიკატორით მისი შესრულების შეფასება რთულია. არ ჩანს რამდენი ღონისძიება უნდა ჩატარდეს კონკრეტულად.

**შესრულების შეფასება:** სს მართლმსაჯულების სფეროში რესოციალიზაცია-რეაბილიტაციის 2015 წლის პროგრეს ანგარიშში არაფერი წერია.

**დასკვნა:** აღნიშნული აქტივობა ზოგადად იყო რელევანტური, თუმცა არ იყო გაზომვადი. შესრულების შედეგების მიხედვით, არ შესრულებულა.

**აქტივობა 3.3.** სასამართლოსთან, პროკურატურასთან და პოლიციასთან სამუშაო შეხვედრების ორგანიზება მიმდინარე პრაქტიკის განხილვის მიზნით.

**ინდიკატორი:** მინიმუმ ყოველწლიური შეხვედრა.

**მისაღწევი შედეგი:** სამუშაო ჯგუფის რეგურალური შეხვედრები.

**რელევანტურობა:** აქტივობა რელევანტურია და გაზომვადი.

**შესრულების შეფასება:** სს მართლმსაჯულების სფეროში რესოციალიზაცია-რეაბილიტაციის 2015 წლის პროგრეს ანგარიშში არაფერი წერია.

**დასკვნა:** აღნიშნული აქტივობა ზოგადად იყო რელევანტური, გაზომვადი, თუმცა შესრულების შედეგების მიხედვით, არ შესრულებულა.

**აქტივობა 3.4.** სასჯელაღსრულების, პრობაციისა და პრევენციის ცენტრს შორის ბენეფიციართა გარდამავალი მენეჯმენტის სისტემის დანერგვა.

**ინდიკატორი:** გარდამავალი მენეჯმენტის სქემა და ამ სქემის მიხედვით აღსრულების მაჩვენებელი სისტემიდან გასულთა რაოდენობასთან თანაფარდობით.

**მისაღწევი შედეგი:** სამუშაო პროცესის გაუმჯობესების მიზნით ამ სამ უწყებას შორის სამუშაო შეხვედრების გამართვა რეგულარულად, გარდამავალი მენეჯმენტის პროცედურები გაწერილია.

**რელევანტურობა:** აქტივობა ზოგადად იყო რელევანტური, თუმცა ნაწილობრივ გაზომვადი. ინდიკატორის მიხედვით, არ ჩანს კონკრეტულად რა შედეგის მიღწევა იგეგმებოდა. „აღსრულების მაჩვენებელი სისტემიდან გასულთა რაოდენობასთან თანაფარდობით" გასაგებია, თუმცა რა რაოდენობის ან/და პროცენტული მაჩვენებლის მიღწევა ჩაითვლებოდა შედეგის მიღწევად?

**შესრულების შეფასება:** სს მართლმსაჯულების სფეროში რესოციალიზაცია-რეაბილიტაციის 2015 წლის პროგრეს ანგარიშში აღნიშნულია, რომ დაიწყო პრობაციის სააგენტოსა და სასჯელაღსრულების დეპარტამენტის გარდამავალი მენეჯმენტის ამსახველი ქმედებების ინსტრუქციის მომზადება.[76]

**დასკვნა:** აღნიშნული აქტივობა ზოგადად იყო რელევანტური, თუმცა ნაწილობრივ გაზომვადი. შესრულების შედეგების მიხედვით, ეს აქტივობა არ შესრულებულა.

**აქტივობა 3.5.** საზოგადოების ცნობიერების ამაღლების კამპანიის წარმოება (სოციალური კლიპები, კონკურსები, სოციალური მედიის მეშვეობით ინფორმაციის გავრცელება).

---

76 სს მართლმსაჯულების სფეროში რესოციალიზაცია-რეაბილიტაციის 2015 წლის პროგრეს ანგარიში, გვ. 130

**ინდიკატორი:** სარეაბილიტაციო ღონისძიებების გაშუქების მაჩვენებელი; საზოგადოების აზრის კვლევის შედეგები.

**მისაღწევი შედეგი:** რეგულარული ღონისძიებები.

**რელევანტურობა:** აქტივობა ზოგადად იყო რელევანტური, თუმცა იყო ნაწილობრივ გაზომვადი. მაგალითად, გაშუქების რა მაჩვენებელი ჩაითვლებოდა აქტივობის შესრულებად?

**შესრულების შედეგი:** სს მართლმსაჯულების სფეროში რესოციალიზაცია-რეაბილიტაციის 2015 წლის პროგრეს ანგარიშში არაფერი წერია.

**დასკვნა:** აღნიშნული აქტივობა ზოგადად იყო რელევანტური, თუმცა ნაწილობრივ გაზომვადი. შესრულების შედეგების მიხედვით, ეს აქტივობა არ შესრულებულა.

**აქტივობა 3.6.** მიმდინარე საქმიანობის შესახებ მედიისთვის ინფორმაციის რეგულარულად მიწოდება.

**ინდიკატორი:** მიწოდებული ინფორმაციის მაჩვენებელი.

**მისაღწევი შედეგი:** ინფორმაციის რეგულარული გაცვლა.

**რელევანტურობა:** აქტივობა ზოგადად იყო რელევანტური, თუმცა არ იყო გაზომვადი. მაგალითად, ინფორმაციის მიწოდების რა მაჩვენებელი ჩაითვლებოდა აქტივობის შესრულებად, ან რა რაოდენობის მსგავსი ღონისძიება იყო დაგეგმილი.

**შესრულების შეფასება:** სს მართლმსაჯულების სფეროში რესოციალიზაცია-რეაბილიტაციის 2015 წლის პროგრეს ანგარიშში არაფერი წერია.

**დასკვნა:** აღნიშნული აქტივობა ზოგადად იყო რელევანტური, თუმცა არ იყო გაზომვადი. შესრულების შედეგების მიხედვით, ეს აქტივობა არ შესრულებულა.

**აქტივობა 3.7.** ტრენინგი მედიის წარმომადგენელთათვის.

**ინდიკატორი:** შეხვედრების რაოდენობა.

**მისაღწევი შედეგი:** მინიმუმ 1 ტრენინგი.

**რელევანტურობა:** აქტივობა ზოგადად რელევანტურია, თუმცა მოცემული ინდიკატორით მისი შესრულების შეფასება რთულია. არ ჩანს რამდენი შეხვედრა უნდა ჩატარდეს კონკრეტულად. ეს ინფორმაცია მოცემულია მისაღწევ შედეგში და შესაბამისად, ეს კომპონენტი უფრო გავს შეფასების ინდიკატორს.

**შესრულების შეფასება:** სს მართლმსაჯულების სფეროში რესოციალიზაცია-რეაბილიტაციის 2015 წლის პროგრეს ანგარიშში აღნიშნულია, რომ სასჯელაღსრულების სისტემაში განხორციელებული რეფორმისა და საკანონმდებლო ცვლილებების გაცნობის მიზნით, ჟურნალისტებისათვის ჩატარდა ორ დღიანი სემინარი თემაზე „საკანონმდებლო ცვლილებები და პენიტენციური სისტემის სპეციფიკა". სემინარს საქართველოს მასმედიის სხვადასხვა სფეროს 24 წარმომადგენელი ესწრებოდა, რომლებიც გაეცნენ ინფორმაციას სისტემაში განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილებების, სამედიცინო დეპარტამენტის მიღწევებისა და ციხეებში ჯანსაღი გარემოს შექმნის შესახებ.[77]

**დასკვნა:** აღნიშნული აქტივობა ზოგადად იყო რელევანტური, მაგრამ არ იყოს გაზომვადი მოცემული ინდიკატორით. თუმცა მისაღწევ შედეგში ასახულ ინფორმაციაზე დაყრდნობით, შესაძლებელია იმის გასაზღვრა, თუ რა იგეგმებოდა. შესრულების შედეგების მიხედვით, ეს აქტივობა შესრულებულია.

**აქტივობა 3.8:** საზოგადოებრივი აზრის კვლევა რესოციალიზაცია-რეაბილიტაციის პროცესისა და ამ სფეროს ბენეფიციართა მიმართ დამოკიდებულებაზე.

**ინდიკატორი:** კვლევა.

**მისაღწევი შედეგი:** კვლევის განხორციელება.

---

77 სს მართლმსაჯულების სფეროში რესოციალიზაცია-რეაბილიტაციის 2015 წლის პროგრეს ანგარიში, გვ. 130-131

**რელევანტურობა:** აქტივობა არის რელევანტური და გაზომვადი.

**შესრულების შეფასება:** სს მართლმსაჯულების სფეროში რესოციალიზაცია-რეაბილიტაციის 2015 წლის პროგრეს ანგარიშში აღნიშნულია, რომ 2015 წელს აღნიშნული კვლევა არ განხორციელებულა.

**დასკვნა:** აღნიშნული აქტივობა ზოგადად იყო რელევანტური, გაზომვადი, თუმცა შესრულების შედეგების მიხედვით არ შესრულებულა.

**გეგმის ზოგადი შეფასება**: აღნიშნული გეგმით განსაზღვრული მიზანი, სტრატეგიული მიზნები და აქტივობები ზოგადად იყო რელევანტური და შეესაბამებოდა არსებულ გამოწვევებს. ამ გეგმის აქტივობები ძირითადში შეესაბამებოდა და ზოგ ნაწილში უფრო შლიდა ადამიანის უფლებათა დაცვის სამთავრობო გეგმის კომპონენტებს. თუმცა შეფასების ინდიკატორების უმეტესობა (რომლებიც გამოიყენებოდა აქტივობების შესრულების შეფასებისთვის) იყო ზოგადი, რომ მათი მეშვეობით იმის განსაზღვრა, თუ რა იგეგმებოდა, რთულია. გარდა ამისა, აღნიშნული აქტივობებით ვერ იქნებოდა მიღწეული გეგმით განსაზღვრული მიზანი და სტრატეგიული მიზნები. იმ პერიოდში არსებული გამოწვევების გათვალისწინებით, აღნიშნულ გეგმაში არ იყო ასახული ისეთი მნიშვნელოვანი საკითხები, როგორიც არის - კრიმინალური სუბკულტურის გავლენების დაძლევისთვის გადასადგმელი ნაბიჯები; პატიმართა მოტივირების სისტემის ჩამოყალიბება; უწყებათაშორისი თანამშრომლობის მექანიზმის დახვეწა; უმცირესობებზე და მოწყვლად ჯგუფებზე მორგებული პროგრამების განვითარება; სტატისტიკური ინფორმაციის წარმოების გაუმჯობესება; პატიმართა შრომითი სტანდარტების გაუმჯობესება; დახურული ტიპის დაწესებულებებში აქტივობების ორგანიზებასთან დაკავშირებით. გარდა ამისა, მიუხედავად გეგმაში ასახული კომპონენტებისა, აქტივობების უმეტესობა არ შესრულებულა ან/და მისი შესრულების შეფასება არსებული სტრუქტურის და შესრულების შედეგების გათვალიწინებით შეუძლებელია. ასევე, ხშირ შემთხვევაში, არ იკვეთებოდა კავშირი სტრატეგიულ მიზანს, ღონისძიებას, ინდიკატორს და მისაღწევ შედეგს შორის, რის გამოც რთული იყო იმის განსაზღვრა, რა იყო კონკრეტულად დაგეგმილი და რა შედეგი უნდა მიღწეულიყო.



## ე) სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სისტემაში რესოციალიზაცია-რეაბილიტაციის 2016 წლის სამოქმედო გეგმა[78]

აღნიშნული გეგმა არის შემდეგი სტრუქტურით ჩამოყალიბებული - მიზანი; სტრატეგიული მიზანი; ინდიკატორი; არსებული მდგომარეობა აქტივობა; მისაღწევი შედეგი; პასუხისმგებელი უწყება; რესურსი. გეგმა აერთიანებს ერთ მიზანს, სამ სტრატეგიულ მიზანს და ოც აქტივობას. გეგმაში წარმოდგენილი ინდიკატორი გამოიყენება აქტივობების შესრულების შეფასებისთვის.

**მიზანი 11.** მსჯავრდებულთა და ყოფილმსაჯვრდებულთა რესოციალიზაცია-რეაბილიტაციისა და საზოგადოებაში ინტეგრაციის უზრუნველყოფა.

**სტრატეგიული მიზანი 1.** საჭიროებებზე მორგებული სარეაბილიტაციო პროგრამების განვითარება საუკეთესო ადგილობრივ და საერთაშორისო გამოცდილებაზე დაყრდნობით.

**აქტივობა 1.1.** რისკისა და საჭიროების შეფასების მეთოდოლოგიის (ბიო-ფსიქო-სოციალური შეფასება) დანერგვა და განვითარება რისკ-ჯგუფების იდენტიფიცირებისთვის. აგრეთვე, ბენეფიციართა მხრიდან რეციდივის შემთხვევების მიზეზების ანალიზის სისტემის დანერგვა.

**ინდიკატორი:** შეფასების ინსტრუმენტები; შეფასების ინსტრუმენტების ცვლილება.

**მისაღწევი შედეგი:** სასჯელის ინდივიდუალური დაგეგმვა ბიო-ფსიქო-სოციალური შეფასების საფუძველზე დანერგილია.

**რელევანტურობა:** აქტივობა თავისი შინაარსით არის რელევანტური. თუმცა შეფასების ინდიკატორი გარკვეულწილად გაზომვადი. ინდიკატორის და მისაღწევი შედეგის ანალიზის შედეგად შეიძლება დავასკვნათ, რომ ამ მექანიზმის დანერგვა იგეგმებოდა ყველა დაწესებულებაში.

**შესრულების შეფასება:** სს მართლმსაჯულების სფეროში რესოციალიზაცია-რეაბილიტაციის 2016 წლის პროგრეს ანგარიშში აღნიშნულია, რომ 2015 წლის 29 აპრილის №33 ბრძანებით დამტკიცდა სასჯელის მოხდის ინდივიდუალური დაგეგმვის ინსტრუქცია. სასჯელის მოხდის ინდივიდუალური დაგეგმვის მიდგომის იმპლემენტაცია პენიტენციურ სისტემაში სრულწლოვანთა მიმართ 2015 წელს დაიწყო. 2015 წლიდან №16 დაბალი

---

78 http://www.justice.gov.ge/AboutUs/Council/237.

რისკის დაწესებულებებში მსჯავრდებულთა სრული ჩართულობით მიმდინარეობს; №5 ქალთა დაწესებულებაში 2015 წელს დაინერგა და მსჯავრდებულთა 80% არის ჩართული; №6 დაწესებულებაში მულტიდისციპლინური გუნდი მომზადდა; №12 დაწესებულებაში 2015 წლის ბოლოს მიდგომის იმპლემენტაცია დაიწყო და 20 ბენეფიციარია ჩართული; 2016 წელს მულტიდისციპლინური გუნდები მომზადდა და მიდგომის იმპლემენტაცია დაიწყო შემდეგ დაწესებულებებში:

- №17 დაწესებულება - 10 ბენეფიციარი;
- №6 დაწესებულებაში მულტიდისციპლინური გუნდი მომზადებულია;
- №8 დაწესებულება - 17 ბენეფიციარი;
- №18 დაწესებულება - 3 ბენეფიციარი;
- №19 დაწესებულება - 4 ბენეფიციარი;
- №15 დაწესებულება - მომზადდა მულტიდისციპლინური გუნდი, უახლოეს პერიოდში დაიწყება მიდგომის დანერგვა .[79]

2016 წლის სახალხო დამცველის ანგარიშში აღნიშნულია, რომ მისასალმებელია ის ფაქტი, რომ არასრულწლოვანი მსჯავრდებულთათვის დაინერგა და მოქმედებს სასჯელის მოხდის ინდივიდუალური დაგეგმვის მექანიზმი. 2015 წელს ეს მიდგომა დაინერგა №5 და №16 დაწესებულებებში, ხოლო 2016 წელს, როგორც საპილოტე პროგრამა, განხორციელდა, №6, №12 და № 17 დაწესებულებებში. ასევე მიესალმება, ქალი პატიმრებისათვის და №8 დაწესებულებაში უვადოდ თავისუფლებააღკვეთილი პირებისათვის სასჯელის მოხდის ინდივიდუალური გეგმის შედგენის საპილოტე პროგრამის დაწყებას. თუმცა აქვე აღნიშნავს, რომ გეგმები ზოგადი ხასიათისაა და არ შეიცავს კონკრეტულ ქმედებებს.[80]

**დასკვნა:** აღნიშნული აქტივობა/მისაღწევი შედეგი ზოგადად იყო რელევანტური და გაზომვადი. შესრულების შდეგების მიხედვით აღნიშნული აქტივობა შესრულდა მხოლოდ ნაწილობრივ.

**აქტივობა 1.2.** ბენეფიციართა გამართული სარეგისტრაციო ბაზების ქონა და ერთიანი საძიებო პარამეტრების დამკვიდრება ბენეფიციართა რისკ-ჯგუფების და საჭიროებების მონაცემთა გენერირებისთვის.

**ინდიკატორი:** გამართული სარეგისტრაციო ბაზები, რომლებიც რისკ ჯგუფებისა და საჭიროებათა გენერერიების ფუნქციებით არის აღჭურვილი.

**მისაღწევი შედეგი:** ყოფილ პატიმართა მონაცემთა ბაზის მონაცემებზე დაყრდნობით სარეაბილიტაციო პროგრამების ეფექტურობის ამაღლება; ბაზის ფუნქციონირებისას გამოვლენილი ხარვეზების გამოსწორება და ფუნქციური განახლება. მსჯავრდებულთა შესახებ ერთიანი მონაცემთა ბაზის შესაქმნელად ტექნიკური სამუშაოების განხორციელების უზრუნველყოფა.

**რელევანტურობა:** აქტივობა თავისი შინაარსით არის რელევანტური და აღნიშნული ინდიკატორებით ამ აქტივობის გაზომვა შესაძლებელია.

**შესრულების შეფასება:** სს მართლმსაჯულების სფეროში რესოციალიზაცია-რეაბილიტაციის 2016 წლის პროგრეს ანგარიშში არ არის მითითებული ინფორმაცია აღნიშნული აქტივობის პენიტენციური სისტემის მიერ შესრულებასთან დაკავშირებით.

**დასკვნა**: აღნიშნული აქტივობა იყო რელევანტური, გაზომვადი, თუმცა არ შესრულებულა.

**აქტივობა 1.3.** საჭიროებებზე ორიენტირებული სერვისების მოკვლევა და ადაპტაცია ადგილობრივ და საერთაშორისო პრაქტიკაზე დაყრდნობით.

**ინდიკატორი:** მოძიებული პარტნიორი ორგანიზაციები; მინიმუმ ყოველი წლის ბოლოს სერვისებზე მოძიებული განახლებული ინფორმაცია; ერთობლივი სამუშაო შეხვედრები პარტნიორ ორგანიზაციებთან.

---

79 სს მართლმსაჯულების სფეროში რესოციალიზაცია-რეაბილიტაციის 2016 წლის პროგრეს ანგარიში, გვ. 151-152

80 საქართველოს სახალხო დამცველის 2016 წლის ანგარიში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ, გვ. 110; გვ. 210; გვ. 218; გვ. 224-225

**მისაღწევი შედეგი:** სავარაუდო პარტნიორი ორგანიზაციების მოძიება ქვეყნის შიგნით და გარეთ და მომსახურებათა ბაზის განახლება; სასჯელაღსრულების სისტემაში გამოვლენილ საჭიროებებზე დაყრდნობით პროგრამებისა და მხარდამჭერი სერვისების განვითარება.

**რელევანტურობა:** აქტივობა თავისი შინაარსით არის რელევანტური, თუმცა შეფასების ინდიკატორები არის ზოგადი და არ არის გაზომვადი. რამდენი პარტნიორი ორგანიზაცია უნდა იყოს მოძიებული? რამდენი შეხვედრა პარტნიორ ორგანიზაციებთან? და ეს ინდიკატორები როგორ ზომავს ამ აქტივობას?

**შესრულების შეფასება:** სს მართლმსაჯულების სფეროში რესოციალიზაცია-რეაბილიტაციის 2016 წლის პროგრეს ანგარიშში აღნიშნულია, რომ 2016 წელს 2 პენიტენციურ დაწესებულებაში დაიწყო მავნე ნივთიერებებზე დამოკიდებულ პირთა სარეაბილიტაციო პროგრამა „ატლანტისი - 12 ნაბიჯის“ განხორციელება. მხარდამჭერი ორგანიზაციებია: ქალთა კლუბი პეონი, პოლონური ფონდი “The Stefan Batory Foundation”, ევროპის საბჭოსა და ევროკავშირის ერთობლივი პროექტი „ადამიანის უფლებები და ჯანდაცვა ციხეებსა და დახურული ტიპის სხვა დაწესებულებებში”; არასრულწლოვანთა დაწესებულებაში მუსიკალური თერაპია მიმდინარეობდა „ადამიანის უფლებათა სახლის“ მხარდაჭერით; სამინისტროსა და არასამთავრობო ორგანიზაცია „სავსე გულს“ შორის დაიდო მემორანდუმი ერთობლივი სარეაბილიტაციო/მხარდამჭერი პროგრამების განსახორციელებლად.[81]

2016 წელს სახალხო დამცველის ანგარიშში აღნიშნულია, რომ სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს მიერ წარმოდგენილი პასუხის თანახმად, სარეაბილიტაციო პროგრამების დაგეგმვის მიზნით, 2016 წლის პირველ კვარტალში პენიტენციურ დაწესებულებებში ჩატარდა სოციალური აქტივობების საჭიროებების კვლევა. გამოკითხვაში მონაწილეობა მიიღო 1193-მა მსჯავრდებულმა. საჭიროებათა ანალიზის შედეგად კი დაიგეგმა 2016 წლის პირველი სასწავლო ეტაპი. გამოკითხვის მეორე ეტაპი ჩატარდა სექტემბრის თვეში, მასში მონაწილეობა მიიღო 894-მა მსჯავრდებულმა, რაც, თავის მხრივ, გახდება შემდგომი სასწავლო ეტაპის დაგეგმვის საფუძველი.[82]

**დასკვნა:** აღნიშნული აქტივობა ზოგადად იყო რელევანტური, თუმცა აღნიშნული ინდიკატორებით ამ აქტივობის შესრულების გაზომვა არის რთული. პროგრეს ანგარიშში ასახული ინფორმაცია ბოლომდე არ შეესაბამება დაგეგმილ აქტივობას. თუმცა გარკვეული სახის ინფორმაცია მოცემულია სახალხო დამცველის ანგარიშში. აქედან გამომდინარე, აღნიშნული აქტივობა/მისაღწევი შედეგი შეიძლება ჩაითვალოს მხოლოდ ნაწილობრივ შესრულებულად.

**აქტივობა 1.4.** ხშირად მოთხოვნადი სერვისების ორგანიზაციის ბაზაზე დანერგვა.

**ინდიკატორი:** ორგანიზაციის ბაზაზე დანერგილი შიდა მომსახურებები; გადამზადებული თანამშრომლები.

**მისაღწევი შედეგი:** იდენტიფიცირებული შიდა მომსახურებების დანერგვა, შეფასება, ადაპტირება, განახლება, თანამშრომელთა გადამზადება. მოთხოვნადი და საჭიროებაზე მორგებული სერვისები იდენტიფიცირებული და დანერგილია. ყველა დაწესებულებას ყავს მომზადებული თანამშრომელი.

**რელევანტურობა:** აქტივობა თავისი შინაარსით არის რელევანტური, თუმცა ინდიკატორები არის ზოგადი და აქტივობა არ არის გაზომვადი. შეუძლებელია ამ ინდიკატორებით შეფასდეს კონკრეტულად რა სახის აქტივობის განხორციელება იგეგმებოდა. რა და რამდენი სახის შიდა მომსახუროების დანერგვა, შეფასება, ადაპტირება, განახლება იყო დაგეგმილი. რამდენი თანამშრომლის გადამზადება უნდა მომხდარიყო.

**შესრულების შეფასება:** სს მართლმსაჯულების სფეროში რესოციალიზაცია-რეაბილიტაციის 2016 წლის პროგრეს ანგარიშში აღნიშნულია, რომ 2016 წელს პენიტენციური დეპარტამენტის ფარგლებში განხორციელდა შემდეგი აქტივობები: პენიტენციური დაწესებულებების ბაზაზე დაინერგა არტ თერაპია; №2 და №5 დაწესებულებებში დაიწყო „ატლანტისი - 12 ნაბიჯის“ განხორციელება; „ნაბიჯი ცვლილებისკენ“ - დანაშაულის გაცნობიერება პილოტირდა №16 დაწესებულებაში; სარეაბილიტაციო პროგრამა წამალდამოკიდებულთათვის პილოტირდა №12 და №16 დაწესებულებებში; თვითდახმარების ჯგუფები ნარკო დამოკიდებულთათვის - შეიქმნა სახელმძღვანელო პრინციპები და გადამზადდა 12 თანამშრომელი; 2016 წელს ფსიქო-სოციალურ საინფორმაციო და სარეაბილიტაციო პროგრამებში ჩართული იყო 1437 მსჯავრდებული, მათ შორის: ჯგუფურ ინტერვენციებში 437 (12 სახის პროგრამა), სხვადასხვა სახის არტ თერაპიაში - 178 (4 სახის პროგრამა), ფსიქო-სოციალურ ტრენინგებში - 822 ბენეფიციარი (26 სახის პროგრამა). [83]

---

81 სს მართლმსაჯულების სფეროში რესოციალიზაცია-რეაბილიტაციის 2015 წლის პროგრეს ანგარიში, გვ. 153

82 საქართველოს სახალხო დამცველის 2016 წლის ანგარიში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ, გვ. 121

83 სს მართლმსაჯულების სფეროში რესოციალიზაცია-რეაბილიტაციის 2015 წლის პროგრეს ანგარიში, გვ. 154

2016 წლის სახალხო დამცველის ანგარიშში აღნიშნულია, რომ დაწესებულების თანამშრომლებმა დამატებით გაიარეს ტრენინგები სხვადასხვა სახის სარეაბილიტაციო პროგრამების განხორციელებასთან დაკავშირებით. ანგარიშში აღნიშნულია, რომ მიუხედავად რეაბილიტაციის კომპონენტის გაძლიერების მცდელობისა, ამ კუთხით კვლავ მნიშვნელოვანი გამოწვევები არსებობს. ასევე მოცემულია ინფორმაცია დაწესებულებებში განხორციელებული პროგრამების შესახებ, რომელთა დიდი ნაწილი განხორციელდა №11 და №5 დაწესებულებებში.[84]

**დასკვნა:** აღნიშნული აქტივობა ზოგადად იყო რელევანტური, თუმცა, ამ ინდიკატორებით ვერ შეფასდება, შესრულდა თუ არა ეს აქტივობა, ვინაიდან არ ჩანს კონკრეტულად რა იყო დაგეგმილი. თუმცა შესრულების შედეგების მიხედვით, ეს აქტივობა შეიძლება მხოლოდ ნაწილობრივ შესრულებულად ჩაითვალოს.

**აქტივობა 1.5.** საბაზისო სერვისების კოორდინირებული შექმნისა და მიწოდების უზრუნველყოფა.

**ინდიკატორი:** უწყებათშორის თანამშრომლობის მექანიზმის შექმნა; თავშესაფრის, ნივთიერებაზე დამოკიდებულთა და ფსიქიკური პრობლემების მქონეთა მომართვიანობისა და მათი საჭიროებების დაკმაყოფილების მაჩვენებელი.

**მისაღწევი შედეგი:** პროფესიული გადამზადების კურსდამთავრებულთათვის სტაჟირებისა და დასაქმების დამატებითი შესაძლებლობების შექმნა; იზომება მიწოდებული სერვისების ხარისხი და შედეგიანობა, პროგრამების გასაუმჯობესებლად და ხარვეზების აღმოსაფხვრელად იხვეწება/ვითარდება სერვისები.

**რელევანტურობა:** აქტივობა თავისი შინაარსით იყო რელევანტური. თუმცა აქტივობა, ინდიკატორები და მისაღწევი შედეგები ბოლომდე არ შეესაბამება ერთმანეთს. გარდა ამისა, შეფასების ერთ-ერთი ინდიკატორით არ არის შესაძლებელი აქტივობის გაზომვა (მაგ. თუ რაში გამოიხატება უწყებათაშორისი თანამშრომლობის მექანიზმის შექმნა, მისაღწევ შედეგში ამის თაობაზე არაფერი წერია). მეორე ინდიკატორით (თავშესაფრის, ნივთიერებაზე დამოკიდებულთა და ფსიქიკური პრობლემების მქონეთა მომართვიანობისა და მათი საჭიროებების დაკმაყოფილების მაჩვენებელი) როგორ იზომება აქტივობა ან მისაღწევი შედეგი?

**შესრულების შეფასება:** სს მართლმსაჯულების სფეროში რესოციალიზაცია-რეაბილიტაციის 2016 წლის პროგრეს ანგარიშში აღნიშნულია, რომ სასჯელაღსრულების სამინისტროსა და განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს შორის გაფორმებული მემორანდუმის საფუძველზე მსჯავრდებულებს აქვთ პროფესიულ, საგანმანათლებლო და კომპიუტერულ პროგრამებში მონაწილეობის შესაძლებლობა. საანგარიშო პერიოდისათვის ჩართული იყო 1325 მსჯავრდებული, რაც წარმოადგენს მსჯავრდებულთა საერთო რაოდენობის 16%-ს; სახელობო/პროფესიული სწავლება - 202%-ი; რეკრეაციული პროგრამა - 64%-ი; სატრენინგო/საგანმანათლებლო სწავლება - 788%-ი; კომპიუტერული სასწავლო პროგრამა - 271%-ი.[85]

**დასკვნა:** აღნიშნული აქტივობა ზოგადად იყო რელევანტური, თუმცა ინდიკატორებთან და მისაღწევ შედეგებთან ურთიერთკავშირის შედეგად რთულია იმის განსაზღვრა, რა იყო კონკრეტულად დაგეგმილი. ასევე, როგორ უნდა გაზომოს ამ ინდიკატორებმა აქტივობა (ან მისაღწევი შედეგი). შესრულების შედეგები ზოგადად კი შეესაბამება აქტივობას, თუმცა არ შეესაბამება მისაღწევ შედეგს და ინდიკატორებს. აქედან გამომდინარე, ზოგადად რთულია საერთოდ მსჯელობა აქტივობის შესრულების ხარისხთან დაკავშირებით.

**აქტივობა 1.6.** სერვისების ხარისხის კონტროლი.

**ინდიკატორი:** მომსახურების მიწოდების სტანდარტი; ხარისხის კონტროლის ინსტრუმენტი; მომსახურებების მონიტორინგის სისტემა.

**მისაღწევი შედეგი:** სერვისის მიწოდების სტანდარტთან შესაბამისობის მონიტორინგი განხორციელებულია და საჭიროების შემთხვევაში შესაბამისი ცვლილებები შეტანილია.

**რელევანტურობა:** აქტივობა თავისი შინაარსით არის რელევანტური და მოცემული ინდიკატორებით შესაძლებელია ამ აქტივობის გაზომვა. თუმცა მისაღწევი შედეგი არ არის ბოლომდე კავშირში აქტივობასთან და ინდიკატორებთან.

**შესრულების შეფასება:** სს მართლმსაჯულების სფეროში რესოციალიზაცია-რეაბილიტაციის 2016 წლის პროგრეს ანგარიშში აღნიშნულია, რომ ზრდასრულთა მომსახურების მიწოდების სტანდარტი შემუშავებულია და მზად არის დასამტკიცებლად. გაწეული მომსახურების მონიტორინგი ხორციელდება სოციალური უზრუნველყოფის სამმართველოში არსებული სუპერვიზიის ჯგუფის მეშვეობით. სერვისების ხარისხის კონტროლი

---

84 საქართველოს სახალხო დამცველის 2016 წლის ანგარიში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ, გვ. 87; გვ. 111; გვ. 113-115; გვ. 117

85 სს მართლმსაჯულების სფეროში რესოციალიზაცია-რეაბილიტაციის 2016 წლის პროგრეს ანგარიში, გვ. 155

ხორციელდება პროფესიული ზედამხედველობის მეშვეობით.[86] თუმცა, აქვე უნდა აღინიშნოს, განხორციელებული კვლევების შედეგად (ძირითადი მიგნებები წარმოდგენილია აღნიშნულ კვლევაში გამოწვევების ნაწილში) იკვეთება, რომ ხარისხის შეფასების სისტემა საანგარიშო პერიოდში ჩამოყალიბებული არ ყოფილა.

**დასკვნა:** აღნიშნული აქტივობა ზოგადად იყო რელევანტური. თუმცა შეფასების ინდიკატორების, მისაღწევი შედეგების და შესრულების შედეგების დაყრდნობით, ეს აქტივობა არ შესრულებულა.

**აქტივობა 1.7.** კვლევების დაგეგმვა სარეაბილიტაციო პროგრამების ეფექტიანობის გასაზომად (საბოლოო შედეგების გაზომვა).

**ინდიკატორი:** საბაზისო მონაცემების შექმნა; საკვლევი ობიექტის/ პრობლემის იდენტიფიკაცია; დაგეგმილი და განხორციელებული კვლევები.

**მისაღწევი შედეგი:** (დ.ც.პ) სამუშაო ჯგუფის შექმნა, კვლევის ინსტრუმენტების შემუშავება და პილოტური კვლევის განხორციელება.

**რელევანტურობა:** აქტივობა თავისი შინაარსით არის რელევანტური და მოცემული ინდიკატორებით შესაძლებელია ამ აქტივობის ნაწილობრივ გაზომვა. მაგალითად, არ ჩანს რა იგულისხმება საბაზისო მონაცემების შექმნაში და მოცემული მისაღწევი შედეგით ეს შედეგი როგორ მიიღწევა.

**შესრულების შედეგი:** სს მართლმსაჯულების სფეროში რესოციალიზაცია-რეაბილიტაციის 2016 წლის პროგრეს ანგარიშში აღნიშნულია, რომ პენიტენციურ სისტემაში დაინერგა სარეაბილიტაციო პროგრამათა მონაცემების ამსახველი ცენტრალიზებული ელექტრონული ბაზა, რომელიც 2016 წელს დაიტესტა და 2017 წლიდან შევა ძალაში. ელექტრონული ბაზები მოგვცემს ანალიზისა და შესაბამისი ცვლილებების წარმოების შესაძლებლობას.[87]

**დასკვნა:** აღნიშნული აქტივობა ზოგადად იყო რელევანტური. თუმცა შეფასების ინდიკატორებით რთულია აქტივობის გაზომვა. გარდა ამისა, მისაღწევ შედეგში მოცემულია აქტივობა, რომელიც დაკავშირებულია მხოლოდ დანაშაულის პრევენციის ცენტრთან, თუმცა შესრულების ანგარიშში წარმოდგენილი არის ინფორმაცია პენიტენციურ დეპარტამენტში განხორციელებულ აქტივობებთან დაკავშირებით. აქედან გამომდინარე, გაუგებარია იყო თუ არა რამე დაგეგმილი კონკრეტულად პენიტენციური დეპარტამენტის მიმართულებით. ამის გათვალისწინებით, აღნიშნული აქტივობის შესრულების ხარისხი ვერ შეფასდება.

**სტრატეგიული მიზანი 2.** სარეაბილიტაციო პროცესში ჩართული უწყებებისა და ორგანიზაციების ინსტიტუციური გაძლიერება, პერსონალის მომზადება და განვითარება მაღალხარისხიანი სარეაბილიტაციო მომსახურების მიწოდებისთვის.

**აქტივობა 2.1.** რესოციალიზაცია-რეაბილიტაციის პროცესში ჩართული უწყებების მიერ წინამდებარე სტრატეგიითა და სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული პრიორიტეტებისა და აქტივობების საკუთარ სტრატეგიებსა და სამოქმედო გეგმებში ასახვა.

**ინდიკატორი:** შესაბამისი უწყებების სტრატეგიული დოკუმენტები და სამოქმედო გეგმები, სადაც ასახულია აღნიშნული პრიორიტეტები და აქტივობები.

**მისაღწევი შედეგი:** სტრატეგიები და სამოქმედო გეგმები შესაბამისად განახლებულია.

**რელევანტურობა:** აღნიშნული აქტივობა არის რელევანტური და გაზომვადი.

**შესრულების შეფასება:** სს მართლმსაჯულების სფეროში რესოციალიზაცია-რეაბილიტაციის 2016 წლის პროგრეს ანგარიშში აღნიშნულია, რომ სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს სამოქმედო გეგმაში ასახულია პენიტენციური დეპარტამენტის სხვა უწყებათაშორის სამოქმედო გეგმებში აღნიშნული ვალდებულებები.[88]

**დასკვნა:** აღნიშნული აქტივობა ზოგადად იყო რელევანტური, გაზომვადი, თუმცა შესრულდა ნაწილობრივ, ვინაიდან გეგმაში არ იყო ასახული ყველა ის მიმართულება, რაც იმ დროისთვის წარმოადგენდა გამოწვევას. აღნიშნული საკითხი დეტალურად შეგიძლიათ ნახოთ ქვევით, გეგმის ზოგადი შეფასების ნაწილში.

---

**86** იქვე, გვ. 156

**87** იქვე, გვ. 156

**88** იქვე, გვ. 156

**აქტივობა 2.2.** რესოციალიზაცია-რეაბილიტაციის პროცესის ეფექტიანად წარმართვისთვის შესაბამის უწყებებში ინფრასტრუქტურის შექმნა.

**ინდიკატორი:** პრობაციის ეროვნულ სააგენტოში, დანაშაულის პრევენციის ცენტრსა და სასჯელაღსრულების დაწესებულებებში პერსონალისთვის არსებული სამუშაო პირობები და შესაბამისად აღჭურვილი სივრცე ბენეფიციარებთან ინდივიდუალური და ჯგუფური მუშაობისთვის.

**მისაღწევი შედეგი:** რეაბილიტაცია-რესოციალიზაციის პროცესის შესაბამისი ინფრასტრუქტურული ცვლილებები განხორციელებულია.

**რელევანტურობა:** აქტივობა თავისი შინაარსით არის რელევანტური, თუმცა მოცემული ინდიკატორებით შეუძლებელია იმის განსაზღვრა, კონკრეტულად რა იგეგმებოდა. მაგალითად, სად და რა სახის ინფრასტრუქტურის შექმნა.

**შესრულების შედეგი:** სს მართლმსაჯულების სფეროში რესოციალიზაცია-რეაბილიტაციის 2016 წლის პროგრეს ანგარიშში აღნიშნულია, რომ №14 პენიტენციურ დაწესებულებაში დაიწყო სარეაბილიტაციო კორპუსის კაპიტალური რემონტი, რეაბილიტაციის პროცესის ეფექტურად წარმართვისთვის.[89]

**დასკვნა:** აღნიშნული აქტივობა ზოგადად იყო რელევანტური და მოცემული ინდიკატორების მიხედვით არ იყო გაზომვადი. თუმცა, შესრულების შედეგები მიხედვით, ეს აქტივობა შეიძლება ჩაითვალოს ნაწილობრივ შესრულებულად.

**აქტივობა 2.3.** სასჯელის აღსრულების და გათავისუფლების შემდგომი ზრუნვის პროცესში შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პერსონალის ჩართვა.

**ინდიკატორი:** შესაბამის უწყებებში ბენეფიციარებთან მომუშავე კადრების ყოლა, რომლებიც აკმაყოფილებენ სათანადო საკვალიფიკაციო მოთხოვნებს; საკვალიფიკაციო მოთხოვნებისა და სამუშაო აღწერილობების დამტკიცება.

**მისაღწევი შედეგი:** შერჩეული კადრების მუდმივი გადამზადება, ახალი კადრები შერჩეულია საკვალიფიკაციო მოთხოვნების შესაბამისად. მუდმივად მიმდინარეობს არსებული კადრების გადამზადება.

**რელევანტურობა:** აქტივობა არის რელევანტური, თუმცა მოცემული ინდიკატორებით შესაძლებელია ამ აქტივობის ნაწილობრივ გაზომვა. მაგალითად, არ ჩანს რა რაოდენობის პერსონალის გადამზადება იგეგმება, რომ ეს აქტივობა შესრულდეს ან რა რაოდენობის კადრები უნდა ჰყავდეთ, რომ აქტივობა წარმატებით განხორციელდეს.

**შესრულების შეფასება**: სს მართლმსაჯულების სფეროში რესოციალიზაცია-რეაბილიტაციის 2016 წლის პროგრეს ანგარიშში აღნიშნულია, რომ სუიციდის რისკების შეფასებასთან დაკავშირებით, დაწესებულებების ფსიქოლოგებს, სოციალურ მუშაკებსა და ფსიქიატრებს ჩაუტარდათ ტრენინგები. 39 მონაწილე გადამზადდა აღნიშნულ პროგრამაში, ხოლო სუიციდის პრევენციის სატრენინგო პროგრამა გაიარა 42-მა მონაწილემ. არასრულწლოვნებთან შემხებლობაში მყოფი თანამშრომლებისთვის ჩატარდა სატრენინგო კურსები არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაზე, არასრულწლოვნებთან მუშაობის მეთოდოლოგიასა და ფსიქოლოგიაზე. არასრულწლოვანთა სარეაბილიტაციო დაწესებულების 13 თანამშრომლისა და პრობაციის 46 თანამშრომლისათვის შედგა სპეციალიზირებული სასწავლო პროგრამა.[90]

**დასკვნა:** აღნიშნული აქტივობა ზოგადად იყო რელევანტური და მოცემული ინდიკატორების მიხედვით არ იყო სრულად გაზომვადი. შესრულების შედეგების მიხედვით, ეს აქტივობა შეიძლება ჩაითვალოს ნაწილობრივ შესრულებულად.

**აქტივობა 2.4.** ორგანიზაციის ბაზაზე განსახორციელებელი სარეაბილიტაციო პროგრამების მიწოდებისთვის პერსონალის გადამზადება.

**ინდიკატორი:** ორგანიზაციის ბაზაზე მიმდინარე პროგრამების რაოდენობა.

**მისაღწევი შედეგი:** პერსონალის განგრძობადი მომზადება, თანამშრომელთა სატრენინგო საჭიროებები გამოკვლეულია და ყველა თანამშრომელი გადამზადებულია.

---

**89** იქვე, გვ. 157

**90** იქვე, გვ. 158

**რელევანტურობა:** აქტივობა არის რელევანტური, თუმცა მოცემული ინდიკატორებით შეუძლებელია არსებული აქტივობის გაზომვა. არ იკვეთება, რამდენი თანამშრომლის გადამზადება იგეგმებოდა ჯამში. გარდა ამისა, საერთოდ გაურკვეველია, რა კავშირი აქვს აღნიშნულ ინდიკატორს, როგორც აქტივობასთან, ასევე მისაღწევ შედეგთან.

**შესრულების შეფასება:** სს მართლმსაჯულების სფეროში რესოციალიზაცია-რეაბილიტაციის 2016 წლის პროგრეს ანგარიშში აღნიშნულია, რომ პენიტენციურ სისტემაში სოციალური უზრუნველყოფის მიმართულებაში მომუშავე 181 თანამშრომლიდან სარეაბილიტაციო პროგრამების ფასილიტატორებად გადამზადებულია 40-მდე თანამშრომელი.[91]

**დასკვნა:** აღნიშნული აქტივობა ზოგადად იყო რელევანტური, თუმცა არსებული ინდიკატორით შეუძლებელი იყო იმის განსაზღვრა, თუ რა იყო კონკრეტულად დაგეგმილი. მოცემული აქტივობის, ინდიკატორის, მისაღწევი შედეგის და შესრულების შედეგების გათვალისწინებით, აღნიშნული აქტივობის შესრულების სრულყოფილად შეფასება რთულია.

**აქტივობა 2.5.** სამუშაოს მაღალი ხარისხის უზრუნველსაყოფად ერთიანი პროფესიული სტანდარტის/ეთიკის ნორმების შემუშავება და პროფესიული სუპერვიზიის სისტემის შექმნა.

**ინდიკატორი:** ერთიანი პროფესიული სტანდარტი, სუპერვიზიის გამართული სისტემა.

**მისაღწევი შედეგი:** სუპერვიზიის სისტემის უწყვეტი ოპერირება - დამტკიცებულია ყოფილ პატიმართა რეაბილიტაციისა და რესოციალიზაციის პროგრამაში ჩართული სოციალური მუშაკების პროფესიული ზედამხედველობის ინსტრუმენტები. პროფესიული სუპერვიზიის მექანიზმი დანერგილი და განვითარებულია საპილოტე დაწესებულებებში.

**რელევანტურობა:** აქტივობა არის რელევანტური და ნაწილობრივ გაზომვადი. თავისი შინაარსით ეს ინდიკატორებიც უნდა შეფასდეს - ვის მიერ და როგორ უნდა შეფასდეს „სუპერვიზიის გამართული სისტემა“.

**შესრულების შეფასება**: სს მართლმსაჯულების სფეროში რესოციალიზაცია-რეაბილიტაციის 2016 წლის პროგრეს ანგარიშში აღნიშნულია, რომ პენიტენციური დეპარტამენტის სოციალური უზრუნველყოფის სამმართველოში არსებული სუპერვიზიის ჯგუფის მიერ ხდება ინდვიდუალური მიდგომებისა და ძირითადი სარეაბილიტაციო პროგრამების სუპერვიზია პენიტენციურ დაწესებულებებში.[92] თუმცა, სხვადასხვა სახის კვლევებში (რომელიც მოცემულია გამოწვევების ნაწილში) აღნიშნულია, რომ აღნიშნულ საანგარიშო პერიოდში გამართული სუპერვიზიის სისტემა ჩამოყალიბებული არ ყოფილა.

**დასკვნა:** აღნიშნული აქტივობა ზოგადად იყო რელევანტური, თუმცა არსებული ინდიკატორით აქტივობის გაზომვა რთულია. შესრულების შედეგების გათვალისწინებით, აღნიშნული აქტივობა არ შესრულებულა.

**სტრატეგიული მიზანი 3.** სარეაბილიტაციო პროცესში მონაწილე უწყებათა და ორგანიზაციათა კოორდინირებული მუშაობის უზრუნველყოფა, მედიასთან და საზოგადოებასთან კომუნიკაცია რეაბილიტაციის პროცესის მხარდასაჭერად.

**აქტივობა 3.1.** რესოციალიზაცია-რეაბილიტაციის სამუშაო ჯგუფის მუშაობა მიმდინარე საკითხებზე შეთანხმებისთვის.

**ინდიკატორი:** სამუშაო ჯგუფის არსებობა და ჯგუფის შეხვედრების რაოდენობა.

**მისაღწევი შედეგი:** სამუშაო ჯგუფის კვარტალური შეხვედრები.

**დასკვნა:** აღნიშნული აქტივობის რელევანტურობის, ინდიკატორების და შესრულების შედეგებთან დაკავშირებით არის ისეთივე სახის შეფასება, რაც არის მოცემული 2015 წლის გეგმის ანალოგიურ კომპონენტში.

**აქტივობა 3.2.** სარეაბილიტაციო ღონისძიებების ერთობლივად განხორციელება პარტნიორ სახელმწიფო და კერძო ორგანიზაციებთან ერთად.

**ინდიკატორი:** ერთობლივი ღონისძიებების რაოდენობა.

---

**91** იქვე, გვ. 158

**92** იქვე, გვ. 158-159

**მისაღწევი შედეგი:** მიმდინარე ერთობლივი ღონისძებები.

**დასკვნა:** აღნიშნული აქტივობის რელევანტურობის, ინდიკატორების და შესრულების შედეგებთან დაკავშირებით არის ისეთივე სახის შეფასება, რაც არის მოცემული 2015 წლის გეგმის ანალოგიურ კომპონენტში.

**აქტივობა 3.3.** სასამართლოსთან, პროკურატურასთან და პოლიციასთან სამუშაო შეხვედრების ორგანიზება მიმდინარე პრაქტიკის განხილვის მიზნით.

**ინდიკატორი:** მინიმუმ ყოველწლიური შეხვედრა.

**მისაღწევი შედეგი:** სამუშაო ჯგუფის რეგურალური შეხვედრები.

**დასკვნა:** აღნიშნული აქტივობის რელევანტურობის, ინდიკატორების და შესრულების შედეგებთან დაკავშირებით არის ისეთივე სახის შეფასება, რაც არის მოცემული 2015 წლის გეგმის ანალოგიურ კომპონენტში.

**აქტივობა 3.4.** სასჯელაღსრულების, პრობაციისა და პრევენციის ცენტრს შორის ბენეფიციართა გარდამავალი მენეჯმენტის სისტემის დანერგვა.

**ინდიკატორი:** გარდამავალი მენეჯმენტის სქემა და ამ სქემის მიხედვით აღსრულების მაჩვენებელი სისტემიდან გასულთა რაოდენობასთან თანაფარდობით.

**მისაღწევი შედეგი:** სამუშაო პროცესის გაუმჯობესების მიზნით ამ სამ უწყებას შორის სამუშაო შეხვედრების რეგულარულად გამართვა. გარდამავალი მენეჯმენტის პროცედურები გაწერილი და დამტკიცებულია.

**რელევანტურობა:** აქტივობა ზოგადად იყო რელევანტური, თუმცა ნაწილობრივ გაზომვადი. ინდიკატორის მიხედვით, არ ჩანს კონკრეტულად რა შედეგის მიღწევა იგეგმებოდა. „აღსრულების მაჩვენებელი სისტემიდან გასულთა რაოდენობასთან თანაფარდობით" გასაგებია, თუმცა რა რაოდენობის ან/და პროცენტული მაჩვენებლის მიღწევა ჩაითვლებოდა შედეგის მიღწევად?

**შესრულების შეფასება:** სს მართლმსაჯულების სფეროში რესოციალიზაცია-რეაბილიტაციის 2016 წლის პროგრეს ანგარიშში აღნიშნულია, რომ დაიწყო პრობაციის სააგენტოსა და სასჯელაღსრულების დეპარტამენტის გარდამავალი მენეჯმენტის ამსახველი ქმედებების ინსტრუქციის მომზადება.[93]

**დასკვნა:** აღნიშნული აქტივობა ზოგადად იყო რელევანტური, თუმცა ნაწილობრივ გაზომვადი. შესრულების შედეგების მიხედვით, ეს აქტივობა არ შესრულებულა.

**აქტივობა 3.5.** საზოგადოების ცნობიერების ამაღლების კამპანიის წარმოება (სოციალური კლიპები, კონკურსები, სოციალური მედიის მეშვეობით ინფორმაციის გავრცელება).

**ინდიკატორი:** სარეაბილიტაციო ღონისძიებების გაშუქების მაჩვენებელი; საზოგადოების აზრის კვლევის შედეგები.

**მისაღწევი შედეგი:** არაფერი არ წერია.

**დასკვნა:** აღნიშნული აქტივობის რელევანტურობის, ინდიკატორების და შესრულების შედეგებთან დაკავშირებით არის ისეთივე სახის შეფასება, რაც არის მოცემული 2015 წლის გეგმის ანალოგიურ კომპონენტში.

**აქტივობა 3.6.** მიმდინარე საქმიანობის შესახებ მედიისთვის ინფორმაციის რეგულარულად მიწოდება.

**ინდიკატორი:** მიწოდებული ინფორმაციის მაჩვენებელი.

**მისაღწევი შედეგი:** ინფორმაციის რეგულარული გაცვლა.

**დასკვნა:** აღნიშნული აქტივობის რელევანტურობის, ინდიკატორების და შესრულების შედეგებთან დაკავშირებით არის ისეთივე სახის შეფასება, რაც არის მოცემული 2015 წლის გეგმის ანალოგიურ კომპონენტში.

**აქტივობა 3.7.** ტრენინგი მედიის წარმომადგენელთათვის.

93 იქვე, გვ. 160

**ინდიკატორი:** შეხვედრების რაოდენობა.

**მისაღწევი შედეგი:** პერიოდულად ინფორმაციის მიწოდება მედიის წარმომადგენლებისთვის.

**რელევანტურობა:** აქტივობა ზოგადად რელევანტურია, თუმცა მოცემული ინდიკატორით მისი შესრულების შეფასება რთულია. არ ჩანს რამდენი შეხვედრა უნდა ჩატარდეს კონკრეტულად.

**შესრულების შეფასება:** სს მართლმსაჯულების სფეროში რესოციალიზაცია-რეაბილიტაციის 2016 წლის პროგრეს ანგარიშში აღნიშნულია, რომ სასჯელაღსრულების სისტემაში განხორციელებული რეფორმისა და საკანონმდებლო ცვლილებების გაცნობის მიზნით, ჟურნალისტებისათვის ქ. ბორჯომში ჩატარდა ორ დღიანი სემინარი თემაზე: „სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სისტემის რეფორმა". სემინარს საქართველოს მასმედიის სხვადასხვა სფეროს 40-მდე წარმომადგენელი ესწრებოდა, რომლებიც გაეცნენ სისტემაში განხორციელებულ საკანონმდებლო ცვლილებებს, სამომავლო გეგმებს, სამინისტროს პრიორიტეტებს, პენიტენციურ დაწესებულებებში ჯანსაღი გარემოს შექმნისა და პატიმრების რესოციალიზაცია-რეაბილიტაციის მიზნით მიღწეულ პროგრესსა და სამომავლო პროგრამებს.[94]

**დასკვნა**: აღნიშნული აქტივობა ზოგადად იყო რელევანტური, თუმცა არ იყო გაზომვადი მოცემული ინდიკატორით. აქტივობის, მოცემული ინდიკატორის და შესრულების შედეგების მიხედვით, აღნიშნული აქტივობა შეიძლება ჩაითვალოს ნაწილობრივ შესრულებულად.

**აქტივობა 3.8**. საზოგადოებრივი აზრის კვლევა რესოციალიზაცია-რეაბილიტაციის პროცესისა და ამ სფეროს ბენეფიციართა მიმართ დამოკიდებულებაზე.

**ინდიკატორი:** კვლევა.

**მისაღწევი შედეგი** - არაფერი არ წერია.

**დასკვნა:** აღნიშნული აქტივობის რელევანტურობის, ინდიკატორების და შესრულების შედეგებთან დაკავშირებით არის ისეთივე სახის შეფასება, რაც არის მოცემული 2015 წლის გეგმის ანალოგიურ კომპონენტში.

**გეგმის ზოგადი შეფასება:** აღნიშნული გეგმით განსაზღვრული მიზანი, სტრატეგიული მიზნები და აქტივობები ზოგადად იყო რელევანტური და შეესაბამებოდა არსებულ გამოწვევებს. გეგმის აქტივობები ძირითადში შეესაბამებოდა და ზოგ ნაწილში უფრო შლიდა ადამიანის უფლებათა დაცვის სამთავრობო გეგმის კომპონენტებს, თუმცა შეფასების ინდიკატორების უმეტესობა (რომლებიც გამოიყენებოდა აქტივობების შესრულების შეფასებისთვის) იყო ზოგადი, რომ მათი მეშვეობით იმის განსაზღვრა, თუ რა იგეგმებოდა, რთულია. გარდა ამისა, აღნიშნული აქტივობებით ვერ იქნებოდა მიღწეული გეგმით განსაზღვრული მიზანი და სტრატეგიული მიზნები. იმ პერიოდში არსებული გამოწვევების გათვალისწინებით, აღნიშნულ გეგმებში არ იყო აღნიშნული ასახული ისეთი მნიშვნელოვანი საკითხები, როგორიც არის - კრიმინალური სუბკულტურის გავლენების დაძლევისთვის გადასადგმელი ნაბიჯები; პატიმართა მოტივირების სისტემის ჩამოყალიბება; უწყებათაშორისი თანამშრომლობის მექანიზმის დახვეწა; უმცირესობებზე და მოწყვლად ჯგუფებზე მორგებული პროგრამების განვითარება; პატიმართა შრომითი სტანდარტების გაუმჯობესება; დახურული ტიპის დაწესებულებებში აქტივობების ორგანიზებასთან დაკავშირებით. ასევე, მიუხედავად გეგმაში ასახული კომპონენტებისა, აქტივობების უმეტესობა არ შესრულებულა ან/და მისი შესრულების შეფასება არსებული სტრუქტურის და შესრულების შედეგების გათვალისწინებით შეუძლებელია. გარდა ამისა, გეგმების ერთ-ერთი მიმართულება, მე-3 სტრატეგიული მიზნის უმეტესი აქტივობები არ შესრულებულა აღნიშნულ პერიოდში (2016-2017 წლებში), ისევე როგორც არ შესრულებულა 2015 წელს, თუმცა ორივე წლის გეგმაში ანალოგიური სახის აქტივობები და მისაღწევი შედეგები არის მოცემული. ამის გამო, ცოტა ბუნდოვანია, რატომ ხდებოდა გეგმებში იმ კომპონენტების ასახვა, რომლებიც, სავარაუდოდ, წინასწარვე იყო ცნობილი, რომ არ შესრულდებოდა. ასევე, ხშირ შემთხვევაში, არ იკვეთებოდა კავშირი სტრატეგიულ მიზანს, ღონისძიებას, ინდიკატორს და მისაღწევ შედეგს შორის, რის გამოც რთული იყო იმის განსაზღვრა, რა იყო კონკრეტულად დაგეგმილი და რა შედეგი უნდა მიღწეულიყო.

## ე) სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სისტემაში რესოციალიზაცია - რეაბილიტაციის 2017 წლის სამოქმედო გეგმა[95]

აღნიშნული გეგმა არის შემდეგი სტრუქტურით ჩამოყალიბებული - მიზანი; სტრატეგიული მიზანი; ინდიკატორი; მისაღწევი შედეგი; პასუხისმგებელი უწყება; რესურსი. გეგმა აერთიანებს 1 მიზანს, 3 სტრატეგიულ

**94** იქვე, გვ. 161

**95** http://www.justice.gov.ge/AboutUs/Council/237

მიზანს და 20 აქტივობას (განხილულია 19 აქტივობა, რომელიც პენიტენციურ სისტემას ეხება). აღნიშნულ გეგმაში ინდიკატორები გამოიყენება აქტივობის შეფასებისთვის.

**მიზანი 11.** მსჯავრდებულთა და ყოფილ მსაჯვრდებულთა რესოციალიზაცია-რეაბილიტაციისა და საზოგადოებაში ინტეგრაციის უზრუნველყოფა.

**სტრატეგიული მიზანი 1.** საჭიროებებზე მორგებული სარეაბილიტაციო პროგრამების განვითარება საუკეთესო ადგილობრივ და საერთაშორისო გამოცდილებაზე დაყრდნობით.

**აქტივობა 1.1.** რისკისა და საჭიროების შეფასების მეთოდოლოგიის (ბიო-ფსიქო-სოციალური შეფასება) დანერგვა და განვითარება რისკ-ჯგუფების იდენტიფიცირებისთვის. აგრეთვე, ბენეფიციართა მხრიდან რეციდივის შემთხვევების მიზეზების ანალიზის სისტემის დანერგვა.

**ინდიკატორი:** შეფასების ინსტრუმენტები; შეფასების ინსტრუმენტების ცვლილება.

**მისაღწევი შედეგი:** შეფასებისა და სასჯელის მოხდის ინდივიდუალური გეგმის ინსტრუმენტების გადახედვა/განახლება საჭიროების შემთხვევაში.

**რელევანტურობა:** აქტივობა თავისი შინაარსით არის რელევანტური და გაზომვადი (მისაღწევ შედეგთან კავშირის მიხედვით).

**შესრულების შეფასება:** სს მართლმსაჯულების სფეროში რესოციალიზაცია-რეაბილიტაციის 2017 წლის პროგრეს ანგარიშში აღნიშნულია:

1. №16 დაბალი რისკის დაწესებულებებში მიმდინარეობს მსჯავრდებულთა სრული ჩართულობით 2015;
2. №5 ქალთა დაწესებულებაში მიმდინარეობს ბენეფიციართა სრული ჩართულობით;
3. №2 დაწესებულებაში ჩართულია - 85 მსჯავრდებული;
4. №3 დაწესებულებაში ჩართულია - 6 მსჯავრდებული;
5. №6 დაწესებულებაში ჩართულია - 7 მსჯავრდებული;
6. №8 დაწესებულებაში ჩართულია - 445 მსჯავრდებული;
7. №11 დაწესებულებაში ჩართულია - 19 მსჯავრდებული;
8. №12 დაწესებულებაში ჩართულია - 144 მსჯავრდებული;
9. №14 დაწესებულებაში ჩართულია - 61 მსჯავრდებული;
10. №15 დაწესებულებაში ჩართულია - 344 მსჯავრდებული;
11. №17 დაწესებულებაში ჩართულია - 110 მსჯავრდებული;
12. №18 დაწესებულებაში ჩართულია - 4 მსჯავრდებული;
13. №19 დაწესებულებაში ჩართულია - 28 მსჯავრდებული;

განახლდა სასჯელის მოხდის ინდივიდუალური დაგეგმვის რისკისა და საჭიროების შეფასების ინსტრუმენტი, რომელსაც დაემატა ზიანის რისკის სეგმენტი. კითხვარი ობიექტურ, ქულობრივ შეფასებას მოიაზრებს და მისი პილოტირება №16 დაწესებულებაში მიმდინარე წლის დეკემბრის თვიდან დაიწყო.[96]

**დაკვნა:** აღნიშნული აქტივობა ზოგადად იყო რელევანტური და გაზომვადი. შესრულების შედეგების მიხედვით, აღნიშნული აქტივობა შესრულდა ნაწილობრივ (მაგალითად, ანგარიშის მიხედვით ბენეფიციართა მხრიდან რეციდივის შემთხვევების მიზეზების ანალიზის სისტემის დანერგვა არ განხორციელებულა). ასევე, აქტივობიდან იკვეთება, რომ ეს მიდგომა ყველა დაწესებულებაში უნდა დანერგილიყო, თუმცა შედეგების

96 სს მართლმსაჯულების სფეროში რესოციალიზაცია-რეაბილიტაციის 2017 წლის პროგრეს ანგარიში, გვ. 173

მიხედვით ასე არ მომხდარა. ამავეს ადასტურებს კვლევები, რომლის შედეგებიც მოცემულია გამოწვევების ნაწილში.

**აქტივობა 1.2.** ბენეფიციართა გამართული სარეგისტრაციო ბაზების ქონა და ერთიანი საძიებო პარამეტრების დამკვიდრება ბენეფიციართა რისკ-ჯგუფების და საჭიროებების მონაცემთა გენერირებისთვის.

**ინდიკატორი:** გამართული სარეგისტრაციო ბაზები, რომლებიც რისკ-ჯგუფებისა და საჭიროებათა გენერერიების ფუნქციებით არის აღჭურვილი.

**მისაღწევი შედეგი:** (დ.პ.ც) - ყოფილ პატიმართა მონაცემთა ბაზის მონაცემებზე დაყრდნობით სარეაბილიტაციო პროგრამების ეფექტურობის ამაღლება; ბაზის ფუნქციონირებისას გამოვლენილი ხარვეზების გამოსწორება და ფუნქციური განახლება. მსჯავრდებულთა შესახებ ერთიანი მონაცემთა ბაზის შესაქმნელად ტექნიკური სამუშაოების განხორციელების უზრუნველყოფა. ყოფილ პატიმართა მონაცემთა ბაზის ადმინისტრირება. მსჯავრდებულთა ერთიანი მონაცემთა ბაზის დახვეწა.

**რელევანტურობა:** აქტივობა თავისი შინაარსით არის რელევანტური და გაზომვადი. მისაღწევი შედეგი მოიცავს მარტო დანაშაულის პრევენციის ცენტრის მიერ დაგეგმილ აქტივობას.

**შესრულების შეფასება:** სს მართლმსაჯულების სფეროში რესოციალიზაცია-რეაბილიტაციის 2017 წლის პროგრეს ანგარიშში აღნიშნულია, რომ შეიქმნა სოციალური მიმართულების ბაზა, სადაც თავს იყრის როგორც სარეაბილიტაციო პროგრამების და მასში მონაწილეთა შესახებ ინფორმაცია, ასევე მსჯავრდებულთა შესახებ ყველა ინფორმაცია, რაც საჭიროა შემთხვევის მართვის პროცესში.[97] თუმცა სხვადასხვა კვლევებში ასახულ ინფორმაციაზე დაყრდნობით (ეს ინფორმაცია წარმოდგენილია ამ კვლევაში გამოწვევების ნაწილში), მსგავსი ტიპის სარეგისტრაციო ბაზა საანგარიშო პერიოდში არ შექმნილა.

**დასკვნა:** აღნიშნული აქტივობა ზოგადად იყო რელევანტური და გაზომვადი. მისაღწევ შედეგში ასახული ინფორმაცია ეხებოდა მხოლოდ დანაშაულის პრევენციის ცენტრს, თუმცა შესრულების ანგარიშში ასახული ინფორმაცია ასახვას პენიტენციური სისტემაში განხორციელებულ აქტივობას. ამის გათვალისწინებით, საერთოდ რთულია იმის შეფასება რა იყო დაგეგმილი და რისი შედეგები არის აქ მოცემული.

**აქტივობა 1.3.** საჭიროებებზე ორიენტირებული სერვისების მოკვლევა და ადაპტაცია ადგილობრივ და საერთაშორისო პრაქტიკაზე დაყრდნობით.

**ინდიკატორი:** მოძიებული პარტნიორი ორგანიზაციები; მინიმუმ ყოველი წლის ბოლოს სერვისებზე მოძიებული განახლებული ინფორმაცია; ერთობლივი სამუშაო შეხვედრები პარტნიორ ორგანიზაციებთან.

**მისაღწევი შედეგი:** სასჯელაღსრულების სისტემაში საჭირო სერვისების შესახებ კვლევის განხორციელება და შესაბამის პარტნიორებთან ერთად პროგრამების განახლება/დანერგვა.

**რელევანტურობა:** აქტივობა თავისი შინაარსით არის რელევანტური, თუმცა შეფასების ინდიკატორები არის ზოგადი და ვერ ზომავს აღნიშნულ აქტივობას. რომელ და რა რაოდენობის საჭირო სერვისებზეა საუბარი?

**შესრულების შეფასება:** სს მართლმსაჯულების სფეროში რესოციალიზაცია-რეაბილიტაციის 2017 წლის პროგრეს ანგარიშში აღნიშნულია, რომ 2017 წელს შეიქმნა შემდეგი მოდულები: „არტ თერაპია წამალდამოკიდებულებისთვის"; „GBT და წამალდამოკიდებულება"; „რეპროდუქციული ჯანმრთელობა ქალი მსჯავრდებულებისთვის".[98]

**დასკვნა:** აღნიშნული აქტივობა ზოგადად იყო რელევანტური, თუმცა აღნიშნული ინდიკატორებით ამ აქტივობის შესრულების გაზომვა არის რთული. ანგარიშში არის წარმოდგენილი ინფრომაცია განხორციელებული სერვისების შესახებ, თუმცა არ არის ინფორმაცია კვლევის შესახებ, როგორც ეს არის მოცემული მისაღწევ შედეგში. ამის გათვალისწინებით, ამ აქტივობის შესრულება ობიექტურად ვერ შეფასდება.

**აქტივობა 1.4.** ხშირად მოთხოვნადი სერვისების ორგანიზაციის ბაზაზე დანერგვა.

**ინდიკატორი:** ორგანიზაციის ბაზაზე დანერგილი შიდა მომსახურებები; გადამზადებული თანამშრომლები.

**მისაღწევი შედეგი:** (დ.პ.ც) იდენტიფიცირებული შიდა მომსახურებების დანერგვა, შეფასება, ადაპტირება,

97 იქვე, გვ. 174

98 იქვე, გვ. 175

განახლება; თანამშრომელთა გადამზადება, არსებული სერვისების ეფექტურობა შეფასებულია და განხორციელებულია შესაბამისი ცვლილებები.

**რელევანტურობა:** აქტივობა თავისი შინაარსით არის რელევანტური, თუმცა ინდიკატორები არის ზოგადი და არ არის გაზომვადი. შეუძლებელია ამ ინდიკატორებით შეფასდეს, კონკრეტულად რა სახის აქტივობის განხორციელება იგეგმებოდა, რა სახის და რამდენი სახის შიდა მომსახურებების დანერგვა, შეფასება, ადაპტირება, განახლება იგეგმებოდა. რამდენი თანამშრომლის გადამზადება უნდა მომხდარიყო. გარდა ამისა, მისაღწევი შედეგი ეხება მხოლოდ დანაშაული პრევენციის ცენტრს.

**შესრულების შეფასება:** სს მართლმსაჯულების სფეროში რესოციალიზაცია-რეაბილიტაციის 2017 წლის პროგრეს ანგარიშში აღნიშნულია, რომ 2017 წელს პენიტენციურ სისტემაში დაინერგა შემდეგი მოდულები:

- „არტ თერაპია წამალდამოკიდებულებისთვის" დაინერგა №14 და №15 დაწესებულებებში;
- „GBT და წამალდამოკიდებულება" დაინერგა ყველა ნახევრად ღია დაწესებულებაში;
- „პოზიტიური უნარების განვითარების პროგრამა (TSP)" დაინერგა №5,11,12,15,16,17 დაწესებულებებში.

საანგარიშო პერიოდში ფსიქო-სოციალური საინფორმაციო და სარეაბილიტაციო პროგრამებში ჩართული იყო 1579 მსჯავრდებული; მათ შორის, ჯგუფურ ინტერვენციებში 416 (12 სახის პროგრამა); სხვადასხვა არტ თერაპიაში - 181 (4 სახის პროგრამა); ფსიქო-სოციალურ ტრენინგებში - 982 ბენეფიციარი (26 სახის პროგრამა).[99]
2017 წლის პრევენციის ეროვნული მექანიზმის ანგარიშში აღნიშნულია ინფორმაცია პენიტენციურ სისტემაში განხორციელებული პროგრამების შესახებ. აღნიშნული ანგარიშის მიხედვით, პროგრამები ხორციელდებოდა პენიტენციური სისტემის სხვადასხვა დაწესებულებებში. სერვისების მიწოდების კუთხით წინა წლებთან დააკავშირებით არის განხორციელებული პროგრამების და მასში ჩართული ბენეფიციარების ზრდა.[100] ანგარიშში ასევე ასახულია, რომ მიუხედავად გარკვეული ნაბიჯებისა, ამ მხრივ სისტემაში კვლავ მძიმე მდგომარეობაა. პრობლემას წარმოადგენს კვალიფიციური პერსონალის ნაკლებობა, პროგრამების არამრავალფეროვნება და სპორადულობა, ასევე მსჯავრდებულთა დაბალი ჩართულობა. მსჯავრდებულთა სასჯელის მოხდის ინდივიდუალური გეგმები ზოგადი ხასიათისაა, სრულყოფილად არ ასახავს მსჯავრდებულის საჭიროებების იდენტიფიცირების შედეგად სპეციალისტის მიერ ჩატარებულ სამუშაოს.[101] ანგარიშში ასევე წერია, რომ სამწუხაროდ, უნდა აღინიშნოს, რომ განსაკუთრებული რისკის დაწესებულებებში მყოფ პატიმრებს არ მიეცათ საშუალება მონაწილეობა მიეღოთ სარეაბილიტაციო აქტივობებში, რაც ხელმისაწვდომი იყო დახურული ტიპის დაწესებულებაში მყოფი პატიმრებისთვის. არსებული მიდგომებით, განსაკუთრებული რისკის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულება წარმოადგენს სტატიკური უსაფრთხოების პრინციპებზე დაფუძნებულ, შეზღუდვების, აკრძალვებისა და უპირობოდ მკაცრი რეჟიმის დაწესებულებას, რომელიც ვერ უზრუნველყოფს მსჯავრდებულთა ქცევის პოზიტიურ ცვლილებას, რეაბილიტაციას და, შესაბამისად, საზოგადოებაში რეინტეგრაციას.[102] უმეტესად, დღის განმავლობაში 23 საათი უწევთ საკანში გატარება.[103]

**დასკვნა:** აღნიშნული აქტივობა ზოგადად იყო რელევანტური, თუმცა, როგორც უკვე აღინიშნა, ამ ინდიკატორებით ვერ შეფასდება, შესრულდა თუ არ ეს აქტივობა, ვინაიდან არ ჩანს, კონკრეტულად რა იყო დაგეგმილი. გარდა ამისა, მისაღწევი შედეგი ეხება მხოლოდ დანაშაულის პრევენციის ცენტრს, ხოლო შესრულების შედეგებში არის ინფორმაცია პენიტენციურ სისტემაში განხორციებული აქტივოებების შესახებ. თუმცა შესრულების შედეგების მიხედვით, ეს აქტივობა შეიძლება ნაწილობრივ შესრულებულად მაინც ჩაითვალოს.

**აქტივობა 1.5.** საბაზისო სერვისების კოორდინირებული შექმნისა და მიწოდების უზრუნველყოფა.

**ინდიკატორი:** უწყებათშორისი თანამშრომლობის მექანიზმის შექმნა; თავშესაფრის, ნივთიერებაზე დამოკიდებულთა და ფსიქიკური პრობლემების მქონეთა მომართვიანობისა და მათი საჭიროებების დაკმაყოფილების მაჩვენებელი.

**მისაღწევი შედეგი:** იზომება მიწოდებული სერვისების ხარისხი და კოორდინაცია გარდამავალი მენეჯმენტისას. პროგრამების გასაუმჯობესებლად და ხარვეზების აღმოსაფხვრელად იხვეწება/ვითარდება სერვისები.

---

99 იქვე, გვ. 175

100 2017 წლის პრევენციის ეროვნული მექანიზმის ანგარიში, გვ. 57-60

101 იქვე, გვ. 21

102 იქვე, გვ. 13

103 იქვე, გვ. 16

**რელევანტურობა:** აქტივობა თავისი შინაარსით იყო რელევანტური. თუმცა შეფასების ერთ-ერთი ინდიკატორით არ არის შესაძლებელი აქტივობის გაზომვა (მაგ.რაში გამოიხატება უწყებათაშორისი თანამშრომლობის მექანიზმის შექმნა, მისაღწევ შედეგში ამის თაობაზე არაფერი წერია). მეორე ინდიკატორით (თავშესაფრის, ნივთიერებაზე დამოკიდებულთა და ფსიქიკური პრობლემების მქონეთა მომართვიანობისა და მათი საჭიროებების დაკმაყოფილების მაჩვენებელი) არ ჩანს დაკმაყოფილების რა სახის მაჩვენებელზე არის საუბარი. რასთან უნდა იყოს ეს მაჩვენებელი შედარებული?

**შესრულების შეფასება:** სს მართლმსაჯულების სფეროში რესოციალიზაცია-რეაბილიტაციის 2017 წლის პროგრეს ანგარიშში აღნიშნულია, რომ სასჯელაღსრულების სამინისტროსა და განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს შორის გაფორმებული მემორანდუმის საფუძველზე, მსჯავრდებულებს აქვთ პროფესიულ, საგანმანათლებლო და კომპიუტერულ პროგრამებში მონაწილეობის შესაძლებლობა. საანგარიშო პერიოდისათვის ჩართული იყო 1562 მსჯავრდებული, რაც წარმოადგენს მსჯავრდებულთა საერთო რაოდენობის 19%-ს. ასევე, 2017 წელს კულტურულ ღონისძიებებში და სპორტულ ღონისძიებებში, რომლებსაც ძირითადად მოწვეული სტუმრებიც ესწრებიან, 2360 მსჯავრდებულმა მიიღო მონაწილეობა, მათ შორის: ინტელექტუალური და შემეცნებითი შეხვედრები - 408; კონკურსები - 223; თეატრალური დასი - 82; სპორტული წვრთნა - 75. დაწესებულებებში გაიმართა 338 კულტურული და 35 სპორტული ღონისძიება.[104]

2017 წლის სახალხო დამცველის ანგარიშში აღნიშნულია, რომ დადებითად უნდა შეფასდეს წარმოდგენილი რეფორმის ისეთი მნიშვნელოვანი ასპექტები, როგორიცაა გათავისუფლებისთვის მომზადების თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების შექმნა, არასაპატიმრო ღონისძიების ახალი სახის - შინაპატიმრობის ამოქმედება და გარკვეული კატეგორიის მსჯავრდებულთათვის უმაღლესი განათლების უფლების მინიჭება.[105]

**დასკვნა:** აღნიშნული აქტივობა ზოგადად იყო რელევანტური, თუმცა წარმოდგენილი ინდიკატორებით რთულია აქტივობის შესრულების გაზომვა. შესრულების ანგარიშში წარმოდგენილია ინფორმაცია ერთ-ერთ სამინისტროსთან გაფორმებული მემორანდუმის შესახებ და ინფორმაცია განხორციელებული სხვადასხვა აქტივობების შესახებ. თუმცა ანგარიშში არაფერი წერია სერვისების ხარისხის კონტროლის და სერვისები გაუმჯობესების თაობაზე, როგორც ეს აღნიშნულია მისაღწევ შედეგში. ამის გარდა, ხარისხის კონტროლის თაობაზე ცალკე აქტივობაა ასევე განსაზღვრული და გაუგებარია, რატომ არის ეს კომპონენტი ამ ნაწილში. თუმცა შესრულების შედეგების გათვალისწინებით, ეს აქტივობა ნაწილობრივ შესრულებულად მაინც შეიძლება ჩაითვალოს.

**აქტივობა 1.6.** სერვისების ხარისხის კონტროლი.

**ინდიკატორი.** მომსახურების მიწოდების სტანდარტი; ხარისხის კონტროლის ინსტრუმენტი; მომსახურებების მონიტორინგის სისტემა.

**მისაღწევი შედეგი:** არსებობს ზემოაღნიშნული სტანდარტის სამუშაო ვერსია, რომელიც წლის ბოლომდე მომზადებულია დასამტკიცებლად.

**რელევანტურობა:** აქტივობა თავისი შინაარსით არის რელევანტური და გაზომვადი.

**შესრულების შეფასება:** სს მართლმსაჯულების სფეროში რესოციალიზაცია-რეაბილიტაციის 2017 წლის პროგრეს ანგარიშში აღნიშნულია, რომ მიმდინარე წელს INL - აშშ სახელმწიფო დეპარტამენტის ანტინარკოტიკული და სამართალდამცავ ორგანოებთან ურთიერთობების საერთაშორისო ბიუროსა და ევროკავშირის მხარდამჭერი პროექტის, EU4justice-ის მხარდაჭერით დაიწყო მუშაობა სარეაბილიტაციო პროგრამების შეფასების სისტემების შექმნაზე.[106] თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს, რომ 2016 წელს ანალოგიურ აქტივობაზე მისაღწევ შედეგთან დაკავშირებით ეწერა შემდეგი - სერვისის მიწოდების სტანდარტთან შესაბამისობის მონიტორინგი განხორციელებულია და საჭიროების შემთხვევაში შესაბამისი ცვლილებები შეტანილია. ინდიკატორები იყო ანალოგიური შინაარსის.

**დასკვნა**: აღნიშნული აქტივობა იყო რელევანტური და გაზომვადი. თუმცა უნდა ითქვას, რომ ანალოგიური აქტივობები იყო წინა წლების გეგმებშიც. შესრულების შედეგების მიხედვით, საანგარიშო პეროდში ჯერ მხოლოდ მუშაობა არის დაწყებული და ეს სისტემა ჩამოყალიბებული არ არის. ამის გათვალისწინებით, ამავეს ადასტურებს განხორციელებული კვლევები (ინფორმაცია არის აღნიშნულ კვლევაში გამოწვევების ნაწილში) სადაც აღნიშნულია, რომ ხარისხის შეფასების სისტემა საანგარიშო პერიოდში ჩამოყალიბებული არ ყოფილა. ამის გათვალისწინებით, აღნიშნული აქტივობა არ შესრულებულა.

---

104 სს მართლმსაჯულების სფეროში რესოციალიზაცია-რეაბილიტაციის 2017 წლის პროგრეს ანგარიში, გვ. 177

105 საქართველოს სახალხო დამცველის 2017 წლის ანგარიში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ, გვ. 41

106 სს მართლმსაჯულების სფეროში რესოციალიზაცია-რეაბილიტაციის 2017 წლის პროგრეს ანგარიში, გვ. 177

**აქტივობა 1.7.** კვლევების დაგეგმვა სარეაბილიტაციო პროგრამების ეფექტიანობის გასაზომად (საბოლოო შედეგების გაზომვა).

**ინდიკატორი:** საბაზისო მონაცემების შექმნა; საკვლევი ობიექტის/პრობლემის იდენტიფიკაცია; დაგეგმილი და განხორციელებული კვლევები.

**მისაღწევი შედეგი:** კვლევების განხორციელება სხვადასხვა მომსახურების ეფექტურობის შესწავლისა და ბენეფიციართა საჭიროებების უკეთ გამოვლენის მიზნით; განხორციელებული კვლევების საფუძველზე შესაბამისი ცვლილებები განხორციელებულია პროგრამებში.

**რელევანტურობა:** აქტივობა თავისი შინაარსით არის რელევანტური და მოცემული ინდიკატორებით შესაძლებელია ამ აქტივობის ნაწილობრივ გაზომვა. მაგალითად, არ ჩანს რა იგულისხმება საბაზისო მონაცემების შექმნაში და მოცემული მისაღწევი შედეგით ეს შედეგი როგორ მიიღწევა. გარდა ამისა, რა რაოდენობის და რა სახის კვლევები იგეგმება კონკრეტულად.

**შესრულების შეფასება:** სს მართლმსაჯულების სფეროში რესოციალიზაცია-რეაბილიტაციის 2017 წლის პროგრეს ანგარიშში აღნიშნულია, რომ ევროკავშირის მიერ დაფინანსებული არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ ჩატარდა ორი კვლევა: რეაბილიტაციის პროცესის ანალიზი; დასაქმების ბაზრისა და კანონთან კონფლიქტში მყოფ პირთა პროფესიული შესაძლებლობები და საჭიროებები.[107]

**დასკვნა:** აღნიშნული აქტივობა ზოგადად იყო რელევანტური. თუმცა ინდიკატორებით აქტივობის გაზომვა ნაწილობრივ იყო შესაძლებელი. აქტივობაზე, მისაღწევ შედეგზე და ინდიკატორებზე დაყრდნობით, შეიძლება ითქვას, რომ ეს აქტივობა შესრულდა ნაწილობრივ.

**სტრატეგიული მიზანი 2.** სარეაბილიტაციო პროცესში ჩართული უწყებებისა და ორგანიზაციების ინსტიტუციური გაძლიერება, პერსონალის მომზადება და განვითარება მაღალხარისხიანი სარეაბილიტაციო მომსახურების მიწოდებისთვის.

**აქტივობა 2.1.** რესოციალიზაცია-რეაბილიტაციის პროცესში ჩართული უწყებების მიერ წინამდებარე სტრატეგიითა და სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული პრიორიტეტებისა და აქტივობების საკუთარ სტრატეგიებსა და სამოქმედო გეგმებში ასახვა.

**ინდიკატორი:** შესაბამისი უწყებების სტრატეგიული დოკუმენტები და სამოქმედო გეგმები, სადაც ასახულია აღნიშნული პრიორიტეტები და აქტივობები.

**მისაღწევი შედეგი:** სტრატეგიები და სამოქმედო გეგმები შესაბამისად განახლებულია.

**რელევანტურობა:** აღნიშნული აქტივობა არის რელევანტური და გაზომვადი.

**შესრულების შეფასება:** სს მართლმსაჯულების სფეროში რესოციალიზაცია-რეაბილიტაციის 2017 წლის პროგრეს ანგარიშში აღნიშნულია, რომ სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს სამოქმედო გეგმაში ასახულია პენიტენციური დეპარტამენტის სხვა უწყებათაშორის სამოქმედო გეგმებში აღნიშნული ვალდებულებები.[108]

**დასკვნა:** აღნიშნული აქტივობა ზოგადად იყო რელევანტური, გაზომვადი, თუმცა შესრულდა ნაწილობრივ, ვინაიდან გეგმაში არ იყო ასახული ყველა ის მიმართულება, რაც იმ დროისთვის წარმოადგენდა გამოწვევას. აღნიშნული საკითხი დეტალურად შეგიძლიათ ნახოთ ქვევით, გეგმის ზოგადი შესაფასების ნაწილში.

**აქტივობა 2.2.** რესოციალიზაცია-რეაბილიტაციის პროცესის ეფექტიანად წარმართვისთვის შესაბამის უწყებებში ინფრასტრუქტურის შექმნა.

**ინდიკატორი:** პრობაციის ეროვნულ სააგენტოში, დანაშაულის პრევენციის ცენტრსა და სასჯელაღსრულების დაწესებულებებში პერსონალისთვის არსებული სამუშაო პირობები და შესაბამისად აღჭურვილი სივრცე ბენეფიციარებთან ინდივიდუალური და ჯგუფური მუშაობისთვის.

**მისაღწევი შედეგი:** რეაბილიტაცია-რესოციალიზაციის პროცესის შესაბამისი ინფრასტრუქტურული ცვლილებები განხორციელებულია.

---

**107** იქვე, გვ. 178

**108** იქვე, გვ. 179

**რელევანტურობა:** აქტივობა თავისი შინაარსით არის რელევანტური, თუმცა მოცემული ინდიკატორებით შეუძლებელია იმის განსაზღვრა, კონკრეტულად რა იგეგმებოდა. მაგალითად, სად და რა სახის ინფრასტრუქტურის შექმნა იყო დაგეგმილი?

**შესრულების შეფასება:** სს მართლმსაჯულების სფეროში რესოციალიზაცია-რეაბილიტაციის 2017 წლის პროგრეს ანგარიშში აღნიშნულია, რომ №14 და №15 პენიტენციურ დაწესებულებებში, ევროკავშირის მიერ დაფინანსებული ორგანიზაციების დახმარებით მოეწყო შემდეგი სახელოსნოები: კერამიკის სახელოსნო - №14 და №15 დაწესებულებებში; მინანქრის სახელოსნო - №15 დაწესებულებაში.[109]

**დასკვნა:** აღნიშნული აქტივობა ზოგადად იყო რელევანტური, თუმცა მოცემული ინდიკატორების მიხედვით არ იყო გაზომვადი. მაგრამ შესრულების შედეგების მიხედვით, ეს აქტივობა შეიძლება ჩაითვალოს ნაწილობრივ შესრულებულად.

**აქტივობა 2.3.** სასჯელის აღსრულების და გათავისუფლების შემდგომი ზრუნვის პროცესში შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პერსონალის ჩართვა.

**ინდიკატორი:** შესაბამის უწყებებში ბენეფიციარებთან მომუშავე კადრების ყოლა, რომლებიც აკმაყოფილებენ სათანადო საკვალიფიკაციო მოთხოვნებს; საკვალიფიკაციო მოთხოვნებისა და სამუშაო აღწერილობების დამტკიცება.

**მისაღწევი შედეგი:** ახალი კადრები შერჩეულია საკვალიფიკაციო მოთხოვნების შესაბამისად. მუდმივად მიმდინარეობს არსებული კადრების გადამზადება; ბენეფიციართა საჭიროების შესაბამისად ახალი სპეციალისტების დამატება რეაბილიტაციისა და რესოციალიზაციის პროცესში.

**რელევანტურობა:** აქტივობა არის რელევანტური, თუმცა მოცემული ინდიკატორებით შესაძლებელია ამ აქტივობის ნაწილობრივ გაზომვა. მაგალითად, არ ჩანს რა რაოდენობის პერსონალის გადამზადება იგეგმება, რომ ეს აქტივობა შესრულდეს; ბენეფიციარებთან მომუშავე რა რაოდენობის პერსონალი (კადრები) უნდა ჰყავდეთ, რომ ეს აქტივობა შესრულებულად ჩაითვალოს.

**შესრულების შეფასება:** სს მართლმსაჯულების სფეროში რესოციალიზაცია-რეაბილიტაციის 2017 წლის პროგრეს ანგარიშში აღნიშნულია, რომ სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრში რეაბილიტაცია-რესოციალიზაციის მიმართულებით 2017 წელს ჩატარდა 9 ტრენინგი, რომელშიც მონაწილეობას იღებდნენ პენიტენციური დაწესებულების, პრობაციის ეროვნული სააგენტოს ან/და დანაშაულის პრევენციის ცენტრის თანამშრომლები.[110]

**დასკვნა:** აღნიშნული აქტივობა ზოგადად იყო რელევანტური, თუმცა მოცემული ინდიკატორების მიხედვით იყო ნაწილობრივ გაზომვადი. შესრულების შედეგების მიხედვით, ეს აქტივობა შეიძლება ჩაითვალოს ნაწილობრივ შესრულებულად.

**აქტივობა 2.4.** ორგანიზაციის ბაზაზე განსახორციელებელი სარეაბილიტაციო პროგრამების მიწოდებისთვის პერსონალის გადამზადება.

**ინდიკატორი:** ორგანიზაციის ბაზაზე მიმდინარე პროგრამების რაოდენობა.

**მისაღწევი შედეგი:** პერსონალის განგრძობადი მომზადება, თანამშრომელთა სატრენინგო საჭიროებები გამოკვლეული და ყველა თანამშრომელი გადამზადებულია.

**რელევანტურობა:** აქტივობა არის რელევანტური, თუმცა მოცემული ინდიკატორით არ იზომება ეს აქტივობა. მისაღწევ შედეგში ასახული ინფორმაციით იკვეთება, რომ ყველა თანამშრომლის გადამზადება იგეგმებოდა.

**შესრულების შეფასება:** სს მართლმსაჯულების სფეროში რესოციალიზაცია-რეაბილიტაციის 2017 წლის პროგრეს ანგარიშში აღნიშნულია, რომ პენიტენციურ სისტემაში სოციალური უზრუნველყოფის მიმართულებაში მომუშავე 181 თანამშრომლიდან სარეაბილიტაციო პროგრამების ფასილიტატორებად გადამზადებულია 84 თანამშრომელი.[111]

---

**109** იქვე, გვ. 179

**110** იქვე, გვ. 180

**111** იქვე, გვ. 180

**დასკვნა:** აღნიშნული აქტივობა ზოგადად იყო რელევანტური და გაზომვადი (მისაღწევ შედეგში აღნიშნულ ინფორმაციაზე დაყრდნობით). შესრულების შედეგების გათვალისწინებით, აღნიშნული აქტივობა მხოლოდ ნაწილობრივ შესრულდა. კერძოდ, ყველა თანამშრომლის გადამზადება არ განხორციელებულა, ასევე არ არის ანგარიშში ასახული ინფორმაცია სატრენინგო საჭიროებების კვლევასთან დაკავშირებით.

**აქტივობა 2.5.** სამუშაოს მაღალი ხარისხის უზრუნველსაყოფად ერთიანი პროფესიული სტანდარტის/ეთიკის ნორმების შემუშავება და პროფესიული სუპერვიზიის სისტემის შექმნა.

**ინდიკატორი:** ერთიანი პროფესიული სტანდარტი, სუპერვიზიის გამართული სისტემა.

**მისაღწევი შედეგი:** პროფესიული სუპერვიზიის მექანიზმი დანერგილი და განვითარებულია საპოლოტე დაწესებულებებში.

**რელევანტურობა:** აქტივობა არის რელევანტური და გაზომვადი. თუმცა მისაღწევი შედეგი ეხება მხოლოდ დანაშაულის პრევენციის ცენტრს.

**შესრულების შეფასება:** სს მართლმსაჯულების სფეროში რესოციალიზაცია-რეაბილიტაციის 2017 წლის პროგრეს ანგარიშში აღნიშნულია, რომ პენიტენციური დეპარტამენტის სოციალური უზრუნველყოფის სამმართველოში არსებული სუპერვიზიის ჯგუფის მიერ ხდება ინდივიდუალური მიდგომებისა და სარეაბილიტაციო პროგრამების სუპერვიზია პენიტენციურ დაწესებულებებში.[112]

**დასკვნა:** აღნიშნული აქტივობა ზოგადად იყო რელევანტური და გაზომვადი. მიუხედავად პროგრეს ანგარიშში ასახული ინფორმაციისა, ამ სფეროში არსებული კვლევებით არის გამოკვეთილი, რომ მსგავსი ტიპის, ეფექტური სუპერვიზიის სისტემა საანგარიშო პერიოდში არ იყო პენიტენციურ სისტემაში ჩამოყალიბებული (აღნიშნული კვლევის მიგნებები არის ასახული ამ კვლევში, გამოწვევების ნაწილში). შესრულების შედეგების გათვალისწინებით, აღნიშნული აქტივობა ვერ ჩაითვლება შესრულებულად. პროგრეს ანგარიშში ასახული ინფორმაცია არ ასახავს ობიექტურ მონაცემებს.

**სტრატეგიული მიზანი 3.** სარეაბილიტაციო პროცესში მონაწილე უწყებათა და ორგანიზაციათა კოორდინირებული მუშობის უზრუნველყოფა, მედიასთან და საზოგადოებასთან კომუნიკაცია რეაბილიტაციის პროცესის მხარდასაჭერად.

**აქტივობა 3.1.** რესოციალიზაცია-რეაბილიტაციის სამუშაო ჯგუფის მუშაობა მიმდინარე საკითხებზე შეთანხმებისთვის.

**ინდიკატორი:** სამუშაო ჯგუფის არსებობა და ჯგუფის შეხვედრების რაოდენობა.

**მისაღწევი შედეგი:** სამუშაო ჯგუფის კვარტალური შეხვედრები.

**რელევანტურობა:** აქტივობა არის რელევანტური და გაზომვადი.

**შესრულების შეფასება:** სს მართლმსაჯულების სფეროში რესოციალიზაცია-რეაბილიტაციის 2017 წლის პროგრეს ანგარიშში აღნიშნულია, რომ 2017 წელს, ფაქტობრივად, ყოველთვიურად ტარდებოდა რეაბილიტაცია-რესოციალიზაციის ჯგუფის სამუშაო შეხვედრები.[113]

**დასკვნა:** აღნიშნული აქტივობა იყო რელევანტური და გაზომვადი (მისაღწევ შედეგში ასახულ ინფორმაციაზე დაყრდნობით). შესრულების შედეგების მიხედვით ეს აქტივობა შეიძლება ჩაითვალოს შესრულებულად.

**აქტივობა 3.2.** სარეაბილიტაციო ღონისძიებების ერთობლივად განხორციელება პარტნიორ სახელმწიფო და კერძო ორგანიზაციებთან ერთად.

**ინდიკატორი:** ერთობლივი ღონისძიებების რაოდენობა ჯგუფთან განსახილველი.

**მისაღწევი შედეგი:** მიმდინარე ერთობლივი ღონისძებები.

**დასკვნა:** აღნიშნული აქტივობის რელევანტურობის, ინდიკატორების და შესრულების შედეგებთან დაკავშირებით არის ისეთივე სახის შეფასება, რაც არის მოცემული 2015 წლის გეგმის ანალოგიურ კომპონენტში.

---

112 იქვე, გვ. 180

113 იქვე, გვ. 181

**აქტივობა 3.3.** სასამართლოსთან, პროკურატურასთან და პოლიციასთან სამუშაო შეხვედრების ორგანიზება მიმდინარე პრაქტიკის განხილვის მიზნით.

**ინდიკატორი:** მინიმუმ ყოველწლიური შეხვედრა.

**მისაღწევი შედეგი:** სამუშაო ჯგუფის რეგურალური შეხვედრები.

**დასკვნა:** აღნიშნული აქტივობის რელევანტურობის, ინდიკატორების და შესრულების შედეგებთან დაკავშირებით არის ისეთივე სახის შეფასება, რაც არის მოცემული 2015 წლის გეგმის ანალოგიურ კომპონენტში.

**აქტივობა 3.4.** სასჯელაღსრულების, პრობაციისა და პრევენციის ცენტრს შორის ბენეფიციართა გარდამავალი მენეჯმენტის სისტემის დანერგვა.

**ინდიკატორი:** გარდამავალი მენეჯმენტის სქემა და ამ სქემის მიხედვით აღსრულების მაჩვენებელი სისტემიდან გასულთა რაოდენობასთან თანაფარდობით.

**მისაღწევი შედეგი:** სამუშაო პროცესის გაუმჯობესების მიზნით ამ სამ უწყებას შორის სამუშაო შეხვედრების გამართვა რეგულარულად. გარდამავალი მენეჯმენტის პროცედურები გაწერილი და დამტკიცებულია.

**რელევანტურობა:** აქტივობა ზოგადად იყო რელევანტური, თუმცა ნაწილობრივ გაზომვადი. ინდიკატორის მიხედვით, არ ჩანს კონკრეტულად რა შედეგის მიღწევა იგეგმებოდა. „აღსრულების მაჩვენებელი სისტემიდან გასულთა რაოდენობასთან თანაფარდობით" გასაგებია, თუმცა რა რაოდენობის ან/და პროცენტული მაჩვენებლის მიღწევა ჩაითვლებოდა შედეგის მიღწევად?

**შესრულების შეფასება:** სს მართლმსაჯულების სფეროში რესოციალიზაცია-რეაბილიტაციის 2017 წლის პროგრეს ანგარიშში აღნიშნულია, რომ სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის №68 მინისტრის ბრძანების შესაბამისად, გარდამავალი მენეჯმენტი სრულად ფუნქციონირებს №11 არასრულწლოვანთა და №5 ქალთა პენიტენციურ დაწესებულებებში.[114]

**დასკვნა:** აღნიშნული აქტივობა ზოგადად იყო რელევანტური, თუმცა ნაწილობრივ გაზომვადი. შესრულების შედეგების მიხედვით, ეს აქტივობა შესრულდა ნაწილობრივ.

**აქტივობა 3.5.** საზოგადოების ცნობიერების ამაღლების კამპანიის წარმოება (სოციალური კლიპები, კონკურსები, სოციალური მედიის მეშვეობით ინფორმაციის გავრცელება).

**ინდიკატორი:** სარეაბილიტაციო ღონისძიებების გაშუქების მაჩვენებელი; საზოგადოების აზრის კვლევის შედეგები.

**მისაღწევი შედეგი**: (დ.პ.ც) რეგულარულად ხორციელდება სოციალური მედიის და რადიო რეკლამის საშუალებით საზოგადოების ინფორმირება მიმდინარე თუ დაგეგმილ ღონისძიებებთან დაკავშირებით.

**რელევანტურობა:** აქტივობა ზოგადად იყო რელევანტური, თუმცა იყო ნაწილობრივ გაზომვადი. მაგალითად, გაშუქების რა მაჩვენებელი ჩაითვლებოდა აქტივობის შესრულებად.

**შესრულების შეფასება:** სს მართლმსაჯულების სფეროში რესოციალიზაცია-რეაბილიტაციის 2017 წლის პროგრეს ანგარიშში არაფერი წერია.

**დასკვნა:** აღნიშნული აქტივობა ზოგადად იყო რელევანტური, თუმცა ნაწილობრივ გაზომვადი. გარდა ამისა, მისაღწევი შედეგის მიხედვით ეხება მხოლოდ დანაშაულის პრევენციის ცენტრს, ხოლო შესრულების ანგარიშში არ არის ასახული ინფორმაცია პენიტენციური სისტემაში განხორციელებულ აქტივობასთან დაკავშირებით. შესრულების შედეგების მიხედვით, ეს აქტივობა არ შესრულებულა.

**აქტივობა 3.7.** ტრენინგი მედიის წარმომადგენელთათვის.

**ინდიკატორი:** შეხვედრების რაოდენობა.

**მისაღწევი შედეგი:** პერიოდულად ინფორმაციის მიწოდება მედიის წარმომადგენლებისთვის.

---

114 იქვე, გვ. 182

**რელევანტურობა:** აქტივობა ზოგადად რელევანტურია, თუმცა მოცემული ინდიკატორით მისი შესრულების შეფასება რთულია. არ ჩანს რამდენი შეხვედრა უნდა ჩატარდეს კონკრეტულად.

**შესრულების შედეგი:** სს მართლმსაჯულების სფეროში რესოციალიზაცია-რეაბილიტაციის 2017 წლის პროგრეს ანგარიშში აღნიშნულია, რომ სასჯელაღსრულების სისტემაში განხორციელებული რეფორმისა და საკანონმდებლო ცვლილებების გაცნობის მიზნით, ჟურნალისტებისათვის ქ.ბორჯომში ჩატარდა ორ დღიანი სემინარი თემაზე „სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სისტემის რეფორმა." სემინარს მასმედიის სხვადასხვა სფეროს 40-მდე წარმომადგენელი ესწრებოდა, რომლებიც გაეცნენ სისტემაში განხორციელებულ საკანონმდებლო ცვლილებებს, სამომავლო გეგმებს, სამინისტროს პრიორიტეტებს, პენიტენციურ დაწესებულებებში ჯანსაღი გარემოს შექმნისა და პატიმრების რესოციალიზაცია-რეაბილიტაციის მიზნით მიღწეულ პროგრესსა და სამომავლო პროგრამებს.[115]

**დასკვნა:** აღნიშნული აქტივობა ზოგადად იყო რელევანტური, თუმცა არ იყო გაზომვადი მოცემული ინდიკატორით. თუმცა, შესრულების შედეგების მიხედვით, ეს აქტივობა შესრულდა ნაწილობრივ.

**აქტივობა 3.8.** საზოგადოებრივი აზრის კვლევა რესოციალიზაცია-რეაბილიტაციის პროცესისა და ამ სფეროს ბენეფიციართა მიმართ დამოკიდებულებაზე.

**ინდიკატორი:** კვლევა.

**მისაღწევი შედეგი:** არაფერი არ წერია.

**დასკვნა:** აღნიშნული აქტივობის რელევანტურობის, ინდიკატორების და შესრულების შედეგებთან დაკავშირებით არის ისეთივე სახის შეფასება, რაც არის მოცემული 2015 წლის გეგმის ანალოგიურ კომპონენტში.

**გეგმის ზოგადი შეფასება**: აღნიშნული გეგმის შეფასება არის ანალოგიური, რაც არის მოცემული 2016 წლის გეგმის შეფასებასთან დაკავშირებით.

## ზ) სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სფეროში რესოციალიზაცია - რეაბილიტაციის 2018 წლის სამოქმედო გეგმა[116]

აღნიშნული გეგმის სტრუქტურა, წინა წლების გეგმებისგან განსხვავებით, შეცვლილია. მოცემულია გეგმის მიზნები, ამოცანები (სტრატეგიული მიზნების მაგივრად), ღონისძიებები და მისაღწევი შედეგები. შეფასების ინდიკატორები მოცემულია ამოცანების შესრულებასთან და არა აქტივობებთან/ღონისძიებებთან დაკავშირებით, როგორც ეს იყო წინა წლების შემთხვევაში. შესაბამისად, ამ გეგმის ანალიზი განსხვავებულ ფორმატში განხორციელდება. გეგმა აერთიანებს 3 მიზანს, 15 ამოცანას და 18 ღონისძიებას. ანალიზი განხორციელდა 13 ამოცანის და 14 ღონისძიების, იმ კომპონენტების, რომელბიც დაკავშირებული იყო პენიტენციური სისტემის რეფორმასთან.

**მიზანი 1.** მსჯავრდებულთა და ყოფილ მსაჯვრდებულთა რესოციალიზაცია-რეაბილიტაციისა და საზოგადოებაში ინტეგრაციის უზრუნველყოფა.

**ამოცანა 1.1.** რისკისა და საჭიროების შეფასების მეთოდოლოგიის დანერგვა და განვითარება, რეციდივის შემთხვევების მიზეზების ანალიზის სისტემის დანერგვა.

**ინდიკატორი:** დანერგილია რისკებისა და საჭიროებების შეფასების სისტემა.

**ღონისძიება 1.1.1.** რისკებისა და საჭიროების კითხვარის შემუშავება/პილოტირება.

**მისაღწევი შედეგი**: რისკისა და საჭიროების შეფასების ინსტრუმენტების განახლება და პილოტირება; ყველა პენიტენციურ დაწესებულებაში მიმდინარეობს სასჯელის მოხდის ინდივიდუალური დაგეგმვის პროცესი.

**რელევანტურობა:** მოცემული ამოცანა იყო რელევანტური და გაზომვადი. თუმცა წარმოდგენილი ღონისძიებით ამოცანის შესრულება ვერ განხორციელდებოდა, ვინაიდან საუბარია მხოლოდ პილოტირებაზე, ხოლო ამოცანა მიზნად ისახავს სისტემის დანერგვას.



---

**115** იქვე. გვ. 183

**116** http://www.justice.gov.ge/AboutUs/Council/237

**შესრულების შეფასება:** სს მართლმსაჯულების სფეროში რესოციალიზაცია-რეაბილიტაციის 2018 წლის პროგრეს ანგარიშში აღნიშნულია, რომ დასრულდა ყოფილ პატიმართა მონაცემთა ბაზაზე მუშაობა, რომელიც ხარვეზების გარეშე ფუნქციონირებს. ბენეფიციარების საჭიროებები იდენტიფიცირდა და სისტემურად აღირიცხა. ასევე, მონაწილეობითი მიდგომის გამოყენებით ბენეფიციარები აქტიურად ჩაერთვნენ ახალი მომსახურებების ფორმირებაში და/ან არსებულის განახლებაში. დაიწყო მუშაობა მომსახურების პლატფორმის განახლებაზე. ევროკავშირის პროექტის EU4Justice-ის მხარდაჭერით შეიქმნა რეციდივის ალბათობისა და მნიშვნელოვანი ზიანის რისკის დონის განმსაზღვრელი ინსტრუმენტები, ორივე ფორმა ქულობრივია. რისკისა და საჭიროების შეფასების შედეგად მოხდა კრიმინოგენური ფაქტორების გამოვლენა და შემდგომ მათზე რეაგირება სხვადასხვა სარეაბილიტაციო ინტერვენციებში ჩართულობით. ახალი ინსტრუმენტები პილოტირდა №16 პენიტენციურ დაწესებულებაში. [117]

2018 წლის სახალხო დამცველის ანგარიშში აღნიშნულია, რომ დაწესებულებებში რეაბილიტაცია-რესოციალიზაციის კუთხით გატარებულ ღონისძიებებს ფრაგმენტული ხასიათი აქვს და არ არის მორგებული მსჯავრდებულთა ინდივიდუალურ საჭიროებებზე. ფორმალურია სასჯელის მოხდის ინდივიდუალური დაგეგმვა, რაც არასაკმარისი და შესაბამისი კვალიფიკაციის არმქონე პერსონალის პირობებში შეუძლებელს ხდის მსჯავრდებულთა ინდივიდუალური საჭიროებების განსაზღვრას. რეაბილიტაცია-რესოციალიზაციის კუთხით, განსაკუთრებით მძიმე ვითარებაა განსაკუთრებული რისკის დაწესებულებებში.[118]

**დასკვნა:** ამოცანა იყო გარკვეული მეთოდოლოგიის და სისტემის დანერგვა. ღონისძიება იყო ამ სისტემის პილოტირება, ხოლო შედეგი უნდა ყოფილიყო, როგორც ინსტრუმენტების განახლება/პილოტირება, ასევე ინდივიდუალური მიდგომის დანერგვა მთელ სისტემაში. შესრულების შედეგების მიხედვით, ამოცანა შესრულებული იყო მხოლოდ ნაწილობრივ.

**ამოცანა 1.2.** ბენეფიციართა გამართული სარეგისტრაციო ბაზების ქონა და ერთიანი საძიებო პარამეტრების დამკვიდრება ბენეფიციართა რისკ-ჯგუფების და საჭიროებების მონაცემთა გენერირებისთვის.

**ინდიკატორი:** გამართულია სარეგისტრაციო ბაზები, რომლებიც რისკ-ჯგუფებისა და საჭიროებათა გენერერიების ფუნქციებით არის აღჭურვილი.

**ღონისძიება 1.2.1**. არსებული მონაცემთა ბაზების გაანალიზება. რისკებისა და საჭიროებების კითხვარის ბანაზაში ადაპტირება.

**მისაღწევი შედეგი**: საჭიროების შესაბამისად, ყოფილ პატიმართა მონაცემთა ბაზის ტექნიკური და ფუნქციური გაუმჯობესებისკენ მიმართული სამუშაოების უზრუნველყოფა; გამოვლენილი ხარვეზების საფუძველზე მონაცემთა ბაზის განვითარება.

**რელევანტურობა:** ამოცანა არის რელევანტური და გაზომვადი.

**შესრულების შეფასება:** პროგრეს ანგარიშში ამოცანის შესრულებასთან დაკავშირებით არ არის ინფორმაცია.

**დასკვნა:** აღნიშნული ამოცანა იყო რელევანტური, გაზომვადი, თუმცა შესრულების შედეგების მიხედვით არ შესრულებულა.

**ამოცანა 1.4.** სარეაბილიტაციო პროგრამების და მომსახურებების ორგანიზაციის ბაზაზე დანერგვა.

**ინდიკატორი:** შემუშავებული სარეაბილიტაციო პროგრამის რაოდენობა.

**ღონისძიება 1.4.1**. სარეაბილიტაციო პროგრამების შემუშავება/დანერგვა.

**მისაღწევი შედეგი**: მინიმუმ ერთი ერთგვაროვანი სარეაბილიტაციო პროგრამა ადაპტირებულია/დანერგიალია სამივე უწყებაში.

**რელევანტურობა:** ამოცანა არის რელევანტური, თუმცა არ არის გაზომვადი. წარმოდგენილი ინდიკატორით არ ჩანს რა რაოდენობის პროგრამის დანერგვა იგეგმებოდა და როგორ უნდა მოხდეს ამ ამოცანის შესრულების გაზომვა.

**შესრულების შეფასება:** სს მართლმსაჯულების სფეროში რესოციალიზაცია-რეაბილიტაციის 2018 წლის პროგრეს ანგარიშში აღნიშნულია, პენიტენციური, პრობაციისა და დანაშაულის პრევენციის ცენტრის წარ-



117 სს მართლმსაჯულების სფეროში რესოციალიზაცია-რეაბილიტაციის 2018 წლის პროგრეს ანგარიში, გვ. 45-46

118 საქართველოს სახალხო დამცველის 2018 წლის ანგარიში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ, გვ. 55

მომადგენლებისგან შემდგარმა სარეაბილიტაციო პროგრამების განვითარების მულტისისტემურმა ჯგუფმა, ერთობლივად დაიწყო მუშაობა „პოზიტიური აზროვნების უნარების განვითარებისა და მეუღლის/პარტნიორის მიმართ მოძალადის ქცევის კორექციის პროგრამის“ განახლება/შექმნაზე.[119] 2018 წლის სახალხო დამცველის ანგარიშში აღნიშნულია, რომ სახალხო დამცველი მიესალმება, 2017 წელს დაბალი რისკის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებებში რეკომენდაციების შესრულების მიზნით განხორციელებულ სარეაბილიტაციო პროგრამების ნახევრად ღია ტიპის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებებში განხორციელებას. ასევე, ნახევრად ღია ტიპის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებებში განხორცელებული სარეაბილიტაციო პროგრამების ნაწილის, დახურული ტიპის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებებში განხორციელებას. მათ შორის, დადებითად უნდა აღინიშნოს დახურული ტიპის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებებში 2017 წელს განხორციელებული რამდენიმე პროგრამის განსაკუთრებული რისკის დაწესებულებებში განხორციელება. სახალხო დამცველი აღნიშნულ რეკომენდაციას ნაწილობრივ შესრულებულად აფასებს.[120]

**დასკვნა**: აღნიშნული ამოცანა იყო რელევანტური, არ იყო სრულად გაზომვადი, თუმცა შესრულების შედეგების მიხედვით შეიძლება ჩაითვალოს, რომ შესრულდა ნაწილობრივ.

**ამოცანა 1.5.** სარეაბილიტაციო პროგრამების და მომსახურებების შეფასება.

**ინდიკატორი:** კვლევის შედეგების ანგარიშები.

**ღონისძიება 1.5.1**. სარეაბილიტაციო პროგრამების და მომსახურებების შეფასება.

**მისაღწევი შედეგი**: ზრდასრულთა მომსახურების სტანდარტის დოკუმენტი განახლებულია; სარეაბილიტაციო პროგრამების შეფასების ინსტრუმენტები შექმნილია.

**ღონისძიება 1.5.2**. კვლევების დაგეგმვა სარეაბილიტაციო პროგრამების ეფექტიანობის გასაზომად (საბოლოო შედეგების გაზომვა).

**მისაღწევი შედეგი**: სარეაბილიტაციო პროგრამებთან დაკავშირებით საბაზისო მონაცმების იდენტიფიცირება/შეგროვება.

**რელევანტურობა:** ამოცანა არის რელევანტური და გაზომვადი. წარმოდგენილი აქტივობებით/ღონისძიებებით ამოცანის შესრულება შესაძლებელი იყო.

**შესრულების შეფასება:** სს მართლმსაჯულების სფეროში რესოციალიზაცია-რეაბილიტაციის 2018 წლის პროგრეს ანგარიშში აღნიშნულია, INL-ის და EU4Justice-ის მხარდაჭერით შექმნილი სარეაბილიტაციო პროგრამების განვითარების მულტისისტემურმა ჯგუფმა შეიმუშავა სარეაბილიტაციო პროგრამების შეფასების მატრიცა და ლოგიკური ჩარჩო. სამივე მიმართულებაში - პენიტენციური, პრობაცია და დანაშაულის პრევენცია - ჯგუფის შემდგომი მიზანია შექმნას სარეაბილიტაციო პროგრამების შეფასების ერთიანი სტანდარტი.[121]

**დასკვნა:** აღნიშნული ამოცანა იყო რელევანტური, გაზომვადი, თუმცა შესრულების შედეგების მიხედვით არ შესრულებულა.

**მიზანი 2.** სარეაბილიტაციო პროცესში ჩართული უწყებებისა და ორგანიზაციების ინსტიტუციური გაძლიერება, პერსონალის მომზადება და განვითარება მაღალხარისხიანი სარეაბილიტაციო მომსახურების მიწოდებისთვის.

**ამოცანა 2.1.** რესოციალიზაცია-რეაბილიტაციის პროცესში ჩართული უწყებების მიერ წინამდებარე სტრატეგიითა და სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული პრიორიტეტებისა და აქტივობების საკუთარ სტრატეგიებსა და სამოქმედო გეგმებში ასახვა.

**ინდიკატორი:** შესაბამისი უწყებების სტრატეგიული დოკუმენტები და სამოქმედო გეგმები, სადაც ასახულია აღნიშნული პრიორიტეტები და აქტივობები.

**ღონისძიება 2.1.1.** სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის შემუშავება/განახლება.

---

**119** სს მართლმსაჯულების სფეროში რესოციალიზაცია-რეაბილიტაციის 2018 წლის პროგრეს ანგარიში, გვ. 46

**120** საქართველოს სახალხო დამცველის 2018 წლის ანგარიში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ, გვ. 23

**121** სს მართლმსაჯულების სფეროში რესოციალიზაცია-რეაბილიტაციის 2018 წლის პროგრეს ანგარიში, გვ. 46

**მისაღწევი შედეგი**: სტრატეგიები და სამოქმედო გეგმები შესაბამისად განახლებულია.

**რელევანტურობა:** ამოცანა არის რელევანტური და გაზომვადი.

**შესრულების შეფასება:** სს მართლმსაჯულების სფეროში რესოციალიზაცია-რეაბილიტაციის 2018 წლის პროგრეს ანგარიშში აღნიშნულია, რომ დანაშაულის პრევენციის ცენტრის მიერ შექმნილ სტრატეგიასა და სამოქმედო გეგმაში აისახა სარეაბილიტაციო პროცესში ჩართული უწყებების საერთო პოლიტიკის პრიორიტეტები. ამასთანავე, ყოფილი სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს სამოქმედო გეგმაში აისახა პენიტენციური დეპარტამენტის სხვა უწყებათაშორის სამოქმედო გეგმებში მოცემული ვალდებულებები.[122]

**დასკვნა:** ამოცანა იყო რელევანტური და გაზომვადი, თუმცა შესრულდა ნაწილობრივ. სამოქმედო გეგმაში არ ყოფილა ასახული ყველა ის მნიშვნელოვანი საკითხი, რაც საანგარიშო პერიოდში გამოწვევას წარმოადგენდა.

**ამოცანა 2.2.** რესოციალიზაცია-რეაბილიტაციის პროცესის ეფექტიანად წარმართვისთვის შესაბამის უწყებებში ინფრასტრუქტურის შექმნა.

**ინდიკატორი:** ინფრასტრუქტურული პროექტების რაოდენობა.

**ღონისძიება 2.2.1.** რესოციალიზაცია-რეაბილიტაციის პროცესის ეფექტიანად წარმართვისთვის შესაბამის უწყებებში ინფრასტრუქტურის შექმნა.

**მისაღწევი შედეგი**: პენიტენციურ დაწესებულებებში შექმნილია სარეაბილიტაციო სივრცეები.

**რელევანტურობა:** ამოცანა არის რელევანტური, თუმცა არ არის გაზომვადი. არ ჩანს, რა სახის და რა რაოდენობის ინფრასტქუტურული პროექტების განხოციელება იგეგმებოდა. ბუნდოვანია, როგორ უნდა მოხდეს ამ ამოცანის შესრულების გაზომვა.

**შესრულების შეფასება:** სს მართლმსაჯულების სფეროში რესოციალიზაცია-რეაბილიტაციის 2018 წლის პროგრეს ანგარიშში აღნიშნულია, რომ 2018 წლის განმავლობაში, არასამთავრობო ორგანიზაცია „სიდას“ და ფერმერთა ასოციაციის მხარდაჭერით, №5, №15 და №16 პენიტენციურ დაწესებულებებში აიგო და მოეწყო სათბურები.[123] 2018 წლის სახალხო დამცველის ანგარიშში აღნიშნულია, რომ მისასალმებელია №5 დაწესებულებაში სასათბურე მეურნეობისა და ბამბის გადამამუშავებელი საამქროების მოწყობა. ამასთანავე, მნიშვნელოვანია პატიმართა განათლებისა და დასაქმების შესაძლებლობების გაზრდა. მიუხედავად 2018 წლის განმავლობაში განხორციელებული პოზიტიური ცვლილებებისა, 15 პენიტენციური დაწესებულებიდან მხოლოდ 4 დაწესებულებაში (№5, №14, №15 და №16) ფუნქციონირებს საწარმო.[124]

**დასკვნა:** აღნიშნული ამოცანა იყო რელევანტური, არ იყო გაზომვადი, თუმცა შესრულების შედეგების მიხედვით, შეიძლება ჩაითვალოს, რომ შესრულდა მხოლოდ ნაწილობრივ.

**ამოცანა 2.3.** სასჯელის აღსრულების და გათავისუფლების შემდგომი ზრუნვის პროცესში შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პერსონალის ჩართვა.

**ინდიკატორი:** დამტკიცებული სოციალური მუშაკებისა და ფსიქოლოგების საკვალიფიკაციო მოთხოვნები და სამუშაო აღწერილობები.

**ღონისძიება 2.3.1.** საკვალიფიკაციო მოთხოვნებისა და სამუშაო აღწერილობების შექმნა.

**მისაღწევი შედეგი**: საკვალიფიკაციო მოთხოვნებისა და სამუშაო აღწერილობების გადახედვა/განახლება საჭიროებისამებრ; თანამშრომლის შესაბამის პოზიციაზე დანიშვნა ხდება დამტკიცებული საკვალიფიკაციო მოთხოვნებისა და სამუშაო აღწერილობების შესაბამისად.

**რელევანტურობა:** ამოცანა იყო რელევანტური, გაზომვადი და წამოდგენილი ღონისძიებით შესაძლებელი იყო მისი ნაწილობრივ შესრულება. ვინაიდან, მხოლოდ საკვალიფიკაციო მოთხოვნებით და სამუშაო აღწერილობების დამტკიცებით, ამოცანა სრულად ვერ შესრულდებოდა.

---

122 იქვე, გვ. 47

123 იქვე, გვ. 47

124 საქართველოს სახალხო დამცველის 2018 წლის ანგარიში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ, გვ. 44-45; გვ. 55-56

**შესრულების შეფასება:** სს მართლმსაჯულების სფეროში რესოციალიზაცია-რეაბილიტაციის 2018 წლის პროგრეს ანგარიშში აღნიშნულია, რომ პენიტენციური, პრობაციისა და დანაშაულის პრევენციის სოციალური მუშაკებისა და ფსიქოლოგებისთვის EU4Justice-ის მხარდაჭერით შეიქმნა სამუშაოთა აღწერები.[125]

**დასკვნა:** ამოცანა იყო რელევანტური, თუმცა მოცემული ღონისძიებით მისი შესრულება სრულად ვერ მოხდებოდა. ამოცანა იყო გაზომვადი და წარმოდგენილი ღონისძიება, პროგრეს ანგარიშის მიხედვით შესრულდა სრულად.

**ამოცანა 2.4.** სარეაბილიტაციო პროგრამების მიწოდებისთვის პერსონალის გადამზადება.

**ინდიკატორი:** გადამზადებული თანამშრომლების პროცენტული მაჩვენებელი, ჩატარებული ტრენინგის რაოდენობა.

**ღონისძიება 2.4.1.** თანამშრომლებების გადამზადება სარეაბილიტაციო პროგრამების ფასილიტატორებად.

**მისაღწევი შედეგი**: სარეაბილიტაციო პროცესში ჩრთული პერსონალი გადამზადებულია.

**რელევანტურობა:** ამოცანა არის რელევანტური, თუმცა არ არის გაზომვადი. არ ჩანს რამდენი თანამშრომლის გადამზადება იგეგმებოდა და ბუნდოვანია ამ ამოცანის შესრულება როგორ უნდა გაიზომოს.

**შესრულების შეფასება:** სს მართლმსაჯულების სფეროში რესოციალიზაცია-რეაბილიტაციის 2018 წლის პროგრეს ანგარიშში აღნიშნულია, სარეაბილიტაციო პროგრამების ეფექტიანად მიწოდების მიზნით, სპეციალური პენიტენციური სამსახურის თანამშრომლები გადამზადდნენ 8 პროგრამაში შემდეგი რაოდენობით: პირველი პროგრამა - 97; მეორე პროგრამა - 60; მესამე პროგრამა - 20; მეოთხე პროგრამა - 40; მეხუთე პროგრამა - 45; მეექვსე პროგრამა - 30; მეშვიდე პროგრამა - 5; მერვე პროგრამა - 24.[126]

**დასკვნა**: ამოცანა იყო რელევანტური, მაგრამ არ იყო გაზომვადი. თუმცა, შესრულების შედეგების მიხედვით, შეიძლება ჩაითვალოს, რომ შესრულდა მხოლოდ ნაწილობრივ.

**ამოცანა 2.5**. სამუშაოს მაღალი ხარისხის უზრუნველსაყოფად ერთიანი პროფესიული სტანდარტის და პროფესიული სუპერვიზიის სისტემის შექმნა.

**ინდიკატორი:** პროფესიული ზედამხედველობის გამართული სისტემა, დამტკიცებული სამუშაო დოკუმენტები, პროფესიული ზედამხედველობის სესიების რაოდენობა.

**ღონისძიება 2.5.1**. პროფესიული ზედამხედველობის სისტემის დანერგვა.

**მისაღწევი შედეგი**: სოციალური მუშაკების და ფსიქოლოგების პროფესიული ზედამხედველობის მექანიზმი შემუშავებულია ან/და დამტკიცებულია.

**რელევანტურობა:** ამოცანა არის რელევენტური და ნაწილობრივ გაზომვადი. არ ჩანს, პროფესიული ზედამხედველობის სესიების რა რაოდენობა უნდა ჩატარებულიყო და ეს რა კავშირშია ამოცანასთან და მისაღწევ შედეგთან.

**შესრულების შეფასება:** სს მართლმსაჯულების სფეროში რესოციალიზაცია-რეაბილიტაციის 2018 წლის პროგრეს ანგარიშში აღნიშნულია, რომ პროფესიული ზედამხედველობის მექანიზმის შემუშავებისა და ეფექტიანად მუშაობის უზრუნველსაყოფად, EU4Justice-სთან თანამშრომლობის ფარგლებში, ბრიტანელ ექსპერტთან ერთად დაიწყო მუშაობა სამივე სისტემისთვის (პენიტენციური, პრობაციისა და დანაშაულის პრევენციის ცენტრი) პროფესიული ზედამხედველობის ინსტრუმენტების შემუშავების მიზნით.[127]

**დასკვნა:** აღნიშნული ამოცანა იყო რელევანტური, ნაწილობრივ გაზომვადი და შესრულების შედეგების მიხედვით, არ შესრულებულა. ასევე, გასათვალისწინებელია ის ფაქტიც, რომ ანალოგიური ჩანაწერები იყო წინა წლების გეგმებში (2015, 2016, 2017 წწ).

**მიზანი 3.** სარეაბილიტაციო პროცესში მონაწილე უწყებათა და ორგანიზაციათა კოორდინირებული მუშობის უზრუნველყოფა; მედიასთან და საზოგადოებასთან კომუნიკაცია რეაბილიტაციიის პროცესის მხარდასაჭერად.

---

**125** სს მართლმსაჯულების სფეროში რესოციალიზაცია-რეაბილიტაციის 2018 წლის პროგრეს ანგარიში, გვ. 47

**126** იქვე, გვ. 47-48

**127** იქვე, გვ. 48

**ამოცანა 3.1.** რესოციალიზაცია-რეაბილიტაციის სამუშაო ჯგუფის მუშაობა მიმდინარე საკითხებზე შეთანხმებისთვის.

**ინდიკატორი:** ჩატარებული შეხვედრების რაოდენობა.

**ღონისძიება 3.1.1.** სამუშაო ჯგუფის მუშაობა.

**მისაღწევი შედეგი**: სამუშაო ჯგუფის კვარტალური შეხვედრები ჩატარებულია.

**რელევანტურობა:** ამოცანა რელევანტურია, თუმცა მოცემული ინდიკატორით მისი შესრულების შეფასება რთულია. არ ჩანს კონკრეტულად ჩატარებული შეხვედრების რა რაოდენობის შემდეგ ჩაითვლება ამოცანა შესრულებულად, თუმცა შეხვედრების რაოდენობა მოცემულია მისაღწევ შედეგში და ეს კომპონენტი უფრო გავს შეფასების ინდიკატორს.

**შესრულების შეფასება:** სს მართლმსაჯულების სფეროში რესოციალიზაცია-რეაბილიტაციის 2018 წლის პროგრეს ანგარიშში აღნიშნულია, რომ ჩატარდა რესოციალიზაცია-რეაბილიტაციის სამუშაო ჯგუფის შეხვედრები.[128]

**დასკვნა:** აღნიშნული ამოცანა იყო რელევანტური და გაზომვადი (მისაღწევ შედეგში ასახულ ინფორმაციაზე დაყრდნობით). შესრულების შედეგების მიხედვით ეს ამოცანა შესრულდა.

**ამოცანა 3.2.** სარეაბილიტაციო ღონისძიებების ერთობლივად განხორციელება პარტნიორ სახელმწიფო და კერძო ორგანიზაციებთან ერთად.

**ინდიკატორი:** ერთობლივი ღონისძიებების რაოდენობა.

**ღონისძიება 3.2.1.** ერთობლივი ღონისძიებების ორგანიზება.

**მისაღწევი შედეგი**: გათავისუფლებისთვის მომზადების პროგრამა განახლებულია და მასში ჩასართავი ყველა აქტორი განსაზღვრულია.

**რელევანტურობა:** ამოცანა ზოგადად რელევანტურია, თუმცა მოცემული ინდიკატორით მისი შესრულების შეფასება რთულია, არ ჩანს რამდენი ღონისძიება უნდა ჩატარდეს კონკრეტულად. თუმცა მისაღწევ შედეგში აღნიშნულია, რომ ამ პროგრამაში ყველა აქტორის ჩართვა არის მიზანი და მისი კავშირის განსაზღვრა ინდიკატორთან რთულია.

**შესრულების შეფასება:** სს მართლმსაჯულების სფეროში რესოციალიზაცია-რეაბილიტაციის 2018 წლის პროგრეს ანგარიშში აღნიშნულია, რომ„გათავისუფლებისთვის მომზადების პროგრამა" №16 პენიტენციური დაწესებულების გათავისუფლებისთვის მომზადების განყოფილებაში განახლებული ფორმით პილოტირდა. პრაქტიკაში დაიწყო მისი იმ გამოწვევებზე მორგება, რომელიც ისეთი განსხვავებული ტიპის დაწესებულებისთვის არის დამახასიათებელი, საიდანაც ბენეფიციარებს კვირაში 2 დღე გარეთ გასვლის უფლება ეძლევათ და რესოციალიზაციის პროცესთან რეალური შეხება აქვთ მსჯავრის მოხდის პერიოდში. დანაშაულის პრევენციის ცენტრის ყოფილ პატიმართა რეაბილიტაციისა და რესოციალიზაციის პროგრამამ აქტიურად ითანამშრომლა და რეგულარულად განახორციელა სარეაბილიტაციო ღონისძიებები სხვადასხვა პარტნიორ სახელმწიფო და კერძო ორგანიზაციებთან ერთად.[129]

**დასკვნა:** აღნიშნული ამოცანა ზოგადად იყო რელევანტური, თუმცა არ იყო გაზომვადი. დაგეგმილ მისაღწევ შედეგში აღნიშნულია გათავისუფლებისთვის მომზადების პროგრამაში ყველა აქტორის ჩართვა არის მიზანი. მაგრამ ეს რა კავშირშია მოცემულ ინდიკატორთან, გაუგებარია. თუმცა ამოცანის და შესრულების შედეგების მიხედვით, ეს აქტივობა შეიძლება მხოლოდ ნაწილობრივ შესრულებულად ჩაითვალოს, ვინაიდან რა იყო წინასწარ დაგეგმილი, არ ჩანს. გარდა ამისა, უნდა აღინიშნოს, რომ ანალოგიური კომპონეტები იყო ასევე წინა წლების გეგმაში (2015,2016,2017 წწ), რომელიც არ შესრულდა და ამ გეგმაშიც მეორდება.

**ამოცანა 3.3.** სასჯელაღსრულების, პრობაციისა და პრევენციის ცენტრს შორის გარდამავალი მენეჯმენტის სისტემის დანერგვა.

**ინდიკატორი:** გაზიარებული საქმეების რაოდენობის გაზრდა.

---

128 იქვე, გვ. 48

129 იქვე, გვ. 48-49

**ღონისძიება 3.3.1.** გარდამავალი მენეჯმენტის სისტემის შექმნა.

**მისაღწევი შედეგი:** გარდამავალი მენეჯმენტის სისტემის მარეგულირებელი დოკუმენტები შექმნილია.

**რელევანტურობა:** ამოცანა ზოგადად რელევანტურია, თუმცა მოცემული ინდიკატორით არ ჩანს, საქმეების რაოდენობის გაზიარების რა მაჩვენებლით უნდა გაიზომოს ამოცანა.

**შესრულების შეფასება:** სს მართლმსაჯულების სფეროში რესოციალიზაცია-რეაბილიტაციის 2018 წლის პროგრეს ანგარიშში აღნიშნულია, რომ გარდამავალი მენეჯმენტის და გათავისუფლებისთვის მზადების სისტემის შესაქმნელად შეიქმნა სამუშაო ჯგუფი, რომელსაც სათავეში მაღალი თანამდებობის პირები ჩაუდგნენ, EU4Justice-ის გუნდთან და ექსპერტებთან ერთად.[130]

**დასკვნა:** ამ მექანიზმის შექმნასთან დაკავშირებით ანალოგიური ჩანაწერები იყო წინა წლების გეგმაში. აქაც იგივე მეორდება და შედეგი არის, რომ სამუშაო ჯგუფი შეიქმნა. ასევე, მხოლოდ ამ მისაღწევი შედეგით, რაც არის მოცემული, აღნიშნული ამოცანა როგორ მიიღწეოდა? აღნიშნული ამოცანა ზოგადად იყო რელევანტური, თუმცა არ იყო გაზომვადი და არ შესრულებულა.

**ამოცანა 3.4.** საზოგადოების ცნობიერების ამაღლების კამპანიის წარმოება (სოციალური კლიპები, კონკურსები, სოციალური მედიის მეშვეობით ინფორმაციის გავრცელება).

**ინდიკატორი:** სარეაბილიტაციო ღონისძიებების გაშუქების მაჩვენებელი.

**ღონისძიება 3.4.1**. პიარ კამპანია.

**მისაღწევი შედეგი**: სოციალური მედიის და მასმედიის საშუალებით საზოგადოების ინფორმირება მიმდინარე თუ დაგეგმილ ღონისძიებებთან დაკავშირებით განხორციელებულია.

**რელევანტურობა:** ამოცანა ზოგადად არის რელევანტური, თუმცა არ არის გაზომვადი. რადგანაც მოცემული ინდიკატორით რთულია იმის განსაზღვრა გაშუქების რა მაჩვენებელი ჩაითვლება ამოცანის შესრულებად.

**შესრულების შეფასება**: სს მართლმსაჯულების სფეროში რესოციალიზაცია-რეაბილიტაციის 2018 წლის პროგრეს ანგარიშში აღნიშნულია, მხოლოდ დანაშაულის პრევენციის ცენტრის მიერ განხორციელებული აქტივობები, თუმცა შესრულებაზე პასუხისმგებელ უწყებად მითითებული იყო პენიტენციური დეპარტამენტიც.[131]

**დასკვნა**: აღნიშნული ამოცანა ზოგადად იყო რელევანტური, თუმცა არ იყო გაზომვადი. შესრულების შედეგების მიხედვით აღნიშნული ამოცანა არ შესრულებულა.

**გეგმის ზოგადი შეფასება:** აღნიშნული გეგმის სტრუქტურა, წინა წლების გეგმებისგან განსხვავებით, შეცვლილია. მოცემულია გეგმის მიზანი; ამოცანა (სტრატეგიული მიზნების მაგივრად); ინდიკატორი; ღონისძიება; მისაღწევი შედეგი; პასუხისმგებელი უწყება; პარტნიორი. გეგმის ამ ნაწილში არ არის ბიუჯეტის გრაფა. შეფასების ინდიკატორები მოცემულია ამოცანების შესრულებასთან და არა აქტივობებთან/ღონისძიებებთან დაკავშირებით, როგორც ეს იყო წინა წლების გეგმების შემთხვევაში. გეგმით განსაზღვრული მიზანი, ამოცანა და ღონისძიებები ზოგადად იყო რელევანტური და შეესაბამებოდა არსებულ გამოწვევებს. თუმცა ამოცანის შეფასების ინდიკატორების უმეტესობა იყო ზოგადი, მათი მეშვეობით იმის განსაზღვრა, თუ რა იგეგმებოდა, რთულია. გარდა ამისა, აღნიშნული აქტივობებით ვერ იქნებოდა მიღწეული გეგმით განსაზღვრული მიზანი და ამოცანები, იმ პერიოდში არსებული გამოწვევების გათვალისწინებით, აღნიშნულ გეგმაში არ იყო ასახული ისეთი მნიშვნელოვანი საკითხები, როგორიც არის - კრიმინალური სუბკულტურის გავლენების დაძლევისთვის გადასადგმელი ნაბიჯები; პატიმართა მოტივირების სისტემის ჩამოყალიბება; უმცირესობებზე და მოწყვლად ჯგუფებზე მორგებული პროგრამების განვითარება; სტატისტიკური ინფორმაციის წარმოების გაუმჯობესება; პატიმართა შრომითი სტანდარტების გაუმჯობესება; დახურული ტიპის დაწესებულებებში აქტივობების ორგანიზება.

ასევე, მიუხედავად გეგმაში ასახული კომპონენტებისა, ამოცანების/ღონისძიებების უმეტესობა არ შესრულებულა ან/და მისი შესრულების შეფასება არსებული სტრუქტურის და შესრულების შედეგების გათვალისწინებით შეუძლებელია. გარდა ამისა, გეგმის უმეტესი მიმართულება მეორდება და დაგეგმილი იყო იგივე, რაც გასული წლის გეგმებში, რომლებიც უნდა მიღწეულიყო ჯერ კიდევ წინა წლებში. ასევე, ხშირ შემთხვევაში, არ იკვეთებოდა კავშირი ამოცანას, ღონისძიებას, ინდიკატორს და მისაღწევ შედეგს შორის, რის გამოც რთული იყო იმის განსაზღვრა, რა იყო კონკრეტულად დაგეგმილი და რა შედეგი უნდა მიღწეულიყო. თუმცა, წინა

130 იქვე, გვ. 49

131 იქვე, გვ. 49

წლებისგან განსხვავებით, შეინიშნება პროგრესი, გეგმის ცალკეული მიმართულებების (სადაც ამის გაზომვა შესაძლებელი იყო) შესრულებასთან დაკავშირებით.

## თ) პენიტენციური და დანაშაულის პრევენციის სისტემების განვითარების სტრატეგიის 2019-2020 წლების განვითარების სამოქმედო გეგმა [132]

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მიერ 2019 წლის დასწყისში შემუშავებულ იქნა პენიტენციური და დანაშაულის პრევენციის სისტემების განვითარების სტრატეგიის 2019-2020 წლების განვითარების სამოქმედო გეგმა. აღნიშნული პოლიტიკის დოკუმენტი არ შექმნილა სისხლის სამართლის რეფორმის უწყებათაშორისი საკოორდინაციო მექანიზმის ფარგლებში და არის უშუალოდ იუსტიციის სამინისტროს შემუშავებული. ამ დოკუმენტის პრეზენტაციისას, გაცხადებული იყო, რომ ძირითადად ამ დოკუმენტში ასახულია სამომავლო გეგმები, რაც უკავშირდება პენიტენციური სისტემის რეფორმას 2019-2020 წლებში. ამ მიზნით, აქ არის წარმოდგენილი ამ დოკუმენტის ზოგადი შეფასება (არა დეტალური ანალიზი), რაც უკავშირდება სტრუქტურას და სამომავლო გეგმებს (პენიტენციურ სისტემასთან დაკავშირებით).

აღნიშნული გეგმა მოიცავს 3 მიზანს, 7 მიზნის შედეგს და 21 აქტივობას. გეგმის სტრუქტურა არის ჩამოყალიბებული შემდეგი პრინციპით - მიზანი; შედეგი; აქტივობა; შუალედური შედეგი; მოსალოდნელი შედეგი; შესრულების ვადა და ინდიკატორები; იუსტიციის სამინისტროს სისტემიდან საკითხზე პასუხისმგებელი პირი. ამ გეგმის სტრუქტურა უკეთ ჩამოყალიბებულია და აქტივობები და მოსალოდნელი შედეგები არის გაზომვადი (უმეტეს შემთხვევაში). ცხადად არის ჩამოყალიბებული, თუ რა პერიოდში (შესაბამისი წლის, კვარტლის და თვეების მითითებით) რა შედეგი უნდა მიიღწეს და ვინ არის პასუხისმგებელი პირი (წინა წლების გეგმებში მითითებული იყო პასუხისმგებელი უწყებები). თუმცა, არ არის აღნიშნული კონკრეტული აქტივობის შესრულებისთვის განსაზღვრული ბიუჯეტი და წყარო, საიდანაც უნდა იყოს მოპოვებული რესურსი. სამომავლო გეგმებთან დაკავშირებით, წარმოგიდგენთ ამ გეგმის მიზნებს, შედეგებს და აქტივობებს:

**მიზანი B.** პენიტენციურ და პრობაციის სისტემებში ეფექტიანი რეაბილიტაციისა და რეინტეგრაციის განხორციელების გზით განმეორებითი დანაშაულის შემცირება და შედეგად დანაშაულის პრევენცია.

**შედეგი B1.** ინდივიდუალური შეფასების, მათ შორის, კლასიფიკაციის, სასჯელის დაგეგმვის და შემთხვევის მართვის ეფექტიანი მეთოდოლოგიების იმპლემენტაცია.

**აქტივობა B1.1.** პენიტენციური და პრობაციის სისტემებისათვის შემუშავებული რისკების და საჭიროებების შეფასების ახალი ინსტრუმენტის გადახედვის დასრულება და მონაცემთა შეგროვების სისტემის დანერგვა.

**შესრულების ვადა და ინდიკატორები:**

- 2019 წლის ივნისისთვის მომზადებულია წინასასამართლო ეტაპზე არასრულწლოვანთა რისკების და საჭიროებების პილოტირების შეფასებისა და რეკომენდაციების ანგარიში;
- 2019 წლის სექტემბრისთვის პენიტენციური და პრობაციის სისტემის ყველა თანამშრომელს, რომლებიც იყენებენ რისკების და საჭიროებების შეფასების ახალ ინსტრუმენტს, გავლილი აქვს შესაბამისი ტრენინგი;
- 2019 წლის სექტემბრისთვის რისკებისა და საჭიროებების შეფასების ინსტრუმენტის პილოტირება მოხდა უვადო თავისუფლებააღკვეთილ პირებთან მიმართებით, რომლებიც განთავსებულნი არიან №3, №6, №7, №8 დაწესებულებებში;
- 2019 წლის დეკემბრისთვის რისკებისა და საჭიროებების შეფასების ინსტრუმენტის პილოტირება განხორციელდა №5, №11 და №16 დაწესებულებებში;
- 2019 წლის დეკემბრისთვის რისკების და საჭიროებების შეფასების ინსტრუმენტის პილოტირება განხორციელდა კონკრეტული კატეგორიის მსჯავრდებულებთან მიმართებით №2 და №17 პენიტენციურ დაწესებულებებში.

**აქტივობა B1.2.** შემთხვევის მართვის მოდელზე მუშაობის დასრულება №16 დაწესებულებაში და აღნიშნული მეთოდოლოგიის დანერგვა სხვა პენიტენციურ დაწესებულებებში.

---

132 matsne.gov.ge/ka/document/view/4490017?publication=0

**შესრულების ვადა და ინდიკატორები :**

- 2019 წლის ივნისისთვის შემთხვევის მართვის მოდელი დანერგილია №11 დაწესებულებაში;
- 2020 წლის ივნისისთვის შემთხვევის მართვის მოდელი სრულად დანერგილია №5, №16 პენიტენციურ დაწესებულებებში.

**შედეგი B2.** ეფექტიანობის მტკიცებულებებსა და საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკაზე დაფუძნებული სარეაბილიტაციო და ფსიქო-სოციალური მეთოდების შემუშავება.

**აქტივობა B2.1.** რისკებისა და საჭიროებების შეფასებების შედეგად მიღებული მონაცემების საფუძველზე სათანადო პროგრამების და ინტერვენციების იდენტიფიცირება და შემუშავება.

**შესრულების ვადა და ინდიკატორები:**

- 2019 წლის დეკემბრისთვის შემუშავებულია, სულ მცირე, 2 პროგრამა/ინტერვენცია, თანამშრომლებს გავლილი აქვთ შესაბამისი ტრენინგი მათი გამოყენების კუთხით. პროგრამები/ინტერვენციები პილო-ტირებულია;
- 2020 წლის დეკემბრისთვის შემუშავებულია კიდევ 3 პროგრამა/ინტერვენცია. თანამშრომლებს გავლილი აქვთ შესაბამისი ტრენინგი მათი გამოყენების კუთხით; პროგრამები/ინტერვენციები პილოტირებულია.

**აქტივობა B2.2.** პროგრამების/ინტერვენციების გავლენისა და შედეგების შეფასების მეთოდოლოგიის შე-მუშავება.

**შესრულების ვადა და ინდიკატორები** :

- 2019 წლის დეკემბრისთვის ფუნქციონირებს მონაცემთა შეგროვების და ანალიზის სისტემა;
- 2019 წლის დეკემბრისთვის პენიტენციური და პრობაციის სისტემებს შორის ინფორმაციის გაცვლის-თვის შექმნილია სამართლებრივი ჩარჩო;
- 2020 წლის დეკემბრისთვის ფუნქციონირებს შიდა შეფასების სისტემა ხუთ სარეაბილიტაციო პროგრა-მასთან მიმართებით.

**აქტივობა B2.3.** სოციალური მუშაკების, ფსიქოლოგების, პრობაციის ოფიცრების და რეჟიმის თანამშრომლე-ბის პროფესიული განვითარებისა და უწყვეტი გადამზადების ხელშეწყობა.

**შესრულების ვადა და ინდიკატორები:**

- 2019 წლის მაისისთვის პრობაციის, პენიტენციური და დანაშაულის პრევენციის სისტემების სოციალურ მუშაკთა და ფსიქოლოგთა 100%-ს გავლილი აქვს მოტივაციური ინტერვიუს და ჩართულობის ტრენინგი.

**შედეგი B3.** გათავისუფლებისათვის მომზადების პოლიტიკის დანერგვა, პენიტენციური დაწესებულებიდან პრობაციის სისტემაში გადასვლის, პენიტენციური დაწესებულებიდან/პრობაციიდან საზოგადოებაში დაბრუ-ნების ხელშესაწყობად.

**აქტივობა B3.1.** გათავისუფლებისათვის მომზადების კონცეფციის შემუშავება საქართველოში არსებული ყველა პენიტენციური დაწესებულებისათვის.

**შესრულების ვადა და ინდიკატორები:**

- 2019 წლის თებერვლისთვის შექმნილია სამუშაო ჯგუფი;
- 2019 წლის დეკემბრისთვის მზად არის გათავისუფლებისათვის მომზადების კონცეფცია.

**აქტივობა B3.2.** გათავისუფლებისათვის მომზადების მეთოდოლოგიის შემუშავება და თანამშრომლების გადამზადება.

**შესრულების ვადა და ინდიკატორები:**

- 2020 წლის ივნისისთვის ყველა ჩართული თანამშრომელი გადამზადებულია.

**შედეგი B4.** სარეაბილიტაციო პროგრამების განმავითარებელი მდგრადი სტრუქტურული ერთეულის შექმნა, რომელიც უზრუნველყოფს სარეაბილიტაციო ინიციატივების შემუშავებას, იმპლემენტაციას, ზედამხედველობას და მონიტორინგს.

**აქტივობა B4.1.** კომპეტენციის სფერო და საჭირო რესურსები შეთანხმებულია.

**შესრულების ვადა და ინდიკატორები:**

- 2019 წლის აპრილისთვის კომპეტენციის სფერო და საშტატო დაკომპლექტება/რესურსების ალოკაცია დასრულებულია;
- 2020 წლის იანვრისთვის ახალი სტრუქტურული ერთეული შექმნილია.

**მიზანი D.** ბრალდებულების, მსჯავრდებულების, სტუმრებისა (მოწყვლად ჯგუფებზე განსაკუთრებული აქცენტით) და თანამშრომლების უფლებების დაცვა.

**შედეგი D2.** მსჯავრდებულებისათვის დასაქმების, პროფესიული სწავლების, განათლებისა და განტვირთვის შესაძლებლობების გაუმჯობესება, ამ მიზნით შესაბამისი სისტემებისა და ინფრასტრუქტურის შექმნა, მოწყვლადი ჯგუფების საჭიროებების გათვალისწინებით.

**აქტივობა D2.1.** მსჯავრდებული პირებისთვის მომზადების და გადამზადების ცენტრის შექმნა.

**შესრულების ვადა და ინდიკატორები:**

- 2019 აპრილისთვის მომზადების და გადამზადების ცენტრი ფუნქციონირებს.

**აქტივობა D2.2.** საკნის გარეთ აქტივობებისათვის განსაზღვრული მინიმალური დროის გადახედვა და ყველა სახის პენიტენციური დაწესებულებისთვის აქტივობებისთვის სათანადო დროის განსაზღვრა.

**შესრულების ვადა და ინდიკატორები:**

- 2019 წლის ივნისისთვის დასრულებულია არსებული მოდელის გადახედვა და მომზადებულია ანგარიში;
- 2020 წლის ივნისისთვის თითოეული ტიპის დაწესებულებისთვის განსაზღვრულია საკნის გარეთ აქტივობებისთვის განკუთვნილი დრო.

**აქტივობა D2.3.** დამსაქმებლებთან პარტნიორობის/თანამშრომლობის საფუძველზე სამეწარმეო ზონების ჩამოყალიბება.

**შესრულების ვადა და ინდიკატორები:**

- 2019 წლის აპრილისთვის მზად არის შრომის ბაზრის ანალიზი და კერძო სექტორის მონახაზი;
- 2019 წლის ივნისისთვის კერძო სექტორისთვის კონფერენცია ჩატარებულია;
- 2019 წლის ივნისისთვის ანგარიში და შემოთავაზებები მომზადებულია;
- 2020 წლის ივნისისთვის მსჯავრდებულთა სულ მცირე 30% არის დასაქმებული ან/და ჩართულია პროფესიულ სწავლებაში.

**აქტივობა D2.4.** საგანმანათლებლო სისტემის გაუმჯობესება ყველა დონეზე - როგორც საბაზისო განათლების (წერა/კითხვა და არითმეტიკა), ისე უმაღლესი განათლების დონის გაუმჯობესება.

**შესრულების ვადა და ინდიკატორები:**

- 2019 წლის აპრილისთვის განათლების სამინისტროსთან ერთად შექმნილია სამუშაო ჯგუფი;
- 2019 წლის სექტემბრისთვის მზად არის ურთიერთგაგების მემორანდუმი და სამოქმედო გეგმა;
- 2020 წლის ივნისისთვის 30%-ით გაზრდილია საგანმანათლებლო აქტივობები.

**აქტივობა D2.5.** პენიტენციური დაწესებულებების ბიბლიოთეკების გაუმჯობესება.

**შესრულების ვადა და ინდიკატორები:**

- 2019 წლის მარტში ხელი მოეწერა ურთიერთგაგების მემორანდუმს სსიპ „საქართველოს საკანონმდებლო მაცნესთან";
- 2019 წლის დეკემბრისთვის ბიბლიოთეკები გამართულად ფუნქციონირებს;
- 2019 წლის დეკემბრისთვის სოციალური კამპანიის პირველი ციკლი ჩატარდა;
- 2020 წლის დეკემბრისთვის სოციალური კამპანიის მეორე ციკლი დასრულდა.

**მიზანი G.** სპეციალური პენიტენციური სამსახურის/პრობაციის ეროვნული სააგენტოს მენეჯმენტისა და ორგანიზაციული შესაძლებლობების განვითარება, გატარებული რეფორმების ცნობადობის უზრუნველყოფა.

**შედეგი G2.** ადამიანური რესურსების მართვის სისტემებისა და პროცედურების გაუმჯობესება.

**აქტივობა G2.3.** რეაბილიტაციის გაუმჯობესებისა და განმეორებითი დანაშაულის შემცირების კუთხით სოციალურ მუშაკთა საქმიანობის შესახებ ცნობიერების ამაღლება.

**შესრულების ვადა და ინდიკატორები:**

- 2019 წლის იანვრისთვის დაინტერესებულ მხარეთა იდენტიფიცირება დასრულებულია;
- 2019 წლის აპრილისთვის ჩატარებულია 2-დღიანი კონფერენცია სემინარი.

**აქტივობა G2.4.** პენიტენციურ დაწესებულებებში გაუმჯობესებული სოციალური სერვისები.

**შესრულების ვადა და ინდიკატორები:**

- 2019 წლის მარტისთვის შეფასების პროცესი დასრულებულია და თანამშრომლები გადანაწილდნენ შემთხვევის მმართველებად ან შემთხვევის ადმინისტრატორებად, შესაბამისი ახალი სამუშაო აღწერილობით;
- 2019 წლის მაისისთვის შემთხვევის მმართველობის ტრენინგი დასრულებულია;
- 2019 წლის ივნისისთვის პენიტენციური დაწესებულებების სოციალური განყოფილებების სამოქმედო გეგმა შემუშავებულია.

**აქტივობა G2.5.** პენიტენციური და პრობაციის სისტემებისთვის ერთიანი სოციალური უზრუნველყოფის სამსახურის შექმნა.

**შესრულების ვადა და ინდიკატორები:**

- 2020 წლის აპრილისთვის დასრულებულია არსებული სერვისების გადახედვა.

**შედეგი G3.** ტრენინგებისა და თანამშრომლების პროფესიული განვითარების პროგრამების შემუშავება და განხორციელება.

**აქტივობა G3.1.** ორგანიზაციული მიზნებისა და რეაბილიტაციის კომპეტენციების ჩარჩოს საფუძველზე, არსებული ტრენინგების მექანიზმების გადახედვა და განვითარების მექანიზმის შემუშავება.

**შესრულების ვადა და ინდიკატორები:**

- 2019 წლის მარტისთვის ტრენინგისა და განვითარების გეგმა შეთანხმებულია და საჭირო რესურსები დადგენილია;
- 2019 წლის მაისისთვის რეაბილიტაციის კომპეტენციის ჩარჩო შემუშავებულია;
- 2019 წლის დეკემბრისთვის დამტკიცებულია 2020 წლის ტრენინგების/განვითარების გეგმა და დადგენილია საჭირო რესურსები.

**აქტივობა G3.3.** საბაზისო რეაბილიტაციის ტრენინგის გაუმჯობესება ყველა ახალი თანამშრომლისათვის.

**შესრულების ვადა და ინდიკატორები:**

- 2019 წლის აპრილისთვის არსებული სავალდებულო საბაზისო ტრენინგი ახალი თანამშრომლებისთვის გადახედილია და შემდგომი გაუმჯობესების გეგმა შემუშავებულია;
- 2020 წლისთვის შემუშავებულია განახლებული სავალდებულო საბაზისო პროგრამა ყველა ახალი თანამშრომლისთვის, აქცენტით რეაბილიტაციის საკითხებზე.

**აქტივობა G3.4**. სარეაბილიტაციო სამუშაოსთვის ტრენინგის და უწყვეტი პროფესიული განვითარების გაუმჯობესება.

**შესრულების ვადა და ინდიკატორები:**

- 2019 წლის მაისისთვის რეაბილიტაციის მიმართულებით გადამზადება გაიარეს ტრენერებმა;
- 2020 წლის ივნისისთვის თანამშრომელთა 100%-მა გაიარა შესაბამისი ტრენინგი.

**აქტივობა G3.5.** პროფესიული ზედამხედველობის (სუპერვიზიის) სისტემის შემუშავება.

**შესრულების ვადა და ინდიკატორები:**

- 2019 წლის დეკემბრისთვის სოციალური მუშაკების და ფსიქოლოგის პროფესიული ზედამხედველობის კონცეფციის გადახედვა დასრულებულია და შემდგომი განვითარებისა და პილოტის გეგმა შემუშავებულია;
- 2020 წლის მარტისთვის ფსიქოლოგების და სოციალური მუშაკების პროფესიული ზედამხედველობის მექანიზმი პილოტირებულია;
- 2020 წლის ბოლოსთვის ფსიქოლოგების და სოციალური მუშაკების პროფესიული ზედამხედველობის მექანიზმი ფუნქციონირებს.

**აქტივობა G3.6**. საუნივერსიტეტო სექტორთან პარტნიორობის, ურთიერთგაგებისა მემორანდუმებისა და თანამშრომლების შესაძლებლობების შესწავლა, რაც მიზნად ისახავს სასჯელაღსრულების სფეროს მიმართ ინტერესის გაზრდას და ცნობიერების ამაღლებას.

**შესრულების ვადა და ინდიკატორები:**

- 2020 წლის ბოლოსთვის სტაჟირების კონცეფცია შემუშავებულია.

**გეგმის ზოგადი შეფასება**: აღნიშნული გეგმის სტრუქტურა არის განსხვავებული სახით ჩამოყალიბებული. სტრუქტურა არის შემდეგი პრინციპით - მიზანი; შედეგი; აქტივობა; შუალედური შედეგი; მოსალოდნელი შედეგი; შესრულების ვადა და ინდიკატორები; იუსტიციის სამინისტროს სისტემიდან საკითხზე პასუხისმგებელი პირი. გეგმის სტრუქტურა არის უკეთ ჩამოყალიბებული, აქტივობები და მოსალოდნელი შედეგები არის გაზომვადი (უმეტეს შემთხვევაში). ცხადად არის ჩამოყალიბებული, თუ რა პერიოდში (შესაბამისი წლის, კვარტლის და თვეების მითითებით) რა შედეგი უნდა მიიღწეს და ვინ არის პასუხისმგებელი პირი (წინა წლების გეგმებში

მითითებული იყო პასუხისმგებელი უწყებები). თუმცა, არ არის აღნიშნული კონკრეტული აქტივობის შესრულებისთვის განსაზღვრული ბიუჯეტი და წყარო, საიდანაც უნდა იყოს მოპოვებული რესურსი.

აღნიშნულ გეგმაში ასახული კომპონენტები არის რელევანტური და შეესაბამება არსებულ გამოწვევებს. თუმცა გეგმაში არ არის ასახული ისეთი მნიშვნელოვანი კომპონენტები, როგორიც არის: კრიმინალური სუბკულტურის გავლენის დაძლევის აქტივობები (გარდა, ინფრასტრუქტურული ცვლილებებისა); პატიმართა მოტივირების სისტემის ჩამოყალიბება; რელიგიურ და ეთნიკურ უმცირესობებზე, ასევე უცხო ქვეყნის მოქალაქეებზე მორგებული ღონისძიებები; სტატისტიკური ინფორმაციის წარმოების გაუმჯობესება; პატიმართა შრომითი სტანდარტების გაუმჯობესება; დახურული ტიპის დაწესებულებებში აქტივობების ორგანიზებასთან დაკავშირებით. ასევე უნდა აღინიშნოს, რომ ამ გეგმაშიც არის ასახული მრავალი ისეთი სახით კომპონენტი, რაც ასევე იყო წინა წლების გეგმებში, თუმცა არ შესრულებულა, რაც შეიძლება გახდეს საფუძვლიანი ეჭვის საფუძველი, თუ რამდენად იქნება აღნიშნული აქტივობები შესრულებული.

# 8. ძირითადი მიგნებები და რეკომენდაციები

ძირითადი მიგნებები წარმოდგენილი იქნება სამი კომპონენტის მიხედვით - რელევანტურობა, სტრუქტურა და შესრულების შედეგი. თუმცა მანამდე წარმოდგენილი იქნება, როგორც ადამიანის უფლებათა დაცვის სამთავრობო გეგმის, ასევე სისხლის სამართლის რეფორმის სამოქმედო ჩამოყალიბების და შესრულების დინამიკა:

## ადამიანის უფლებათა დაცვის 2014-2015 წლების სამთავრობო გეგმა

აღნიშნული გეგმა იყო შემდეგი სტრუქტურით ჩამოყალიბებული - მიზანი; ამოცანა; საქმიანობა/ღონისძიება; პასუხისმგებელი უწყება; შესრულების ვადა; ინდიკატორი. არ იყო მოცემული ბიუჯეტის გრაფა. გეგმით გათვალისწინებული მიზანი და ამოცანა იყო რელევანტური და შეესაბამებოდა არსებულ გამოწვევებს. ამავე გეგმით განსაზღვრული აქტივობები ზოგადად პასუხობდა არსებულ გამოწვევებს, თუმცა იყო იმდენად ზოგადი (არ იყო გაზომვადი), რომ რთული იყო იმის გასაზღვრა, თუ რა ნაბიჯების გადადგმა იგეგმებოდა რეალურად. გარდა ამისა, იმ პერიოდში არსებული გამოწვევების გათვალისწინებით, აღნიშნულ გეგმაში არ იყო ასახული ისეთი მნიშვნელოვანი საკითხები, როგორიც არის: სერვისების ხარისხის კონტროლის სისტემის მექანიზმის ჩამოყალიბება; კრიმინალური სუბკულტურის გავლენების დაძლევისთვის გადასადგმელი ნაბიჯები; პატიმართა მოტივირების მექანიზმების გაუმჯობესება; უწყებათაშორისი თანამშრომლობის მექანიზმის დახვეწა; მსჯავრდებულთა გათავისუფლებისათვის მომზადების პროგრამის დანერგვა და განვითარება; უმცირესობებზე და მოწყვლად ჯგუფებზე მორგებული პროგრამების განვითარება; სტატისტიკური ინფორმაციის წარმოების გაუმჯობესება; პატიმართა შრომითი სტანდარტების გაუმჯობესება; დახურული ტიპის დაწესებულებებში აქტივოებების ორგანიზებასთან დაკავშირებით.

## ადამიანის უფლებათა დაცვის 2016-2017 წლების სამთავრობო გეგმა

აღნიშნული გეგმა იყო შემდეგი სტრუქტურით ჩამოყალიბებული - მიზანი; ამოცანა; საქმიანობა; პასუხისმგებელი უწყება; შესრულების ვადა; ინდიკატორი. არ იყო მოცემული ბიუჯეტის გრაფა. გეგმით განსაზღვრული მიზანი და ამოცანები ზოგადად იყო რელევანტური და შეესაბამებოდა არსებულ გამოწვევებს. შეფასების ინდიკატორების უმეტესობა იყო ზოგადი, რომ მათი მეშვეობით იმის განსაზღვრა, თუ რა იგეგმებოდა, რთული იყო. შესრულების შედეგების მიხედვით, დაგეგმილი და განხორციელებული აქტივობები ვერ ჩაითვლება ბოლომდე რელევანტურად, თუმცა ზოგადად სახეზე იყო დადებითი დინამიკა, საგანმანათლებლო-სარეაბილიტაციო-დასაქმების პროგრამების ორგანიზების კუთხით პენიტენციურ სისტემაში.

გარდა ამისა, წარმოდგენილი მიზნების მიღწევა არსებული ამოცანებით ვერ განხორცილდებოდა. ასევე, ვერ იქნებოდა მიღწეული ზემოთ მოცემული ამოცანები, არსებული საქმიანობებით. აღნიშნულ გეგმაში არ იყო ასახული ისეთი მნიშვნელოვანი საკითხები, როგორიც არის: სერვისების ხარისხის კონტროლის სისტემის მექანიზმის ჩამოყალიბება; კრიმინალური სუბკულტურის გავლენების დაძლევისთვის გადასადგმელი ნაბიჯები; უწყებათაშორისი თანამშრომლობის მექანიზმის დახვეწა; პატიმართა მოტივირების მექანიზმების გაუმჯობესება; მსჯავრდებულთა გათავისუფლებისათვის მომზადების პროგრამის დანერგვა და განვითარება; უმცირესობებზე და მოწყვლად ჯგუფებზე მორგებული პროგრამების განვითარება (გარდა ქალ პატიმრების მიმართ დაგეგმილი აქტივობებისა); პატიმართა შრომითი სტანდარტების გაუმჯობესება; დახურული ტიპის დაწესებულებებში აქტივობების ორგანიზებასთან დაკავშირებით.

## ადამიანის უფლებათა დაცვის 2018-2020 წლების სამთავრობო გეგმა

აღნიშნული გეგმა არის შემდეგი სტრუქტურით ჩამოყალიბებული - მიზანი; ამოცანა; ამოცანის ინდიკატორი; საქმიანობა; პასუხისმგებელი უწყება; პარტნიორი უწყება; საერთაშორისო რეკომენდაცია; შესრულების ვადა; სტატუსი; ბიუჯეტი. სამოქმედო გეგმის მიზნები და ამოცანები თავისი შინაარსით ზოგადად არის რელევანტური და პასუხობს არსებულ გამოწვევებს. გეგმაში არის ასახული ისეთი საკითხები, როგორიც არის: შშმ პირების საჭიროებებზე მორგებული პროგრამების დანერგვა; სპეციალური საჭიროების მქონე ჯგუფებისთვის პროგრამების შექმნა და განხორციელება; უმაღლესი განათლების ელექტრონული პროგრამის დანერგვა; პროფესიული პროგრამების ზრდა; სოციალური მუშაკებისა და ფსიქოლოგების გადამზადება; საწარმოო ზონების და დასაქმების მინი კერების შექმნა; გარდამავალი მენეჯმენტის სისტემის დახვეწა; რისკებისა და საჭიროებების შეფასების ინსტრუმენტის პილოტირება და დანერგვა; ქალი პატიმრებისთვის ფსიქო-სოციალური პროგრამების შეთავაზება და სხვა. თუმცა გეგმაში არ არის ასახული ისეთი მნიშვნელოვანი საკითხები, როგორიც არის: სერვისების ხარისხის კონტროლის სისტემის მექანიზმის ჩამოყალიბება; კრიმინალური სუბკულტურის გავლენების დაძლევისთვის გადასადგმელი ნაბიჯები; პატიმართა მოტივირების სისტემის ჩამოყალიბება; უწყებათაშორისი თანამშრომლობის მექანიზმის დახვეწა (ამ ნაწილში მხოლოდ ე.წ „გარდამავალი მენეჯმენტი არ იგულისმება. მაგ. თანამშრომლობა ადგილობრივ მუნიციპალიტეტებთან); ეთნიკური და რელიგიურ უმცირესობებზე, ასევე უცხო ქვეყნის მოქალაქეებზე მორგებული პროგრამების განვითარება; პატიმართა შრომითი სტანდარტების გაუმჯობესება; დახურული ტიპის დაწესებულებებში აქტივობების ორგანიზებასთან დაკავშირებით. შესაბამისად, არსებული ამოცანებით და საქმიანობებით გეგმის მიზნები მიღწეული სრულად ვერ იქნება.

წინა წლების გეგმებისგან განსხვავებით, აღნიშნულ გეგმაში, შეფასების ინდიკატორები მოცემულია ამოცანებისთვის და არა აქტივობებისთვის. თუმცა არსებული ინდიკატორებით, უმეტეს შემთხვევაში შეუძლებელია იმის განსაზღვრა, თუ რა არის რეალურად დაგეგმილი. მხოლოდ ამის შემდეგ არის შესაძლებელი ზოგადად ვისაუბროთ ამოცანების და აქტივობების რელევანტურობაზე. ამ გეგმის შესრულების შეფასება არ განხორციელებულა, ვინაიდან შესრულების ვადა, ჯერ გასული არ არის. თუმცა აქვე უნდა ითქვას, რომ აღნიშნული გეგმა, წინა წლების გეგმებისგან განსხვავებით, როგორც სტრუქტურულად, ასევე შინაარსობრივად, არის გაუმჯობესებული. ასევე, ხშირ შემთხვევაში, არ იკვეთებოდა კავშირი მიზანს, ამოცანას, ინდიკატორს და საქმიანობას შორის, რის გამოც რთული იყო იმის განსაზღვრა, რა იყო კონკრეტულად დაგეგმილი და რა შედეგი უნდა მიღწეულიყო.

## სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სისტემაში რესოციალიზაცია-რეაბილიტაციის 2015 წლის სამოქმედო გეგმა

აღნიშნული გეგმა არის შემდეგი სტრუქტურით ჩამოყალიბებული - მიზანი; სტრატეგიული მიზანი; ინდიკატორი; არსებული მდგომარეობა; აქტივობა; მისაღწევი შედეგი; პასუხისმგებელი უწყება; რესურსი. გეგმით განსაზღვრული მიზანი, სტრატეგიული მიზნები და აქტივობები ზოგადად იყო რელევანტური და შეესაბამებოდა არსებულ გამოწვევებს. ამ გეგმის აქტივობები ძირითადში შეესაბამებოდა და ზოგ ნაწილში უფრო შლიდა ადამიანის უფლებათა დაცვის სამთავრობო გეგმის კომპონენტებს. თუმცა შეფასების ინდიკატორების უმეტესობა (რომლებიც გამოიყენებოდა აქტივობების შესრულების შეფასებისთვის) იყო ზოგადი, რომ მათი მეშვეობით იმის განსაზღვრა, თუ რა იგეგმებოდა, რთულია. გარდა ამისა, აღნიშნული აქტივობებით ვერ იქნებოდა მიღწეული გეგმით განსაზღვრული მიზანი და სტრატეგიული მიზნები. იმ პერიოდში არსებული გამოწვევების გათვალისწინებით, აღნიშნულ გეგმაში არ იყო ასახული ისეთი მნიშვნელოვანი საკითხები, როგორიც არის: კრიმინალური სუბკულტურის გავლენების დაძლევისთვის გადასადგმელი ნაბიჯები; პატიმართა მოტივირების სისტემის ჩამოყალიბება; უწყებათაშორისი თანამშრომლობის მექანიზმის დახვეწა; უმცირესობებზე და მოწყვლად ჯგუფებზე მორგებული პროგრამების განვითარება; სტატისტიკური ინფორმაციის წარმოების გაუმჯობესება; პატიმართა შრომითი სტანდარტების გაუმჯობესება; დახურული ტიპის დაწესებულებებში აქტივობების ორგანიზებასთან დაკავშირებით. გარდა ამისა, მიუხედავად გეგმაში ასახული კომპონენტებისა, აქტივობების უმეტესობა არ შესრულებულა ან/და მისი შესრულების შეფასება არსებული სტრუქტურის და შესრულების შედეგების გათვალიწინებით შეუძლებელია. ასევე, ხშირ შემთხვევაში, არ იკვეთებოდა კავშირი სტრატეგიულ მიზანს, ღონისძიებას, ინდიკატორს და მისაღწევ შედეგს შორის, რის გამოც რთული იყო იმის განსაზღვრა, რა იყო კონკრეტულად დაგეგმილი და რა შედეგი უნდა მიღწეულიყო.

## სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სისტემაში რესოციალიზაცია-რეაბილიტაციის 2016 და 2017 წლების სამოქმედო გეგმები

აღნიშნული გეგმების შეფასება არის ერთგვაროვანი. გეგმები არის შემდეგი სტრუქტურით ჩამოყალიბებული - მიზანი; სტრატეგიული მიზანი; ინდიკატორი; არსებული მდგომარეობა (ეს ნაწილი არ არის მხოლოდ 2017 წლის გეგმაში); აქტივობა; მისაღწევი შედეგი; პასუხისმგებელი უწყება; რესურსი. ამ გეგმებით განსაზღვრული მიზანი, სტრატეგიული მიზნები და აქტივობები ზოგადად იყო რელევანტური და შეესაბამებოდა არსებულ გამოწვევებს. გეგმის აქტივობები ძირითადში შეესაბამებოდა და ზოგ ნაწილში უფრო

შლიდა ადამიანის უფლებათა დაცვის სამთავრობო გეგმის კომპონენტებს, თუმცა შეფასების ინდიკატორების უმეტესობა (რომლებიც გამოიყენებოდა აქტივობების შესრულების შეფასებისთვის) იყო ზოგადი, რომ მათი მეშვეობით იმის განსაზღვრა, თუ რა იგეგმებოდა, რთულია. გარდა ამისა, აღნიშნული აქტივობებით ვერ იქნებოდა მიღწეული გეგმით განსაზღვრული მიზანი და სტრატეგიული მიზნები. იმ პერიოდში არსებული გამოწვევების გათვალისწინებით, აღნიშნულ გეგმებში არ იყო აღნიშნული ასახული ისეთი მნიშვნელოვანი საკითხები, როგორიც არის: კრიმინალური სუბკულტურის გავლენების დაძლევისთვის გადასადგმელი ნაბიჯები; პატიმართა მოტივირების სისტემის ჩამოყალიბება; უწყებათაშორისი თანამშრომლობის მექანიზმის დახვეწა; უმცირესობებზე და მოწყვლად ჯგუფებზე მორგებული პროგრამების განვითარება; პატიმართა შრომითი სტანდარტების გაუმჯობესება; დახურული ტიპის დაწესებულებებში აქტივობების ორგანიზებასთან დაკავშირებით. ასევე, მიუხედავად გეგმაში ასახული კომპონენტებისა, აქტივობების უმეტესობა არ შესრულებულა ან/და მისი შესრულების შეფასება არსებული სტრუქტურის და შესრულების შედეგების გათვალისწინებით შეუძლებელია. გარდა ამისა, გეგმების ერთ-ერთი მიმართულება, მე-3 სტრატეგიული მიზნის უმეტესი აქტივობები არ შესრულებულა აღნიშნულ პერიოდში (2016-2017 წლებში), ისევე როგორც არ შესრულებულა 2015 წელს, თუმცა ორივე წლის გეგმაში ანალოგიური სახის აქტივობები და მისაღწევი შედეგებია. ამის გამო, ცოტა ბუნდოვანია, რატომ ხდებოდა გეგმებში იმ კომპონენტების ასახვა, რომლებიც, სავარაუდოდ წინასწარვე იყო ცნობილი, რომ არ შესრულდებოდა. ასევე, ხშირ შემთხვევაში, არ იკვეთებოდა კავშირი სტრატეგიულ მიზანს, ღონისძიებას, ინდიკატორს და მისაღწევ შედეგს შორის, რის გამოც რთული იყო იმის განსაზღვრა, რა იყო კონკრეტულად დაგეგმილი და რა შედეგი უნდა მიღწეულიყო.

## სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სისტემაში რესოციალიზაცია-რეაბილიტაციის 2018 წლის სამოქმედო გეგმა

აღნიშნული გეგმის სტრუქტურა, წინა წლების გეგმებისგან განსხვავებით, შეცვლილია. მოცემულია გეგმის მიზანი; ამოცანა (სტრატეგიული მიზნების მაგივრად); ინდიკატორი; ღონისძიებება; მისაღწევი შედეგი; პასუხისმგებელი უწყება; პარტნიორი. გეგმის ამ ნაწილში არ არის ბიუჯეტის გრაფა. შეფასების ინდიკატორები მოცემულია ამოცანების შესრულებასთან და არა აქტივობებთან/ღონისძიებებთან დაკავშირებით, როგორც ეს იყო წინა წლების გეგმების შემთხვევაში. გეგმით განსაზღვრული მიზანი, ამოცანა და ღონისძიებები ზოგადად იყო რელევანტური და შეესაბამებოდა არსებულ გამოწვევებს. თუმცა ამოცანის შეფასების ინდიკატორების უმეტესობა იყო ზოგადი, რომ მათი მეშვეობით იმის განსაზღვრა, თუ რა იგეგმებოდა, რთულია. გარდა ამისა, აღნიშნული აქტივობებით ვერ იქნებოდა მიღწეული გეგმით განსაზღვრული მიზანი და ამოცანები იმ პერიოდში არსებული გამოწვევების გათვალისწინებით, აღნიშნულ გეგმაში არ იყო ასახული ისეთი მნიშვნელოვანი საკითხები, როგორიც არის: კრიმინალური სუბკულტურის გავლენების დაძლევისთვის გადასადგმელი ნაბიჯები; პატიმართა მოტივირების სისტემის ჩამოყალიბება; უმცირესობებზე და მოწყვლად ჯგუფებზე მორგებული პროგრამების განვითარება; სტატისტიკური ინფორმაციის წარმოების გაუმჯობესება; პატიმართა შრომითი სტანდარტების გაუმჯობესება; დახურული ტიპის დაწესებულებებში აქტივობების ორგანიზებასთან დაკავშირებით. ასევე, მიუხედავად გეგმაში ასახული კომპონენტებისა, ამოცანების/ღონისძიებების უმეტესობა არ შესრულებულა ან/და მისი შესრულების შეფასება არსებული სტრუქტურის და შესრულების შედეგების გათვალისწინებით შეუძლებელია. გარდა ამისა, გეგმის უმეტესი მიმართულებები მეორდება და იყო დაგეგმილი იგივე, რაც გასული წლის გეგმებში, რომლებიც უნდა მიღწეულიყო ჯერ კიდევ წინა წლებში. ასევე, ხშირ შემთხვევაში, არ იკვეთებოდა კავშირი ამოცანას, ღონისძიებას, ინდიკატორს და მისაღწევ შედეგს შორის, რის გამოც რთული იყო იმის განსაზღვრა, რა იყო კონკრეტულად დაგეგმილი და რა შედეგი უნდა მიღწეულიყო. თუმცა, წინა წლებისგან განსხვავებით, შეინიშნება პროგრესი, გეგმის ცალკეული მიმართულებების (სადაც ამის გაზომვა შესაძლებელი იყო) შესრულებასთან დაკავშირებით.

## პენიტენციური და დანაშაულის პრევენციის სისტემების განვითარების სტრატეგიის 2019-2020 წლების განვითარების სამოქმედო გეგმა

აღნიშნული გეგმის სტრუქტურა არის განსხვავებული სახით ჩამოყალიბებული. სტრუქტურა არის შემდეგი პრინციპით - მიზანი; შედეგი; აქტივობა; შუალედური შედეგი; მოსალოდნელი შედეგი; შესრულების ვადა და ინდიკატორები; იუსტიციის სამინისტროს სისტემიდან საკითხზე პასუხისმგებელი პირი. გეგმის სტრუქტურა არის უკეთ ჩამოყალიბებული და აქტივობები და მოსალოდნელი შედეგები არის გაზომვადი (უმეტეს შემთხვევაში). ცხადად არის ჩამოყალიბებული, თუ რა პერიოდში (შესაბამისი წლის, კვარტლის და თვეების მითითებით) რა შედეგი უნდა მიიღწეს და ვინ არის პასუხისმგებელი პირი (წინა წლების გეგმებში მითითებული იყო პასუხისმგებელი უწყებები). თუმცა, არ არის აღნიშნული კონკრეტული აქტივობის შესრულებისთვის განსაზღვრული ბიუჯეტი და წყარო, საიდანაც უნდა იყოს მოპოვებული რესურსი.

აღნიშნულ გეგმაში ასახული კომპონენტები არის რელევანტური და შეესაბამება არსებულ გამოწვევებს. თუმცა გეგმაში არ არის ასახული ისეთი მნიშვნელოვანი კომპონენტები, როგორიც არის კრიმინალური სუბკულტურის გავლენის დაძლევის აქტივობები (გარდა, ინფრასტრუქტურული ცვლილებებისა); პატიმართა მოტივირების სისტემის ჩამოყალიბება; რელიგიურ და ეთნიკურ უმცირესობებზე, ასევე უცხო ქვეყნის მო-

ქალაქეებზე მორგებული ღონისძიებები; სტატისტიკური ინფორმაციის წარმოების გაუმჯობესება; პატიმართა შრომითი სტანდარტების გაუმჯობესება; დახურული ტიპის დაწესებულებებში აქტივობების ორგანიზებასთან დაკავშირებით. ასევე უნდა აღინიშნოს, რომ ამ გეგმაშიც არის ასახული მრავალი ისეთი კომპონენტი, რაც ასევე იყო წინა წლების გეგმებში, თუმცა არ შესრულებულა, რაც შეიძლება გახდეს საფუძვლიანი ეჭვის საფუძველი, თუ რამდენად იქნება აღნიშნული აქტივობები შესრულებული.

# 9. გეგმების რელევანტურობა

გეგმების განზოგადების შედეგად, რომ წლების განმავლობაში პოლიტიკის დოკუმენტებით გათვალისწინებული მიზანი, ამოცანები (სტრატეგიული მიზნები) და საქმიანობები ზოგადად იყო რელევანტური და პასუხობდა არსებულ გამოწვევებს. თუმცა, ამავდროულად უნდა აღინიშნოს ის გარემოებაც, რომ გარდა დოკუმენტებში ასახული საკითხებისა, არსებობდა არანაკლებ მნიშვნელოვანი და აქტუალური საკითხები, რაც არ იყო ასახული გეგმებში, კერძოდ, კრიმინალური სუბკულტურის გავლენების დაძლევისთვის გადასადგმელი ნაბიჯები; პატიმართა მოტივირების სისტემის ჩამოყალიბება; უწყებათაშორისი თანამშრომლობის მექანიზმის დახვეწა; უმცირესობებზე და მოწყვლად ჯგუფებზე მორგებული პროგრამების განვითარება; სტატისტიკური ინფორმაციის წარმოების გაუმჯობესება; პატიმართა შრომითი სტანდარტების გაუმჯობესება.

# 10. გეგმების სტრუქტურა

სამოქმედო გეგმების შეფასებისას, მნიშვნელოვანია ამოცანები, მიზნები ჩამოყალიბებული უნდა იყოს ე.წ. S.M.A.R.T. პრინციპით. კერძოდ, თითოეული მიზანი და აქტივობა იყოს სპეციფიკური, რაც იმას ნიშნავს, რომ ჩამოყალიბებული უნდა იყოს კონკრეტულად, დეტალურად, კარგად მოხდეს განსახორციელებელი ქმედების განსაზღვრა, იყოს გაზომვადი, რაც ნიშნავს რომ შესაძლებელი უნდა იყოს აქტივობების, მიზნების გაზომვა, ციფრებსა და რაოდენობებში ასახვა, უნდა იყოს მიღწევადი, შესაბამისად, მისი შესრულება უნდა იყოს შესაძლებელი. მიზნები და აქტივობები უნდა იყოს რეალისტური, რაც გულისხმობს, რომ არსებული რესურსების გათვალისწინებით შესაძლებელი უნდა იყოს მათი განხორციელება, ასევე უნდა იყოს დროში გაწერილი, უნდა არსებობდეს აქტივობების შესრულებისა და მიზნის მიღწევისთვის დადგენილი ვადა, ე.წ. „დედლაინი". ასევე უნდა აღინიშნოს, რომ მიზნებისა და ამოცანების შეფასების ინდიკატორები შესაძლოა ზომავდეს მხოლოდ ცალკეული აქტივობის შესრულებას (შესრულების ინდიკატორები), ასევე, შესაძლოა იყოს ზეგავლენის ან გამოსავლის ინდიკატორები, რაც აჩვენებს რამდენად იქნა მიღწეული სამოქმედო გეგმაში განსაზღვრული მიზანი. გეგმაში გათვალისწინებული უნდა იქნას ცალკეულ აქტივობასა და მიზნის მიღწევაზე პასუხისმგებელი უწყება, ასევე განსაზღვრული უნდა იყოს აქტივობის დაფინანსების წყარო. ინდიკატორები უნდა აკმაყოფილებდეს S.M.A.R.T. ინდიკატორების ხუთივე პირობას.

სამწუხაროდ არსებული სამოქმედო გეგმები უმეტესად ვერ აკმაყოფილებს მითითებულ მოთხოვნებს, უმეტეს შემთხვევაში მიზნები, საქმიანობები და ინდიკატორები ძალიან ზოგადია, არ არის კონკრეტულად ჩამოყალიბებული და ფორმულირებული, არ არის მითითებული არც ბენეფიციართა რაოდენობა, რისი დაფარვაც ჩაითვლებოდა მიზნის მიღწევად. ხშირად მიზნები არარეალისტურია იმ რესურსის გათვალისწინებით. რაც არსებობს. საჭირო ბიუჯეტი ცალსახად განსაზღვრული არ არის. ხშირად აღრეულია ინდიკატორები და საქმიანობები, რაც გეგმის შეფასებას ართულებს.

ასევე ინდიკატორის სახით, ბენეფიციართა მხოლოდ რაოდენობის დათვლა ვერ ზომავს მიზნის მიღწევას, ეს მხოლოდ ცალკეული საქმიანობის შესრულებაზე (მაგ. ტრენინგის ჩატარებაზე შეიძლება მიუთითებდეს), ხოლო ამ აქტივობის ზეგავლენა მიზნის მიღწევაზე მხოლოდ ამ მონაცემით ვერ იქნება შეფასებული. იმისათვის, რომ ზეგავლენის შეფასება მოხდეს, მნიშვნელოვანია დეტალურად იქნეს განსაზღვრული, როგორ უნდა მოხდეს ინდიკატორის გამოთვლა, „პოლიტიკის შეფასებისათვის არ არის საკმარისი დიქოტომური პასუხების გაცემა (მაგ. გადამზადებულ თანამშრომელთა რაოდენობა), არამედ, არსებული კანონების/პოლიტიკის შეფასებისათვის გათვალისწინებული უნდა იყოს სთეიქჰოლდერთა მოსაზრებები/აღქმა".[133] აღნიშნული გამოთვლით, შესაძლოა აღმოჩნდეს, რომ გადამზადებულ თანამშრომელთა სიმცირის გამო, გეგმაში საერთოდ არ იყოს მიზანშეწონილი მოცემული ინდიკატორის გათვალისწინება, ეს მხოლოდ მცირე კომპონენტს წარმოადგენს და ამის ასახვა არ იძენს სტრატეგიულ მნიშვნელობას.

მნიშვნელოვანია აგრეთვე მიკუთვნებულობის განსაზღვრა, კერძოდ, რამდენად შესაძლოა მიზნის მიღწე-

133 არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების რეფორმის მონიტორინგის სახელმძღვანელო (GCRT).

ვა მივაკუთვნოთ სწორედ ცალკეული აქტივობის განხორციელებას. ასევე უნდა აღინიშნოს, რომ გეგმაში უმეტესად საერთოდ არ არის მოცემული აქტივობის განხორციელებისთვის საჭირო ხარჯების წყარო, რაც თავიდანვე ეჭვქვეშ აყენებს მიზნის მიღწევას და აჩენს კითხვას რამდენად მიღწევადი და რეალისტურია მოცემული მიზანი, თუ აქტივობა. ამაზე ის ფაქტიც მეტყველებს, რომ წლიდან წლამდე გეგმაში ხდება ერთი და იმავე აქტივობების ასახვა, ისე, რომ საერთოდ არ სრულდებოდა.

ძირითადად სტრუქტურის კუთხით, ოპტიმალური ინდიკატორების მოძებნა როგორც ადამიანის უფლებათა, ისე სისხლის სამართლის რეფორმის სამოქმედო გეგმაში, რთულია. ძირითადად ყველა ამოცანისა და აქტივობისთვის გამოყენებულ ინდიკატორებს ახასიათებთ ზემოთ მითითებულ მაგალითებში აღწერილი ხარვეზები. გამონაკლის წარმოდგენს, უკვე პენიტენციური და დანაშაულის პრევენციის სისტემების განვითარების სტრატეგიის 2019-2020 წლების განვითარების სამოქმედო გეგმა, სადაც აქტივობების შესრულების გაზომვა უმეტეს შემთხვევში შესაძლებელია. თუმცა არც ამ გეგმაში არ არის მოცემული ბიუჯეტის ნაწილი.

## 11. შესრულების შედეგები

რაც შეეხება გეგმების შესრულებას, ადამიანის უფლებათა გეგმის შესრულების ანგარიშებში ცალკეული საქმიანობების შესრულების სტატუსი განსაზღვრულია როგორც შესრულებული, ან ნაწილობრივ შესრულებული. თუმცა თუ ისევ ინდიკატორებთან დაკავშირებით განვიხილავთ თითოეულ აქტივობას, არსებული ინდიკატორების პირობებში ფაქტობრრად შეუძლებელია მათი შესრულების შეფასება განხორციელდეს, ვინაიდან ვერ ხდება იმის განსაზღვრა, რეალურად რა იყო დაგეგმილი. რაც შეეხება სისხლის სამართლის გეგმის შესრულების ანგარიშებს, აქ არის მოცემული უბრალოდ ინფორმაცია განხორციელებული საქმიანობის შესახებ, კონკრეტული სტატუსის გარეშე. თუმცა ამ შემთხვევში, არსებული ინდიკატორების პირობებში, ფაქტობრივად, შეუძლებელია მათი შესრულების შეფასება განხორციელდეს, ვინაიდან ვერც ამ შემთხვევაში არის შესაძლებელი იმის განსაზღვრა, რეალურად რა იყო დაგეგმილი.

უმეტესად, ანგარიშებში გადმოცემული ინფორმაცია ეხება ცალკეული საქმიანობების შესრულებას (ზოგ შემთხვევაში ამოცანის) და ბოლომდე არც ამის შეფასებაა შესაძლებელი. თუმცა, ვინაიდან ზოგიერთ შემთხვევაში, გარკვეული აქტივობები მაინც არის განხორციელებული, (მიუხედავად იმისა, რომ შეფასების ინდიკატორები ზოგადია), შესაძლებელია ამ აქტივობების შესრულება ნაწილობრივ მივიჩნიოთ სარწმუნოდ. თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს, რომ გეგმის მიზანია კონკრეტული აქტივობების განსაზღვრა, რომელიც გაზომვადი იქნება. ზოგადი სახის ჩანაწერები სტრატეგიის ნაწილია და არა სამოქმედო გეგმის.

დასკვნის სახით უნდა ითქვას, რომ 2015-2018 წლებში, სამოქმედო გეგმების შედგენა მიმდინარეობდა ხარვეზებით; უმეტეს შემთხვევაში შეუძლებელი იყო იმის განსაზღვრა თუ რა იყო დაგეგმილი; წლიდან წლამდე გეგმებში მეორდებოდა ისეთი სახის აქტივობები, რომლებიც არ სრულდებოდა წინა წლებში; გეგმების სტრუქტურა ხშირ შემთხვევაში იყო გაუგებარი და შესრულების ანგარიშებში წარმოდგენილი ინფორმაცია ზოგ შემთხვევაში არასანდო.

## 12. რეკომენდაციები:

- სამოქმედო გეგმების შედგენისას გათვალისწინებული იქნას S.M.A.R.T. პრინციპი, ინდიკატორები და ამოცანები იყოს სპეციფიკური, გაზომვადი, მიღწევადი, რეალისტური და დროში გაწერილი;
- სამოქმემდო გეგმები ეფუძნებოდეს სიტუაციის დეტალურ ანალიზს, რათა თავიდან იქნას აცილებული იმ საქმიანობების განხორციელება და იმ ხარჯების გაწევა, რომლებიც შემდგომ წლებში შესაძლოა აქტუალურად აღარ ჩაითვალოს, ან მისი ხარჯთ ეფექტურობა კითხვის ნიშნის ქვეშ დადგეს;
- თითოეული აქტივობისთვის გაწერილი იყოს მისი შესრულებისთვის საჭირო ბიუჯეტი (სახელმწიფო ბიუჯეტი, დონორების მიერ გამოყოფილი თანხები, სხვა წყაროები);
- სამოქმედო გეგმაში ასახული იყოს მხოლოდ ისეთი საკითხები, რომლებსაც შეუძლიათ რეალური ზეგავლენა მოახდინონ სისტემაში მიმდინარე პროცესებზე, შესაბამისად, მიზანშეწონილია ინდიკატორები ზომავდეს არა მხოლოდ საქმიანობების/აქტივობების შედეგებს, არამედ მათ ზეგავლენას მთელ სისტემაზე;
- გეგმაში მოცემული უნდა იყოს ინდიკატორის გამოთვლის დეტალური ფორმულა, რათა რეალურად გაიზომოს სამიზნე ჯგუფზე საქმიანობის ზეგავლენა;
- მნიშვნელოვანია თითოეული წლის გეგმა გამომდინარეობდეს იმ წლის საჭიროებებიდან და არ წარმოადგენდეს წინა წლის გეგმის მექანიკურ გაგრძელებას.

**Penal Reform International**
**South Caucasus Regional Office**
**Address:** Chavchavadze ave, 1st lane, block #6,
entr III, floor II, apt. 61
0179, Tbilisi, Georgia
**Phone:** + 995 32 237 02 70

**Penal Reform International South Caucasus Regional Office**

penalreform.org